74/5/2 №14665

ეროვნული თავისუფლების გზით – პირველი თავისუფლებისაკენ
პირველი თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს. №9 (1772) 5 დეკემბერი, 2001 • ფასი 50 თეთრი

სარჩევი

- აშკარა დაუჯერებელი ანუ შეღებილი შავი ჰური?! (მე-3 გვ.)
- ნოლაიდელი ბუშმა „გადაარჩინა!" (მე-2 გვ.)
- როგორ ჩააბარებს გაბრიჩიძე „გამოცდას?" (მე-2 გვ.)
- რატომ გვეშინია 13 რიცხვის (მე-15 გვ.)
- როგორ ეწევიან ბიზნესს ბიბლიოთეკები?! (მე-5 გვ.)
- დევნილებს ახალი მახე დაუგეს ანუ შავი ფულის კეთება გრძელდება?! (მე-4 გვ.)
- ვიღაც ქართულ ჯარს გეგმაზომიერად ასუსტებს (მე-4 გვ.)
- როდის ჩამოაგდებს თევზაძე პისტოლეტით რუსულ თვითმფრინავს (მე-3 გვ.)
- საინგილოში ქართულ მოსახლეობას საფრთხე ემუქრება (მე-3 გვ.)
- გაბედავს ალავიძე თევდორაძის აფეთქებას? (მე-2 გვ.)

ომი, რომელიც ჩვენც გვეხება (ავღანეთის გვერდი)

მე-7 გვ.

აფხაზეთის დაკარგვის საბოლოო გაფორმებას ამზადებენ

შევარდნაძე რომ რუსეთის პირდაპირი და განუყოფელი აგენტია, რომელიც, რუსეთის დავალებითვე, „დასავლეთის კაცს" თამაშობს, ეს დღეს არა მხოლოდ გონებრივმა ელიტამ იცის, არამედ ფართო მასამაც. ამჯერად ჩვენ საუბარი გვექნება მის ერთ-ერთ უკანასკნელ დავალებაზე რუსეთისგან, სახელდობრ, შეთქმულებაზე, რომელშიც მონაწილეობენ არა მხოლოდ რუსები და რომელიც დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის იურიდიული მოწყვეტის გეგმას წარმოადგენს.

„საქართველოს" ამ ნომერში დაბეჭდილია ჟურნალ „The Economist"-ის მასალა სათაურით „რუსულ-ჩეჩნური მოლაპარაკება". ეს ბრიტანული ჟურნალი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში თავისი ინფორმირებულობით, თავისი ანალიზების სიზუსტით და, რაც მთავარია, ობიექტურობითა და სანდოობით. ხსენებული წერილიდან ჩანს, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, ჩეჩნების წინაშე კაპიტულაციაზე მიდის და ცდილობს, ეს კაპიტულაცია არა თვალში საცემად, „ლამაზად" და პრესტიჟის დაუკარგავად ჩაატაროს. სახელდობრ, მოსალოდნელია, რომ ფორმალურად ჩეჩნეთი ამჯერად რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩება, მაგრამ ფაქტობრივად იგი თავის მიწაზე ბატონ-პატრონი იქნება და, რაც მთავარია, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ პროცესთა განვითარებას თავისი მომავალი იურიდიული დამოუკიდებლობისაკენ წაიყვანს.

დასასრული მე-6 გვერდზე



ალავიძეს ჯოჯუასთვის 500 000-ის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს

მე-3 გვ.

დოდო ჭიჭინაძე: „ახლა ქვეყანაში ფულთაყვანისმცემლობაა გამეფებული... მე ასეთი საქართველო არ მინდა"

მე-12 გვ.

ამბავნარი

შევარდნაძემ მთავრობა ჟვანიას თავიდან მოსაცილებლად დაითხოვა

ძველ სახეებს მხარს არ დავუჭერთო, აცხადებდნენ დეპუტატები მინისტრების დამტკიცების წინ. თუმცა მუქარა მუქარად დარჩა. ძველი და ახალი სახეების „კურთხევა“ ლიწინით მოხდა. ერთმანეთის ჯიბრით და ქიშპობით გადაღლილმა დეპუტატებმა კითხვაც არ დაუსვეს პრეზიდენტს, მთელი მთავრობის გადაყენება არ გვითხოვია, რადგან დაითხოვე, უკან რატომლა აბრუნებო. ისე ტაშფანდურით და დითირამბების მიძღვნით დაამტკიცეს ისინი.

ეჭვი, რომ შევარდნაძე უცნაურად მოიქცა, დღემდე არ ასვენებს პარლამენტარ ნოდარ ჯავახიშვილს.

— მან ეს ჟვანიას თავიდან მოსაცილებლად გააკეთა. მოიშორა იგი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან და მერე იგივე მინისტრები წარმოადგინა. მეორე მიზეზიც არსებობს მისი ამგვარი ქმედების ასახსნელად. ეს თამაში თარგამაძის და იმ მინისტრების აღშფოთების ზომის შესამცირებლად სჭირდებოდა, ვინც მართლა გადაყენა. ჟვანიას გაშვება რეგრესული მოვლენა არ არის, მაგრამ ასე თამაში ნამდვილად არ შეიძლება, — აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი.

„...მაგრამ კაცსა წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?!“ „კუკუდამალობანა“ და თამაში ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ჩვენს პრეზიდენტს. „ბებერი ხარის გახედვნას კი...“ არავის ვურჩევთ.

წკიპურტები

ვითომ გაბედავს ალავიძე თევდორაძის აფეთქებას?

მას შემდეგ, რაც გახმაურდა, პოლიციის ექსშეფმა სოსო ალავიძემ პარლამენტარ გოჩა ჯოჯუას სცემაო, დაზარალებულიც და „დამზარალებელიც“ სამკურნალო გახდნენ.

საწოლს დროებით მიჯაჭვული ჯოჯუა ნელ-ნელა იშუშებს იარებს, პოლიციის ექსშეფს კი დეპუტატის „დარდით“ გული კინალამ გაუსკდა. კარდიოლოგიური კლინიკის საწოლს მიჯაჭვული დაზარალებულზე უარესად გრძნობს თავსო, ამბობენ.

არადა ახლა ადამიანის უფლებების დამცველი დეპუტატი თევდორაძეც აცხადებს, ალავიძე აფეთქებით მემუქრებაო. სულ წავიდა ხელიდან ჩვენი საქმე. აღარც დეპუტატის იმუნიტეტი იცავს ხალხს და აღარც პოლიცია. უფრო სწორად იმუნიტეტი ვეღარ იცავს პოლიციისაგან. ერთი ნუგეშიღა დარჩა თევდორაძეს. ჯოჯუას ცემას ალავიძე კინალამ გადაჰყვა. გული გაუჩერდა, ლამის. მორიგი დეპუტატის აფეთქებას ალბათ, ვეღარ გაბედავს, მაშინ ალავიძე საიქიოს უნდა გაჰყვეს თევდორაძეს.

ქართველი ბერების გატაცება სარწმუნოებრივ ნიადაგზე არ მომხდარა?!

ადამიანთა გატაცება საქართველოში უჩვეულო მოვლენა არ გახლავთ. ამგვარი ფაქტები, არაოფიციალური ინფორმაციით, საკმაოდ ხშირად ხდება პანკისის ხეობაში, მაგრამ მოსახლეობა სასწრაფოდ აგროვებს ფულს და უხმაუროდ ათავისუფლებენ გატაცებულებს. ქართველი ბერების გატაცებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. „ამ საქმის ჩამდენს არც ბიბლია გადაუშლია და არც ყურანი...“. სავარაუდოდ, გატაცება სარწმუნოების ფაქტორს არ უკავშირდება. გამტაცებლები 1 მლნ დოლარს ითხოვენ, თუმცა მათი ვინაობა და ნამდვილი მიზანი დღემდე უცნობია. ეჭვი, რომ ამ საქმეში სერიოზული ძალა მონაწილეობს და ეს შეიძლება პოლიციაც იყოს, ნამდვილად არსებობს, თუმცა რაიმეს კონკრეტულად თქმა დღემდე შეუძლებელია.

ნამუსზე შეგდება დეპუტატებზე არ მოქმედებს

რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის სურვილზე, კარგა ხანია, საუბრობენ დეპუტატები. ეს „ბაზარი“ ცნობილი სტუდენტური აქციების შემდეგ შემოვიდა მოდად პარლამენტში. ნებისმიერ დეპუტატს რომ ჰკითხოთ, კონკრეტულად ამ საკითხზე რას ფიქრობო, უეჭველად „მოდურად“ გიპასუხებთ თანხმობის შესახებ. საქმე-საქმეზე რომ მიდგეს, 235 პარლამენტარიდან მეათედიც არ იქნება თბილი, ფუმფულა, წითელი სავარძლის დატოვების მსურველი. მათ საამისოდ ვაჟკაცობა არც ეყოფათ. წლების მანძილზე ნანატრ, სათუთად ნალოლიავებ იმუნიტეტს აგრერიგად ვერცერთი შეელევა. ამ ფონზე განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის დათო მაღრაძის პარლამენტიდან წასვლა, ალბათ, გმირობის ტოლფასია, თუმცა მაღრაძის პროტესტს — ქვეყანაში არაფერ კეთდებაო, დიდი ვნებათა ღელვა არ გამოუწვევია. მისი პროტესტის მთავარი მიზანი რიგგარეშე არჩევნების სასწრაფოდ დანიშვნაა, თუმცა ნამუსზე შეგდება რომ ბევრ მათგანზე არ იმოქმედებს, დავით მაღრაძემ, ალბათ, უკვე წინასწარიცის.

როგორ „გადაარჩინა“ ნოღაიდელი ბუშმა!

ამერიკის პრეზიდენტმა შევარდნაძეს დაურეკა, არიქა, არ დამღუპოთ, ზურაბ ნოღაიდელი „უპორტფელოდ“ არ დატოვოთო, ხმა გავრცელდა ქალაქში. „საკუთარი შემოქმედების“ სიმართლე, მგონი, მალე ჭორის ავტორმაც დაიჯერა. გატრუნული პრეზიდენტი მოვლენების განვითარებას თვალს მდუმარედ ადევნებდა. ისევ დეპუტატმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა იმარჯვა. აქაოდა, ბუშს ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევას ვინ ეკითხებაო, ამერიკის საელჩოში ზრდილობიანად და დელიკატურად „სიტყვა ჩააგდო“, ინფორმაცია მიაწოდათ. გაოცებულმა საელჩოს თანამშრომლებმა ჭიპაშვილთან ერთად უარყვეს ინფორმაცია. ამის შემდეგ კი შევარდნაძემაც გადადგა ეს ნაბიჯი.

მართალია, ჭორის ავტორს ნატვრა აუხდა, ნოღაიდელმა მინისტრის „პორტფელი“ ისევ ჩაიბარა, მაგრამ ეს ამერიკის პრეზიდენტის წყალობა არ გახლავთ. ეს ჩვენი „გულკეთილი“ და „გულუბრყვილო“ პარლამენტის თავგანწირვის ბრწყინვალე შედეგია.

როგორ ჩააბარებს გაბრიჩიძე „გამოცდას“?

გენერალური პროკურორის პოსტზე წარდგენილი ნუგზარ გაბრიჩიძის კანდიდატურას, წინასწარი მონაცემებით, პარლამენტში დამტკიცების დროს პრობლემები უნდა შეჰქმნოდა. მავანთა ვარაუდი არ გამართლდა. პროკურატურის საქმეებში ღრმად ჩახედული გენპროკურორობის კანდიდატთან ურთიერთობის გაფუჭების სურვილი მთელს პარლამენტში მხოლოდ 4 კაცს აღმოაჩნდა. ასეა, ზოგჯერ ამინდის პროგნოზიც სცდება, არათუ პოლიტიკური.

— გენპროკურორის თანამდებობაზე ყოველთვის მორჩილი კანდიდატურები სჭირდება პრეზიდენტსო — აცხადებს ელენე თევდორაძე და მას სწორედ ასეთად მიიჩნევს, თუმცა... როგორ ჩააბარებს „გამოცდას“ გაბრიჩიძე, წინასწარ არავინ უწყის. ისე, კაცმა რომ თქვას, დასაწყისი არც ისე ურიგო აქვს.

დეპუტატის ცემისთვის ალავიძე დასაჭერია, სამხილები არსებობსო — გაბრიჩიძის ეს სიტყვები ნუგეშისცემის საშუალებას ნამდვილად იძლევა. ხოლო გენპროკურორის სიტყვა და საქმე ნამდვილად ერთია თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს.

პოლიციას პასპორტების გაცემის უფლებას ჩამოართმევენ?

გამორიცხული არაფერია. პოლიციისთვის უფლებების შეკვეცა ნელი ტემპით მიმდინარეობს. მას ჯერ ავტომანქანების დიაგნოსტიკის უფლება ჩამოართვეს, შემდეგ პენიტენციალური სისტემა, ახლა კი ყველაზე მსუყე ლუკმას — პასპორტების გაცემის უფლებას ედავებიან. შეიძლება სულ მალე ამ თემამ შ და იუსტიციის სამინისტროებს შორის დაპირისპირება გამოიწვიოს. ღიად არავინ იტყვის, ბრძოლა ერთი უწყებიდან მეორეში თანხების გადადინების გამო იწყებაო, მაგრამ...

საპასპორტოებში ფული კეთდება და ამ ხვრელების ამოქოლვა მინდაო, ხმამაღლა არ ამბობს იუსტიციის მინისტრი, უბრალოდ წინამორბედივით პრეტენზიას აცხადებას ამ უფლების მიკუთვნებაზე. სულ მალე, ალბათ, პასპორტების და ეროვნული პირადობის მოწმობების აღების წესის შესახებ ახალ კანონპროექტს შეიტანს პარლამენტში. რამდენად მყარი აღმოჩნდება მისი არგუმენტი — „სამოქალაქო“ დოკუმენტაციის რეგისტრაცია, ქორწინების და დაბადების მოწმობების გაცემა, აგრეთვე, გარდაცვალების ცნობების აღება იუსტიციის სამინისტროში ხორციელდება და წესით პასპორტის და პირადობის მოწმობის აღებაც აქ უნდა ხორციელდებოდესო“, — ამას დრო გვიჩვენებს.

გვერდი მოამზადა თათია ძინძიბაძემ

ორთაბრძოლა ანუ ვინ ვის...

ალავიძეს გოჩა ჯოჯუასთვის 500 000-ის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს



ამ ბოლო დროს რატომღაც გახშირდა დეპუტატებზე თავდასხმა-მოტაცების ფაქტები. გოჩა ჯოჯუას ცემამ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პოლიციის ექსშეფმა სოსო ალავიძემ მცემმა, განაცხადა დეპუტატმა. „ბინძურ პროვოკაციად" მონათლული ეს ბრალდება ალავიძემ ყველარ „აიტანა" და კარდიოლოგიურ კლინიკაში ამოჰყო თავი გულის შეტევით შეწუხებულმა, ან იქნებ სინდისის ქენჯნა იყო ეს?

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ალავიძეს პატიმრობა ემუქრება.

მართალია, მისი დაკითხვა აქამდე ვერ მოხერხდა, მაგრამ საქმეში ახალ-ახალი გმირები ფაქტები მინც ჩნდება. ჯოჯუას ცემის თვითმხილველის ვინაობას და ადგილსამყოფელს პროკურატურა გულმოდგინედ ფარავს. მანამდე, ვიდრე საქმეს ბოლომდე მიიყვანს, რისი დიდი იმედიც აქვს დეპუტატ ჯოჯუას, მშვიდად ელოდება მოვლენების შემდგომ განვითარებას.

„ქვეყანაში ამდენი რამ ხდება, მე კი სახლში ვარ დაკონსერვებულიო" — ეს პრობლემა ნამდვილად აწუხებს შინგამოკეტილ დეპუტატს. განსაკუთრებულ საბრძოლო განწყობაზე მყოფი უკან დახევას არ აპირებს. იმაში ღრმად დარწმუნებული, რომ სიმართლე გაიმარჯვებს, სამომავლო გეგმებს სახავს. სხვადასხვა რეფორმების დაფინანსებაზე ოცნებობს და ფონდის შექმნასაც აპირებს საამისოდ. პრეფექტი შენატანიც, მისი ვარაუდით, ალავიძისთვის სასამართლო პროცესის მოგების შემდეგ მორალური ზარალის მიყენების საზღაურად საჭირო კომპენსაცია იქნება. ვესაუბრებით პარლამენტარ გოჩა ჯოჯუას.

— ბატონო გოჩა, ამასწინათ თქვენ ბრძანეთ, თუ სამართალს ვერ ვიპოვი, საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავ და ამ ქვეყანაში აღარ ვიცხოვრებო. აღმოჩნდა, რომ ანალოგიურად ფიქრობს სოსო ალავიძეც— იგი საქართველოდან წასვლით იმუქრება.

— მე ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებ. ამ ეტაპზე ჩემი ამგვარი ნაბიჯი გაქცევა იქნებოდა. ჩემთვის ეს გოჩა ჯოჯუას და სოსო ალავიძის პიროვნული დაპირისპირება არ გახლავთ, უფრო ზოგადი თემაა, რასაც საზოგადოების მიერ სამართლიანობისთვის ბრძოლა ჰქვია. არსებობს ტენდენცია, რომ ეს პროცესი წარმატებით განვითარდება. მე მგონია, საზოგადოება მივიდა იმ აზრამდე, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება.

— თქვენ დიდი იმედით შეჰყურებთ მომავალს და სასამართლო პროცესს, ალავიძე დაინჯღებაო. ამ დასჯაში კი გარკვეული კომპენსაციის მიღებასაც გულისხმობთ პოლიციის ექსშეფისგან, არა?!

— რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ თქვენ არ გეგონოთ, მე ამ ფულის ოჯახში მიტანას ვაპირებდე. მინდა, შევქმნა ფონდი და ეს თანხა სხვადასხვა მიმართულებით დაიხარჯოს. აქცენტი პოლიციაში დასახიჩრებული და დაღუპული ხალხის ოჯახებისკენ მექნება აღებული. კანონმდებლობის კუთხითაც ბევრი რამ არის შესაცვლელი და თანაც სასწრაფოდ. სოსო ალავიძე ერთ-ერთი ამ სტრუქტურის მიერ შექმნილი ადამიანია, რომელსაც თავისი ტრაგედია აქვს.

— თუ უხერხული არ იქნება, იქნებ გვითხრათ, რა თანხის მოთხოვნას აპირებთ სასამართლო პროცესზე?

— ეს ჯერ გადაწყვეტილი არა გვაქვს მე და ჩემს ადვოკატს. ალბათ, 300-დან 500 ათასამდე. ამ თანხის გადახდა სოსოს, ვფიქრობ, არ გაუჭირდება.

— ალავიძეს თქვენს გასაჩუმებლად თანხა არ შემოუთავაზებია?

— სხვათა შორის, ეს გასაკვირი არც იქნებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ალავიძის — ბრალია. მან, როგორც იშოვა ფული, რასაკვირველია, ისევე ეცდება მის დახარჯვას. რამდენჯერმე გაჟღერდა ჩემთან ფულის თემა, მაგრამ არაპირდაპირ. მე ამ თემაზე საუბარი უზნეობად მიმაჩნია. საზოგადოება უნდა მიეჩვიოს, რომ სამართლებრივი გზით მიიღოს ყველაფერი, რაც ეკუთვნის. ცივილიზებული სამყარო მივიდა აქამდე.

— გამორცხულად მიგაჩნიათ, როგორც იშოვა ფული, ისე დახარჯოს და პასუხისმგებლობას თავი აარიდოს? გამოძიების ტენდენციურობას ხომ არ გრძნობთ შემთხვევით?

— ესეც არ არის გასაკვირი, თუმც ჯერ ვერაფერს ვიტყვი დაბეჯითებით. პრობლემები არსებობს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს კანონმდებლობის გაუმართაობის ბრალია.

— პრეზიდენტმა ბრძანა, ამ საქმეს პირად კონტროლზე ავიყვანო. რა შეიცვალა ამის შემდეგ?

— შევარდნაძემ ზოგადად პოლიტიკური განცხადება გააკეთა და მეტი არაფერი. დღეს ქვეყანაში ისეთი დაძაბული ვითარებაა, მაგისთვის თუ სცალია შევარდნაძეს, ყოჩაღ! თუმცა, ეს ინციდენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა მრავალთან შედარებით.

ბეჟა ძალდანი

რუსეთის ჯეელი პრეზიდენტი ქართველ კოლეგას დაუფარავი აგრესიით ეპყრობა

არაფერი ხდება ისეთი, რაც არ მომხდარა, ან არ მოხდება. ქართული საზოგადოების ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში მიედინება. „ქურდები ქურდობენ, ბო...ი ბო...ენ, მათხოვრები მათხოვრობენ". თუკი კითხვა — „რაზვე ეტო ნორმალნო?" გაუჩნდება ვინმეს, მაშინ მან ისიც უნდა თქვას, რა იქნება ნორმალური და როგორ უნდა ვუწამლოთ იმ სატკივარს, რაც საქართველოს კარგა ხანია სტკივა. ქართული საზოგადოების ყველაზე დიდი „თავის ტკივილი" სწორედ ის „თავია", რომელიც ზოგჯერ ყროლდება კიდეც. მოდით ჩვენც თავიდან დავიწყოთ.

გასულ კვირას, საქართველოს პრეზიდენტი რუსეთში დსთ-ს სამიტზე იმყოფებოდა. როგორც პოლიტოლოგები ამბობენ ეს ვიზიტი ჩვენი ქვეყნისათვის მომგებიანი იყო, რადგან შეუთარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა ის, თუ როგორ ჩაგრავს დიდი და ძლიერი რუსეთი პატარა და სუსტ საქართველოს. თუ როგორი ღია, დაუფარავი აგრესიით ეპყრობა „ველიკაია დერჟავის" ჯეელი პრეზიდენტი საქართველოს ხანშიშესულ კოლეგას, რომელსაც ისღა დარჩენია, რომ ბოდიში მოიხადოს, რადგან მისი ქვეყნის დაბომბვის შედეგად ადამიანთა მსხვერპლი და სისხლი არ მოჰყოლია. ეს გარეგნულად. იყო თუ არა ვიზიტი ასეთივე შედეგიანი მისი შინაარსით? გააჩნია ვისთვის როგორ, თუმცა მოდით თავად პრეზიდენტს მოვუსმინოთ: „შეხვედრა გულახდილი, კეთილგანწყობილი და საოცრად საჭირო იყო". ამ სიტყვებით უნდა ვავარაუდოთ, რომ შევარდნაძემ რაღაც კონკრეტულ შედეგს მიაღწია. და მაინც რას? შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ ჩქარობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას, რადგან მას არ შეუძლია დაზუსტებით თქვას, რა ძალა ჩაენაცვლება რუს სამშვიდობოებს მათი გაყვანის შემთხვევაში. ასევე მშვიდად საუბრობს პრეზიდენტი გუდაუთაში რუსეთის ბაზის ნაწილის დატოვების შესახებ. რაც შეეხება ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებს, მათზე საუბარი მას მომავლის საქმედ მიაჩნია.

ისტორიას უყვარს განმეორებები. ცხრა წლის წინ, სოხუმის დაცემის შემდეგ საქართველო შევარდნაძის ინიციატივით დსთ-ში გაერთიანდა. შედეგი დროებითი მშვიდობა, რომელიც იმ დროს ასე სჭირდებოდა საქართველოს პრეზიდენტს. გადის დრო. სწორედ ამ დრომ აჩვენა შევარდნაძეს, რომ საჭირო იყო საგარეო პოლიტიკური კურსის დასავლეთისაკენ გადახრა. მიზეზი? ეკონომიკური სიდუხჭირე, რომლის რეანიმაციაც თავად დაუძლურებულ რუსეთს არ შეეძლო. ამერიკა კი ნამდვილად წარმოადგენდა ეკონომიკური სტაბილიზაციის გარანტს თავისი მრავალმილიონიანი კრედიტებით. დაიწყო ე. წ. სტაბილიზაციის ეტაპი საქართველოში. ბრუნვაში შემოვიდა ქართული ფული, რომელიც გამყარდა ვალიუტით, შემოვიდა კრედიტები, ჰუმანიტარული დახმარებები, რომელნიც .შევარდნაძის გარშემო მბრუნავ შემოწმებულ, პირთა და მისივე ოჯახის წევრთა ჯიბეში დაილექა. სწორედ ისინი გახდნენ საყრდენნი პრეზიდენტის მმართველობისა საქართველოში.

ისევ გავიდა დრო და ისევ დრომ აჩვენა შევარდნაძეს, რომ მასა და მის გარემოცვას ემუქრება საშიშროება და რომ იგი სწორედ დასავლეთიდან მოდის. ამ საშიშროებას კი სახელად განახლება, კორუფციასთან ბრძოლა ჰქვია. ისევ დადგა დრო პოლიტიკური პარტნიორის ძიებისა და შევარდნაძის პოლიტიკური კომპასი ისევ ჩრდილოეთისკენ გადაიხარა. რამდენად ძვირი იქნება საქართველოსათვის შევარდნაძის ახალი პოლიტიკური ავანტიურა ამას დრო გვიჩვენებს. იმაში კი, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის რუსეთში ვიზიტი ქვეყნისათვის თუ არა წამგებიანი, მომგებიანი ნამდვილად არ იქნება, არავის ეჭვი არ ეპარება.

რატი ზურაბიშვილი

წკიპურტები

როდის ჩამოაგდებს თევზაძე პისტოლეტით რუსულ თვითმფრინავებს?!

პანიკისა ხეობის პერიოდული გაუთავებელი ბომბვა მოსახლეობას პანიკაში აგდებს, თუმცა ანალოგიური რეაქცია თავდაცვის სამინისტროს სულაც არა აქვს. კარგად იცან, საქართველოს დაცვა არ შეუძლიათ, სხედან და დუმან.

რატომ ვერ ვაგდებთ რუსულ თვითმფრინავებს? — კითხულობს ხალხი ამ დუმილით გაოცებული. არავინ ამბობს მოძველებული, ამორტიზირებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ლოკატორები არ გვივარგაო. თევზაძეს ეტყობა, ისიც დაავიწყდა, რუსების კოდორზე შეტევების დროს რომ ამბობდა, ეს აღარ მოხდება, ყველა მტრულ თვითმფრინავს ჩამოვაგდებთო. „ტკბილი" მეზობლის ბრალეულობის დოკუმენტურად დამტკიცება მხოლოდ ამ ხერხით თუ შეიძლება, მაგრამ შეგვწევს კი ძალა?! თუ უნდა ველოდოთ, როდის ჩამოაგდებს თევზაძე პისტოლეტით რუსულ თვითმფრინავებს?!

აშკარა დაუჯერებელი ანუ შეღებილი შავი პური?!

რას არ გაიგებს კაცი ჩვენთან. ენა უძვლოა და ვისაც რა გაეხარდება, იმაზე საუბრობს. თავის ჭიას სურვილისამებრ ახარებს. ზოგი ჭორია, ზოგიც მართალი, ზოგი აშკარაა, ზოგიც დაუჯერებელი, აი, აშკარა და თანაც დაუჯერებელი კი მხოლოდ ის გახლავთ, რომ შავი პური, რომელსაც თბილისში აცხობენ, „კრასკით" არის შეღებილი თურმე. ყველაფრის ფალსიფიცირება გაგვიგია, ღვინის, არყის, სიგარეტის, ჩაის და ვინ იცის, კიდევ რისი არა, მაგრამ პურის?! ჯერ ისე რას გვაჭმევენ, რომ ისიც ფალსიფიცირებული იყოს?! არადა, მართლა აშკარად დაუჯერებელია, ამ თემაზე ფალსიფიცირებული პროდუქციის კონკურენციით შეწუხებული პურის ქარხნის დირექტორები რომ არ საუბრობდნენ.

საინგილოში ქართულ მოსახლეობას ხიფათი ემუქრება

საინგილოში, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს მკვიდრი გიგო გაჯიშვილი მეზობელთან, 30 წლის გელა მურადაშვილთან ერთად საზიარო ყანის დასახედად წავიდა. იგი სოფლიდან 10 კილომეტრითაა დაშორებული. ყანის მახლობლად მთიანი ყარაბაღიდან რამდენიმე დევნილი ოჯახი დასახლებულა. მათ შეხლა-შემოხლა ჰქონიათ ალიბეგლოს ქართულ მოსახლეობასთანაც და თვით აზერბაიჯანელებთანაც. თანაც არაერთხელ. გაჯიშვილს და მურადაშვილს საკუთარ ყანაში დევნილთა ნახირი დახვდათ. გამოდევნა დააპირეს, მენახირეც გამოჩნდა. შეხლა-შემოხლა, სამწუხაროდ, მშვიდად არ დამთავრდა. ქართველები მოტოციკლზე დასხდნენ და სოფლისკენ აიღეს გეზი. მენახირემ მობილურით აცნობა ყარაბაღიდან დევნილ თავის მეგობარს მომხდარის შესახებ. ეს უკანასკნელი ჩასაფრდა გზაში და სანადირო თოფიდან ცეცხლი გაუხსნა მათ. გელა მურადაშვილს ტყვია ზურგის არეში მოხვდა, გიგო გაჯიშვილს — თავში. ეს უკანასკნელი შემთხვევიდან ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. ალიბეგლოს აღშფოთებულმა მოსახლეობამ ბელაქან-ბაქოს მთავარი მაგისტრალი გადაკეტა. მათ კახის რაიონის სხვა ქართული სოფლებიც შეუერთდნენ. სამწუხაროდ, მათ მოთხოვნას, დამნაშავეები დასჯილიყვნენ, შედეგი არ მოჰყოლია. არაერთი მსგავსი ინციდენტი ახოვს კახის რაიონის ქართულ მოსახლეობას. ყველა შემთხვევა რეზონანსის გარეშე რჩება.

გუშინ საინგილოს ქართველს სცემეს, დღეს მოკლეს, ხვალ რა მოხდება? ფაქტი ფაქტად რჩება, ქართულ მოსახლეობას ხიფათი ემუქრება.

მაია საფარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

«და მე ვტირი, აფხაზეთო ჩემო!»

თამაზ ნადარეიშვილი: „ის ფაქტორი, რომ ასლან აბაშიძეს სერიოზული მხარდაჭერა აქვს რუსეთისგან, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ძვრებს ვერ მოახდენს"

დღეს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული ცვლილებები „პერსონალურ" ხასიათს ატარებს. საკითხთან პოლიტიკური მიდგომის ფორმა კი ისევ უცვლელი რჩება.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა, ფრაქცია „აფხაზეთი" დატოვა. იგი უმართებულოდ მიიჩნევს გათითოკაცებულ ფრაქციაში დარჩენას.

— სამარცხვინოდ მიმაჩნია ფრაქცია „აფხაზეთის" ორ ნაწილად დაყოფა. ვცდილობდი, როგორმე შერიგების პროცესი დაწყებულიყო. ორივე ფრაქციაში არიან ჩემი მეგობრები და თანამებრძოლები... მე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვარ და უხერხულია, რომელიმე ფრაქციაში ვიყო. ვფიქრობ, მხოლოდ ერთი სერიოზული ძალა უნდა არსებობდეს, გარკვეული საკითხების გატანა რომ შევძლოთ.

— ბატონო თამაზ, როგორ უყურებთ ასლან აბაშიძის როლს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში? თუ გავითვალისწინებთ აჭარის ლიდერის მნიშვნელოვნად გამოხატულ პრორუსული ორიენტაციას, ცვლილებებს უნდა ველოდოთ?

— მე ნებისმიერ ინიციატივას მივესალმები, რაც აფხაზეთის დაბრუნებასთან იქნება დაკავშირებული. თავისთავად კარგია, რომ ბატონმა ასლანმა ამგვარი ინიციატივა აიღო საკუთარ თავზე, მაგრამ საეჭვოა, მას დადებითი შედეგი მოჰყვეს. საქართველო ერთიანი სახელმწიფოა, აფხაზეთი — მისი შემადგენელი ნაწილი. ამაზე მეტს ვერც ბატონი ასლანი იტყვის რამეს და ვერც სხვა ვინმე. აფხაზები თავს დამოუკიდებლად თვლიან და ჩვენ მეზობლის ტონით „გველაპარაკებიან". ეს ჩიხია. რუსეთმა რომ უთხრას აფხაზეთს, შედი საქართველოს შემადგენლობაშიო, აფხაზები ამას არ იზამენ. იმ აფხაზს, ვინც ამას მხარს დაუჭერს, არძინბა იქნება, ჯერგენია თუ სხვა, ჩაქოლავენ. ის ფაქტორი, რომ ასლან აბაშიძეს სერიოზული მხარდაჭერა აქვს რუსეთისგან, კონფლიქტის დარეგულირებაში სერიოზულ ძვრებს ვერ მოიტანს.

— იმერეთის გუბერნატორის, თემურ შაშიაშვილის ინიციატივა კონფლიქტის დარეგულირების საქმეში სრული სიახლე იყო: ექვს მაისამდე სახალხო დიპლომატიით ვეცდებით პრობლემის მოგვარებას, მერე კი პარტიზანულ ომს ვიწყებო. როგორ კომენტარს გაუკეთებთ ამ ფაქტს?

— პირველი ნაწილი, სახალხო დიპლომატია, ფაქტობრივად შეუსრულებადია. მისი ინიციატივა მისასალმებელია, პირველი ნაწილის გამოკლებით. თუ ობიექტურად შევაფასებთ პარტიზანების ფაქტორს და ჩადენილ შეცდომებსაც გავითვალისწინებთ, მიზანი მიუღწეველი არაა. თუმცა, უნდა შევეჩვიოთ იმ ფაქტს, რომ არსებობს დახურული თემები. არ შეიძლება ინფორმაციამ გაჟონოს, რომელიც საქვეყნო საქმეს ზიანს მიაყენებს. საქართველო ჭორებზე აგებული ქვეყანაა. ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება — გააკეთოს ისეთი რამ, რაც ნებისმიერ ქვეყანაში ღალატად ითვლება (აქ ყველას ყველაფრის თქმა შეუძლია, პასუხს კი არავინ არაფერზე აგებს).

მარი ჩიტაია

ჯუმბერ ანანიძე: „ვიღაც ქართულ ჯარს გეგმაზომიერად ასუსტებს"

ამდენი წელია, აფხაზეთი დავკარგეთ. მას შემდეგ, თითქოს, ყველაფერი ითქვა, ყველაფერი დაიწერა, მაგრამ ეს თითქოს... ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი და ნიუანსი ისევ უცნობია. და ყველაზე მთავარი, აფხაზეთი ჯერაც „სხვისია". გამუდმებით ვტრიალებთ და ვტკეპნით ერთსა და იმავე ადგილს. ვეძებთ მიზეზებს მისი დაკარგვისა, რათა დაბრუნებამდე მიგვიყვანოს. გთავაზობთ ინტერვიუს პოლკოვნიკ ჯუმბერ ანანიძესთან.

— ბატონო ჯუმბერ, ვიდრე ომის წაგების მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, ორიოდ სიტყვით იქნებ გვითხრათ, საერთოდ რამ განაპირობა ამ ომის დაწყება?

— აფხაზეთის კონფლიქტი წლების მანძილზე მზადდებოდა. ამას ცალკეული საკითხებისადმი საქართველოს ხელისუფალთა არათანმიმდევრული, ანტიქართველური მიდგომა განაპირობებდა. საქმის მიფუჩეჩება, რეალური სიტუაციის შეუფასებლობა ჩვეულ მოვლენად იქცა. ჩვენმა მოუქნელმა პოლიტიკამ გამოიწვია ეს შედეგი. ომში ქართველთა დამარცხება წინასწარ იყო დაგეგმილი.

— ვინ ხელმძღვანელობდა უშუალოდ ჯარს? როგორც ცნობილია, დამარცხებაზე პასუხისმგებლობა არავისთვის დაუკისრებიათ.

— ომს, რა თქმა უნდა, მხედარმთავარი და თავდაცვის მინისტრი ხელმძღვანელობდნენ. სამხედრო ნაწილებს კი სათავეში არაპროფესიონალი ოფიცრები ედგნენ. მათ სამხედრო განათლება არ გააჩნდათ, მაგრამ მაიორის და პოლკოვნიკის ჩინით ხელმძღვანელობდნენ საჯარისო ნაწილებს. როგორ შეიძლებოდა მძღოლებისთვის, ბენზინის გამყიდველებისთვის, საწყობის გამგეებისთვის მიენიჭებინათ პოლკოვნიკობა ან მაიორობა და ჩაებარებინათ ბატალიონის, დივიზიონის მეთაურობა? ამაში პირველ რიგში ბრალი მხედართმთავარს და თავდაცვის მინისტრს მიუძღვის. სამხედრო ნაწილები კადრის ოფიცრებით მხოლოდ 5%-ით იყო დაკომპლექტებული.

საარტილერიო პოლკს, რომელსაც მე ვმეთაურობდი, 120 კადრის ოფიცერი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ მხოლოდ 10 ჰყავდა.

— როგორც ბრძოლის მონაწილე, სოხუმის დაცემას რით ხსნით?

— პირველ რიგში ერთიანი გეგმის არქონით, დისციპლინის დაბალი დონით. დანაშაულის ტოლფასი იყო საარტილერიო პოლკის დაშლა და სოხუმიდან გამოტანა. დანაშაული იყო იქ მოსახლეობის დაბრუნებაც. შევარდნაძე რომ ამბობდა, ომი დამთავრდა, ჩამოდით სოხუმში, გააგრძელეთ მუშაობა, სწავლა, არაფერი მოგივათო, მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი. მივედი მის მრჩეველთან სამხედრო საკითხებში გენერალ ვ. ქვარაიასთან, ვთხოვე, ეთქვა მხედართმთავრისთვის, ეს შეცდომა ძვირად დაგვიჯდება-მეთქი. ჩემი თხოვნა თხოვნად დარჩა. ხალხი სოხუმში დაბრუნდა. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა. ომი წავაგეთ... წავაგეთ თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანაში არ გამოცხადდა საერთო მობილიზაცია, არ გადავედით საომარ მოქმედებაზე. ჩვენ იქ ვიბრძოდით, ბიჭები იხოცებოდნენ, აქ კი ზოგიერთები თბილისიდან დუბაიში და ანტალიაში დასეირნობდნენ. როცა ქვეყანა საფრთხეშია, კეთილი უნდა ვინებოთ და ყველა ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ.

— თქვენ, როგორც პროფესიონალი სამხედრო, როგორ შეაფასებდით დღევანდელ ქართულ ჯარს?

— საქართველო ტერიტორიადაკარგული ქვეყანაა. შეიარაღებული ძალების გაძლიერება, ნამდვილი, ბრძოლისუნარიანი ჯარის შექმნა პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს. დაუშვებელია, ჯარიდან დაითხოვო პროფესიონალები, როცა სახელმწიფოს უჭირს, როცა დასაბრუნებელია ტერიტორიები.

ვიღაც გეგმაზომიერად ასუსტებს ქართულ ჯარს.

დღეს არც ფუფუნება გვაქვს და არც ფუფუნების უფლება. პომპეზურობას ვერ იტანს ჯარი. როდემდე უნდა ვიყოთ სამათხოვროდ ხელგაწვდილები?

ჯემალ ელოშვილი

დევნილებს ახალი მახე დაუგეს
ანუ შავი ფულის კეთება გრძელდება?!

დევნილების ბედზე ფიქრით და დარდით „შეწუხებულმა", „თავატკიებულმა" ჩვენმა ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მათ „დასახმარებლად". გატანჯულ ხალხს ჯერ ისედაც მათხოვრულ დახმარებას დროულად რომ არ აძლევენ, ეს არ იკმარეს და ახლა „გამოცდის" ჩატარება გადაწყვიტეს. არსებობისთვის ბრძოლაში ვინც გაიმარჯვებს, დახმარებებსაც ის მიიღებს, დანარჩენი კი... თუმცა დანარჩენებზე რა მოგახსენოთ, ექსპერიმენტის შემდეგ მათ დახმარებებს რა ბედი ეწევა, დატოვებენ კაპიკების გარეშე თუ არა, ეს ჩინოვნიკებმა ჯერ თავადაც არ იციან. გაოცდება მკითხველი, რომელ ექსპერიმენტებზეა საუბარიო... ამას ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თავადვე მოგვახსენებს.

— ლტოლვილთა მოწმობები ყოველწლიურად იცვლება, თანაც უფასოდ. გასული წლისგან განსხვავებით წელს ცოტა ცვლილებები მივიღეთ. დევნილებმა სსრკ-ს პასპორტის ნაცვლად საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა უნდა აიღონ. გაყალბების საშიშროება არსებობს და პრობლემის მოსაგვარებლად ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია.

გასულ წლამდე საქართველოში ექვსნაირი პასპორტი მოქმედებდა და ცხრანაირი დაბადების მოწმობა (ბავშვებზე). 2001 წლისათვის ორი პირადობის მოწმობა დარჩა. წელს კი ეს პრობლემა საბოლოოდ უნდა მოგვარდეს — ერთი მოწმობა უნდა დარჩეს.

საქმე იმაშია, რომ აფხაზეთში გაცემული სსრკ-ს პასპორტი ვერ კონტროლდება. ამ პასპორტების არქივი, მონაცემთა ბაზა არ არსებობს, ხოლო საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა კონტროლირებადია, კოდირებულია. იგი 62-ით იწყება და თერთმეტი ნიშნისგან შედგება. რამდენჯერაც არ უნდა დაკარგოს მოქალაქემ მოწმობა, ნომერი არ იცვლება, რადგან კომპიუტერის მონაცემთა ბაზაშია შეტანილი. ჩვენ ამით ვცდილობთ, წესრიგი შევიტანოთ აღრიცხვიანობაში.

თემურ ლომაიას ამ სიტყვებში კაცი ეჭვს ვერ შეიტანს და ვერც ვერაფერში შეედავება. პრობლემა მხოლოდ ის გახლავთ, რომ დევნილის მოწმობის აღებას, თუ დახმარების მიღებას ვერავინ მოახერხებს საქართველოს პირადობის მოწმობის გარეშე. მათ კი საბუთის აღების ვადა 31 დეკემბრამდე აქვთ, ანუ აქვე და თამამად შეიძლება ითქვას, დევნილები, რომელთა დიდ ნაწილს საბჭოური პასპორტი აქვს ხელთ, მის გამოცვლას ვერ მოასწრებენ. ბევრი მათგანი „არსებობისთვის ბრძოლაში" დამარცხებული აღმოჩნდება და მათხოვრულ დახმარებასაც დაემშვიდობება. რამდენი ხნით, ეს ღმერთმა უწყის...

მოწმობების პერმანენტული ცვლა შავი ფულის კეთების საუკეთესო საშუალებაა, ამბობენ. მოდი და ნუ ენდობი ამის მთქმელს. ქართული პასპორტები ისედაც იცვლება, უკვე ცნობილია, დევნილებს კი მაინც აიძულებენ მათ აღებას, რომ შემდეგ ისევ გამოცვალონ?!

სამწუხაროდ, „ხელის მოთბობა" უფასო პასპორტების გაცემისასაც ხდება. მოწმობის აღება ოფიციალურად 90 თეთრი ჯდება, მაგრამ... ეს მხოლოდ ოფიციალურად. ისე, თუ ღმერთი გაუწყრა და მართლა 90 თეთრის ანაბარა გამოცხადდა კაცი პირადობის მოწმობის ასაღებად, მისი ბედი, ნამდვილად არ უნდა შურდესო, ამბობენ: მერე ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოსო.

ვინ იჯიბავს ლტოლვილების დახმარებებს?!

ეს ფული სად და ვის ჯიბეში არ ილექება თურმე! მოარული ხმები იმდენ ვინმეს სჯრიან ამ საქმეში, ქვეყანაში ორიოდ პატიოსანი კაცი მაინც დიდოდეს, ნეტავო, უნებურად იფიქრებს კაცი. თბილისში ასე თუ ისე კონტროლდება, რომ დევნილთა დახმარებები დროულად გაიცემა. დასავლეთში კი შვიდი თვის გაუცემელიაო, რომ შეიტყობ, გული გაგისკდება კაცს. თბილისიდან გადარიცხულ თანხას იქ მიზეზთა და მიზეზთა გამო „აპატიმრებენ".

სად მიდის დახმარებები? ზუსტი პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან საქმე ძიებაშია, თუმცა... დაგვიანებული დახმარებები თხილის ბიზნესს ხმარდებაო, ამ არაოფიციალურ ინფორმაციას ყოველგვარი ტანჯვა-ვაების გარეშე მოიპოვებს ნებისმიერი მსურველი.

იმასაც ამბობენ, ძალიან თუ მოიწადინებ კაცი, კუთვნილ დახმარებას უპრობლემოდ, ურიგოდ აიღებ, თუ... ნახევარს მოლარეს დაუტოვებო(?!). სამარცხვინო მათხოვრული 11 ლარის 6,5 ლარით „დაბეგვრას" ბევრი უკვე შესჩვევია და დარჩენილი ექვსლარნახევრისთვის წაღმა-უკუღმა თვეობით წანწალს გადმოგდებული გროშების დროული აღება ურჩევნია.

მინისტრის მოადგილემ მოყვანილი ფაქტები არც უარყო, არც დაგვიდასტურა. მსგავსი ინფორმაციები ჩემს ყურამდეც მოვიდა, მაგრამ აქედან გადარიცხული თანხის გაკონტროლებას ვერ ვახერხებთო, ასე ბრძანა.

მუქთამჭამელი მოლარის საქმეს პროკურატურა იძიებს, ეს ჩვენთვის უკვე ცნობილია, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი და ერთი მოლარის დაჭერა ვერც საქმეს უშველის და ვერც გაზაფხულს მოიყვანს, ეს დევნილებთან ერთად მთავრობამაც იცის.

ედიტა გაგელია

ფაქტები შეულამაზებლად

როგორ ეწევიან ბიზნესს ბიბლიოთეკები?!

ამბავი, ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობა ფასიანი გახდაო, დიდი ხანია, გავრცელდა ხალხში. კომუნისტური ეპოქის იშვიათი მონაპოვარი — უფასო განათლება დღეს საოცნებო საგნად იქცა, მაგრამ წიგნებით სარგებლობაც თუ შეუძლებელი გახდებოდა, ამას კი ნამდვილად ვეღარ წარმოიდგენდა კაცი. ისედაც უვიცობის და სიზარმაცის სინდრომით შეპყრობილ თაობას ესლა აკლდა, წიგნებამდე არ მიუშვან...

ფაქტები ყველაზე ხშირად რუსთავის სახელმწიფო დაქვემდებარების ცენტრალურ ბიბლიოთეკას ამხელენ. სმართლის დასადგენად სწორედ მას ვეწვიეთ. ზემოხსენებული ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე — ლია ბეჟანიშვილი ამ თემაზე საუბარმა, ცოტა არ იყოს, დააბნია და ააღელვა.

— ადრე, რამდენიმე ხნის წინ დირექციიდან მივიღეთ ბრძანება ღამის ფასიან გაცემაზე, მაგრამ დღეს აღარ ხდება ეს. ამჟამად რა პირობებში ხდება წიგნის გაცემა, ჩემთვის უცნობია, თუმცა ვალდებული ვარ, საქმის კურსში ვიყო, — გვითხრა მან.

ყველასათვის ცნობილია, ბიბლიოთეკაში არსებობს „მეგზური“ აბრა, რომელიც წიგნის გატანის მსურველს ამცნობს საფასურს, რომლის გადახდაც მას მოუწევს. ჩვენი გამოჩენისთანავე აბრა უკვალოდ გაქრა. ცხადია, მისი ბედით დავინტერესდით.

„მართალია, ამგვარი განცხადება გვქონდა, მაგრამ იგი ძლიერ შეილახა. იძულებული გავხდით, მოგვეხსნა. მხატვართან გავგზავნეთ, რომ ახალი გააკეთოს“, — იყო პასუხი. უკვე ყველასათვის ნათელია, ალბათ, წიგნის გაქირავების აკრძალვას აქ არც არავინ აპირებს, უფორ მეტიც.

— განა რა გადაახდევინეს იმდენი, რომ ასე საგანგაშო გახდა. წიგნის წაღებას არავის ვაძალებთ. ვისაც არა აქვს საშუალება, აქ დაჯდეს და წაიკითხოს — გვითხრა ქალბატონმა ლიამ.

ფასები საგანგაშო მართლაც არ არის. ღამის ფასიანი გაცემა ანუ წიგნის 12 საათით თხოვება სულ 50 თეთრი ღირს, ხოლო 24 საათით სარგებლობა კი 2-ჯერ მეტი. რამდენად კანონიერია ამგვარი ქმედება, ამაზე არავინ საუბრობს. ერთი კია, ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი ამტკიცებს, შემოსული თანხა ფონდში გროვდება, რათა ელემენტარული საჭირო ინვენტარი — კალამი, წებო, ფურცელი შევიძინოთო.

ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხა ძალზე მწირიაო. ჩვენთვის მათი ეს სიტყვები უცხო არ ყოფილა, მაგრამ მკითხველის ხარჯზე „ბიზნესის“ კეთება, რა საკადრებელია, ამის ახსნა დღემდე ვერ შევძელით. მით უფრო, თუ ეს მკითხველი ახალგაზრდა სტუდენტია.

როგორც აღმოჩნდა, პრობლემა მხოლოდ სასწავლო წიგნებს ეხება. ფიქრი, ვიღაც შეგნებულად ცდილობს, ახალგაზრდებისთვის ცოდნა-განათლების მიღებაში ხელის შეშლას — ეტყობა სიმართლესთან ახლოა. ერთი წიგნით სარგებლობა 1 ლარი თუ ჯდება, იქნებ, კაცმა შეძლოს კიდეც მისი გადახდა, მაგრამ... დავიჯეროთ, მხოლოდ ერთი წიგნი სჭირდება სტუდენტს განათლების მისაღებად? სად მიდის ფული,რომელიც წიგნების გაქირავებით კეთდება? ალბათ, ბიუჯეტის შესავსებად, არა?! ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დამდგარი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის და განადგურების იმდენი მეთოდი არსებობს, ახალგაზრდობის თვალსა და ხელს შუა დაჩლუნგების მცდელობას ამ მეთოდების ნუსხას, სამწუხაროდ, არავინ მიაწერს.

მაია კოპაძე

„სასწრაფო დახმარება ანგელოსების საბუდარი არ გეგონოთ“ ანუ სად მიდის ფული, რასაც მოქალაქე სასწრაფოს ექიმს უხდის?

„დიახ, 03 გისმენთ! — ამ სიტყვებით იწყება ყველა ჩვენგანის ურთიერთობა სასწრაფო სამედიცინო დახმარება „03“-თან, რომელიც ხშირად პაციენტისა და მისი ჭირისუფლის უკანასკნელი იმედია. სამწუხაროდ, ეს იმედი ზოგჯერ ვერ ან არ ამართლებს.

ისევე, როგორც მთელს საქართველოში „03“-შიც ყველაფერი რიგზე ვერაა. ჩვენს აზრს იზიარებს (და ზოგჯერ არც იზიარებს) ამ სამსახურის მთავარი ექიმი ბატონი დავით გველესიანი.

არალირიული ინტერმეცო

მოქალაქე იძახებს „03“-ს, ბრიგადა მოდის. წასვლისას აღმოჩნდება, რომ მოქალაქეს აქვს არა თხუთმეტი ლარი, როგორც ეს სასწრაფო დახმარების მომსახურება ღირს, არამედ 11. ექიმი იღებს 11 ლარს, მოქალაქე ხელს აწერს, რომ იგი გადახდისუუნარობაა, ქვითარს არ ტოვებენ და მიდიან. ჩნდება კითხვა: სად წავიდა ფული?

ლოგიკას თუ მივყვებით, ექიმის ჯიბეში მოხვდა. მოდით, ვნახოთ, რა აზრის ბრძანდება ბატონი დავით გველესიანი ამ კონკრეტულ ფაქტზე.

„რატომ მოუწერა ხელი ავადმყოფმა ქვითარზე?“ — კითხულობს იგი.

„მე არ გამოვრიცხავ ამ ფაქტს, რადგან სასწრაფო დახმარება არ არის ანგელოსების საბუდარი. იქ ისეთივე მოქალაქეები მუშაობენ, როგორც ჩვენ ვართ“. „თქვენ რომ ჯიხურში მიხვიდეთ და სიგარეტის ღირებულება ორი ლარის მაგიერ ლარნახევარი გადაიხადოთ, მოგცემენ სიგარეტს? მოეთხოვა ქვითარი პაციენტს და დატოვებდნენ, ეს დარღვევა ექიმის ბრალი არ არის. ყველას უნდა იცოდეს თავისი უფლებები. ფულის მიმცემიც და ამღებიც ერთნაირად დამნაშავეა“. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონი დავითის პასუხიდან კარგად ჩანს: თუკი სასწრაფო დახმარება დაგვჭირდება (არავინაა დაზღვეული) და მივმართავთ „03“-ს, უნდა გვახსოვდეს, რომ ექიმებიც ადამიანები არიან, მათაც აქვთ ნერვები, მათაც უჭირთ და თუკი ისინი ცდილობენ ფულის „ლევად“ გაპარებას, ხელი უნდა შევუშალოთ (მოვთხოვოთ ქვითარი), თუ ამაში ჩვენ ხელს არ შევუშლით, მაშინ მათთან ერთად ჩვენც დამნაშავე ვიქნებით, რადგან ვაცდუნეთ და მრუდე გზაზე დავაყენეთ.

დასკვნა: პოტენციურო პაციენტებო, არ აცდუნოთ ექიმები! ისინიც ადამიანები არიან!

არალირიული ინტერმეცო (ისევ)

მოქალაქემ ქუჩაში შეამჩნია წაქცეული ადამიანი. იგი (ფეხზე მდგომი მოქალაქე) შეაწუხა მოქალაქეობრივმა გრძნობამ და გადაწყვიტა, დაერეკა სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის. დარეკა „არდში“, მათ უექმობა (!), ანუ ბრიგადის არყოფნა მოიმიზეზეს, ასევე მოიქცა „009 კურაციო“; „03“-ის დისპეჩერისაგან კი ასეთი პასუხი მიიღო: „ნახეთ, სურს კი წაქცეულ ადამიანს სასწრაფო დახმარება?“ კითხვა: როგორ ვკითხოთ უგონო ადამიანს, სურს თუ არა სასწრაფო დახმარების გამოძახება?

ბატონ დავითს ამ კითხვაზე თავისი შეხედულება გააჩნია.

„თქვენ ნახეთ, რომ ის უგონოდ იყო?“ — კითხულობს ჩვენი რესპოდენტი, — „უამრავი მაწანწალაა, ლოთია... გამოიძახებენ ექიმს, მივლენ, ის კი შეაგინებს. ჩვენთან ძირითადად ქალები მუშაობენ, რა სასიამოვნოა ეს? თუმცა სასწრაფომ ეს კითხვა მაინც არ უნდა დასვას“.

დასკვნა: თუ ქუჩაში ნახავთ წაქცეულ ადამიანს, ან მომაკვდავს მაინც, უნდა ჰკითხოთ, სურს თუ არა მას სასწრაფოს გამოძახება. უმჯობესია დაადგინოთ, ვისთან გაქვთ საქმე, ლოთთან, მაწანწალასთან თუ სხვა დანარჩენებთან. მხოლოდ ამის შემდეგ დარეკეთ „03“-ში. გახსოვდეთ! ექიმებიც ადამიანები არიან და მათაც ისევე ეშინიათ გრიპების, როგორც ჩვენ!

არალირიული ინტერმეცო (მესამედ)

იმ ადამიანთა უმეტესობა, რომელთაც ფული აქვთ და არჩევანის წინაშე დგანან, თუ რომელი სასწრაფოდ დახმარება გამოიძახონ, „03“ თუ სხვა დანარჩენი, ამჯობინებს ამ უკანასკნელს. კითხვა: რა ხდება?

„03“-ის მთავარ ექიმს მიაჩნია, რომ „ისინი (ე. ი. კერძო სასწრაფოდ დახმარება“ ლამაზი ხალათებით, აჭრელებული მანქანებით დადიან მხოლოდ, ყუთს რომ გახსნიან, გერმანულ და ამერიკულ მედიკამენტებს ამოალაგებენ, ეს არაფერს ნიშნავს. „ამ მედიკამენტთა უმრავლესობა ჰუმანიტარული დახმარებიდანაა მოზიდული“. „მე ეს ბინძურ საქმედ მიმაჩნია და მეშინია. ქალაქში სირენებით სიარული არ არის მიზანშეწონილი. იმიტომ, რომ ამას ფასი ეკარგება. მართლა რომ დაგჭირდეს, გზას არავინ დაგითმობს. ჩვენთან რომ გამოიგლიან, (იგულისხმება სანანპირო), სირენებს რთავენ, ვითომ ვიღაცას გულზე ხეთქავენ, მაგრამ ეს ასი წელი არ გვაინტერესებს“. „პროფესორი ალექსიძე (ოკულისტი) მათ შარდის ბუშტის კიბოს დიაგნოზით მიიყვანეს ონკოლოგიურში. ონკოლოგები დღესაც იცინიან ამაზე. რაც შეეხება მედიკამენტებს, ჩვენ გვაქვს ხოლმე წყვეტილობა, მაგრამ აუცილებელი გვაქვს. შეიძლება არ გვქონდეს მაგნეზია, მაგრამ შევცვლით დიბაზოლით. არ გვაქვს რელანიუმი, მაგრამ გვაქვს სედუქსენი. გვაკლია ბარალგინი, მაგრამ ანალგინით გავდივართ“.

დასკვნა: თუ ბარალგინს არ გაგიკეთებენ, ანალგინი ხომ ხელთაა. მთავარია, ტკივილი დაყუჩდეს.

არალირიული ინტერმეცო (საბოლოოდ)

მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ შეუძლია თუნდაც იმ 15 ლარის გადახდა. ინვალიდები, პენსიონერები, ბავშვები დაუცველები არიან.

კითხვა: რა გვეშველება?

„ამაზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს. ჩვენ „შპს“ ვართ, სრულ სამეურნეო ანგარიშზე. ეს ასე არ უნდა იყოს. „შპს“ ყველგან გულისხმობს მოგებას. მე ვის უნდა მოვუგო, ადამიანს, რომელიც კვდება? მაშინ შეექმნათ „შპს“ პარლამენტი, „შპს“-ს მთავრობა და ა. შ. მე სიამოვნებით ვიქნებდი „შპს“ პარლამენტის დირექტორი. სასრაფო დახმარება სტრატეგიული დანიშნულების ობიექტია და იგი უნდა მოემსახუროს ყველას, ვისაც ეს სჭირდება. მომავალი წლიდან გადასახადი იქნება 6 ლარი პენსიონერებისათვის, 15 წლამდე ბავშვებისათვის და ქუჩის გამოძახებები იქნება უფასო. ეს შეთანხმებულია მერიასთან, თავად მერთან, საკრებულოსთან და აუცილებლად ასე იქნება“.

ასე რომ, ჩემო ძვირფასებო, ასი წელი თუ არა, გაისამდე მაინც კარგად გამყოფოთ ღმერთმა!

მიგეღწიოთ 6 ლარის გადასახადამდე.

ზურაბ რატიანი

ნამდვილი ამბავი

მათხოვრად გადაცმული ჟურნალისტი მეტროში ნამდვილმა მათხოვარმა კინაღამ სცემა

„ბიძიებო, დეიდებო, დამეხმარეს“-ძახილით გაყრუებულ მგზავრებს მეტროპოლიტენით მგზავრობა, სადაც არის, შესძულდებათ. ათასი ჯურის მათხოვრებით დატენილ ვაგონში წუთი ისე არ გაივლის, ვიღაცის გამგმირავმა კივილმა — დამეხმარეთო, საკუთარი გაჭირვება არ მოგვაგონოს.

იმასაც ამბობენ, ბევრი მათგანი მათხოვარი არც არის, უბრალოდ მაფიაზე მუშაობს, ფულს აკეთებსო. ინტერვიუს მეშვეობით ცოდვის სათავის გამოვლენა ვერ მოვახერხეთ. ვის არ ვთხოვეთ ორიოდ სიტყვით კომენტარის გაკეთება — ხან მოხუცს, ხან ახალგაზრდას, ჭუჭყიანს და მოუვლელს, ხანაც შედარებით წესიერად ჩაცმულ ფულის ჩამომთხოველს. არც ჩვენმა ხვეწნა-მუდარამ გასჭრა და არც „ქრთამის“ შეთავაზებამ. ან კი რამდენი უნდა მიგვეცა, რასაც ისინი დღეში შოულობენ იმასთან შედარებით. იმედგაცრუებულმა ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტეთ, დამნაშავეთა კვალს იქნებ როგორმე წავაწყდეთო. ეგეც არ იყოს, სადაც ჯერ არს, ამ ფაქტს ყველგან თვალს უხუჭავენ და ერთად ვნახოთ, ჩვენ რა ბედი გვეწევაო.

კენჭი ვყარეთ. „გამარჯვება“ ეკას ერგო. ძონძებით „მოვკაზმეთ“, გულიანად გავმურეთ, შუბლზე თავშალი წავუკარით და კოჭლობა-კოჭლობით მეტროში ჩავიყვანეთ.

ასე დაიწყო კომედია, რომელიც ცოტა ხანში ერთ დიდ ორომტრიალად გადაიქცა.

„ბიძიებო, დეიდებო, დამეხმარეთ, ღმერთმა დაგლოცოთო“ — ჯერ გაუბედავად დაიწყო, მერე მოჰყვა, უმატა და უმატა ხმას. საცოდავ „ინვალიდს“ ხურდას ხურდაზე უყრიდნენ ხელებში. „ბედნიერი“ წუთები დიდხანს არ გაგრძელებულა. ვაგონში თორმეტიოდე წლის გოგონა შემოიჭრა. ის ის იყო, თავისი როლის გათამაშება უნდა დაეწყო, კონკურენტს მოჰკრა თვალი და გაშმაშებული ეცა:

— გადი აქედან! დღეს აქ მე ვმუშაობ!

— კარგი ერთი! შენ ვინ ხარ, რო?! — ანალოგიური ტონითვე უპასუხა ეკამ, — მეც აქ გამომგზავნეს სამუშაოდ, რა ჩემი ბრალია, თუ შეეშალათ და ორივე აქ აღმოვჩნდით?!

— მე რომ არ გიცნობ?! — პროვოკაციას წამოეგო.

— არაფერია, გამიცნობ, ახალი ვარ.

ცრუ მათხოვარს ნამდვილმა ყურში უჩურჩულა, სხვა ხაზზე გადადიო. „სტუმარმა“ პოზიცია არ დასთმო. ცოტაც და ეკას ცუდი დღე დაადგებოდა. „ნალდი“ მათხოვარი „ცრუს“ პოლიციით ემუქრებოდა. ნახევარ საათში „სიმწრით ნაშოვნი“ სამი ლარი და ოთხმოცი თეთრი, სადაც იყო „დაიბეგრებოდა“.

ისევ ჟურნალისტის „კარტოჩკამ“ გვიშველა. უცნაური ისტორია მშვიდობიანად დასრულდა.

სამწუხაროდ, მაფიის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენით, თუმცა რწმენა, რომ ეს „საქმე“ უფრო ზევით წყდება, განგვიმტკიცდა.

ედიტა გაგელია

თვალსაზრისი

პირველი გვერდიდან

აფხაზეთის დაკარგვის საბოლოო გაფორმებას ამზადებენ

დავუკავშიროთ თქმულს სხვა ფაქტი. მას შემდეგ, რაც შევარდნაძის „სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეობითა“ და მისივე მთავარსარდლობით მოღალატურად წაგებულია აფხაზეთის ომი (შევარდნაძისა და არძინბას ხროვათა მიერ ერთობლივად ორგანიზებული ომი), შევარდნაძე ახდენს ქართულ-აფხაზური ურთიერთობისა და აფხაზეთში არსებული კონფლიქტის დარეგულირების პრობლემის ინტერნაციონალიზაციას, ანუ მას საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის უმაღლესის — გაეროს — გადასაჭრელად ხდის, ანუ საქართველოს შინაგანი პრობლემა უცხოელთა გადასაჭრელად გამოაქვს. ამავე დროს იგი ოფიციალურად, ხაზგასმით და სისტემატურად აცხადებს, რომ „აფხაზეთი რომ არ ყოფილიყო, ჩეჩნეთი არ იქნებოდა“ და რომ ჩეჩნურ-რუსული ურთიერთობა და კონფლიქტი იმავე რიგის პრობლემაა და იმავე წესით გადაჭრას ექვემდებარება, რაც აფხაზურ-ქართული ურთიერთობა და კონფლიქტი.

დავუკავშიროთ თქმულს ის ფაქტიც, რომ გაეროს გენერალური მდივნის პირად წარმომადგენლად საქართველოში დანიშნულია გერმანელი დიპლომატი, აღმოსავლეთ გერმანიაში გაზრდილი დიტერ ბოდენი, რომელმაც მანამდე, ეუთოს საქართველოს მისიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობისას თავი გამოიჩინა განსაკუთრებული არაობიექტურობით, არაკეთილსინდისიერებით (სახელდობრ, დეზინფორმაციაზე აგებული მსჯელობით) და საქართველოს სახელმწიფო ინტერესთა წინააღმდეგ ოსი სეპარატისტების დახმარებით. არაოფიციალური ინფორმაციით, იგი სეპარატისტებს ურჩევს დაეთანხმონ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნას იმ ანგარიშით, რომ მისი ეს სტატუსი ფორმალური იქნება და გამოყენებული იქნება დემოგრაფიულ პროცესთა იმგვარი რეგულირებისათვის, რომ აფხაზებმა იმიგრირებულ ადიღეელებთან და მუხაჯირებთან ერთად მოსახლეობის უმრავლესობას მიაღწიონ, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარება და საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისათვის გაძლიერებული პოზიციის მოპოვება.

დასასრულ, დავუკავშიროთ თქმულს კიდევ ერთი ფაქტი. დიდი ხანია, ცნობილია, რომ გაეროში შევარდნაძის ხელისუფლების მიერ წარდგენილია საქართველოში აფხაზეთის სტატუსის პროექტი, რომელიც საქათრველოში შევარდნაძის ვიწრო გარემოცვის გარდა არავინ იცის. არის გამოჟონილი ინფორმაცია, რომ იგი ადგენს აფხაზეთის თითქმის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, რომელსაც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან სუსტი ფორმალური კავშირილა აქვს. დღეს ირკვევა (უკვე ღიად და ოფიციალურად), რომ რუსეთს განზრახული აქვს ვეტოს უფლება აღარ გამოიყენოს და უშიშროების საბჭოს საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პროექტის მიღების საშუალება მისცეს.

დასკვნა ნათელია: განზრახულია, ანალოგიური ან დაახლოებით ანალოგიური პირობებით განისაზღვროს ჩეჩნეთის სტატუსი რუსეთის ფედერაციაში და აფხაზეთის სტატუსი საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთი დაპყრობილი ქვეყანაა, აფხაზეთი კი ქართველი ხალხის მკვიდრი ეთნიკური ტერიტორიაა, სადაც ქართველი ხალხია ავტოხთონური და არა რომელიმე სხვა. ეს სტატუსი იქნება იმგვარი, რომ ფორმალურად დატოვებს იურიდიულ დაქვემდებარებას ჩეჩნეთისას რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლებისადმი და აფხაზეთისას — საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი, მაგრამ რეალურად ეს დამოუკიდებლობა იქნება. რუსეთისთვის ეს გამოსავალი მისაღებია ჩეჩნეთში, რადგან იგი დღეს, როგორც ვთქვით, ჩეჩნეთში „ლამაზი“ კაპიტულაციის გზას ეძებს. ამავე დროს იგი მისთვის ხელსაყრელია აფხაზეთშიც, რადგან ამით იგი საქართველოს ჯერ მხოლოდ ფაქტობრივად, შემდეგ კი იურიდიულადაც აფხაზეთს სწყვეტს. აქედან წარმოდგება მისი მზაობაც, რომ აღარ გამოიყენოს თავისი ვეტოს უფლება უშიშროების საბჭოში (რომელსაც იგი უკანონოდ იყენებდა აქამდე, რადგან დაინტერესებულ მხარეს მისი გამოყენების უფლება არა აქვს) და ეს თავისი ნაბიჯი საქართველოსთვის სასარგებლო ნაბიჯად წარმოადგინოს.

ამჯერად, ამ შეთქმულებაში საქართველოს წინააღმდეგ არის ოთხი მონაწილე: რუსეთი, შევარდნაძე, არძინბა მისი ხროვითურთ და ბოდენი. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ბოდენი აქ ფიგურირებს ამჯერად როგორ გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი. თუ გავითვალისწინებთ შეერთებული შტატების დიდ გავლენას გაეროში და ვივარაუდებთ, რომ ბოდენის შერჩევა გაეროს სახელით სამოქმედოდ, შესაძლოა, შემთხვევით არ ხდება, მაშინ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ბნელ ფერებში დავინახავთ.

ნოდარ ნათაძე

რუსეთ-ჩეჩნეთის მოლაპარაკება ბრიტანული ჟურნალის თვალით

THE ECONOMIST, 24-30.XI.

„იმ პრეზიდენტისთვის, რომელსაც ერთხელ ნათქვამი აქვს ჩეჩენ მეამბოხეებთან მოპყრობის ერთადერთი სწორი გზა მათი გასრესაა“ (ლაპარაკია პუტინზე, რედ), ეს საკვირველი შემოტრიალებაა. რამდენიმეკვირიანი ვაჭრობის შემდეგ, რომელიც შეხვედრის დროსა და ადგილს შეეხებოდა, 18 ნოემბერს მომლაპარაკებელნი, რომელნიც ჩეჩნეთისა და რუსეთის პრეზიდენტებს წარმომადგენლობენ, შეიყარნენ პირველ დათქმულ შეხვედრაზე მოსკოვის მთავარ საერთაშორისო აეროპორტში.

რუსეთს კარგა მწარე აბის გადაყლაპვა მოუხდა მას შემდეგ, რაც გამუდმებით იცილებდა თავისი ჩეჩენ მეამბოხეების ხსენებას იმით, რომ მათ მარტოოდენ ტერორისტებად თვლიდა, რომლებიც საბოლოო დამარცხების პირზე იმყოფებიან. კრემლის რუპორი ჩეჩნეთის საკითხებზე, სერგეი ისსტრუმსკი, ჩვეულებრივ, ჩეჩენი პრეზიდენტის, შეიარაღყოფის განსაკუთრებულად ფაქიზ ხაზს ატარებდა, მას „კრიმინალურ“ და „უმნიშვნელო“ პიროვნებად ასახელებდა, რომელიც უღირსია მოლაპარაკებაში მონაწილეობისა „ყველა პირობებში“ გარდა ისეთისა, რომელშიც იგი განსასჯელია და რუსეთის გენერალური პროკურორის კითხვებს პასუხობს.

„ამ ცვლილების სავარაუდო მიზეზი ისაა, რომ, ალბათ, თვით პრეზიდენტმა პუტინმა გაიცნობიერა, რომ, მისი გენერლების ყველა კვეხნის მიუხედავად, ისინი არსად არ არიან მიახლოებულნი ჩეჩნეთის ომში გამარჯვებას. მათი ძალები დუღინობით ზარალს ნახულობენ ყოველთვე და მხოლოდ ფომფლოდ თუ აკონტროლებენ ჩეჩნეთის ძირითად დასახლებულ ცენტრებს. რუსეთის ჯარისკაცები ისევ ჩვეულებრივად ეწევიან გამოძალვასა და ძარცვას და მათ ბრალი ედებათ წამებისა და ადამიანთა მოტაცებებისათვის.

„სასოწარკვეთილმა ჩეჩნებმა, რომლებიც ხშირად ამავე წესით პასუხობენ, აგრეთვე დიდი დანაკლისი განიცადეს. მათ ვერ მიაყენეს რუსებს გადამწყვეტი დარტყმა და არ ეტყობათ, რომ ეს ამის იქით შეძლონ. ახლა მათ წინ უდევთ მესამე გამომფიტავი ზამთარი მთებში. ვინაიდან ჩეჩნებს აბრალებენ კავშირს ბინ ლადენთან, მათთვის ძნელდება საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. ბატონი მასხადოვი გაემიჯნა თავის ორ მთავარ რადიკალურ მეთაურს — შამილ ბასაევსა და იორდანიაში დაბადებულ ხატაბს, ისევე როგორც რუსლან გელაევს, რომელსაც ეკუთვნის ამასწინანდელი რეიდი ჩეჩნეთის საზღვრის სამხრეთით, საქართველოში. მასხადოვის ხალხი ამბობს, რომ თუ ავღანეთში ვინმე ჩეჩნები იბრძვიან, ეს თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები არიან.

„პოლიტიკური არეულობა ჩეჩნეთში სამხედროს არ ჩამოუვარდება: კრემლის მიერ მხარდაჭერილი მარიონეტული მთავრობა გაყოფილია, სუსტია და სახელგატეხილია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი ვერ იცავს რიგით ჩეჩენს აღვირახსნილი რუსი ჯარისკაცებისგან. დანგრეული რესპუბლიკის აღდგენა ახლაღა იწყება.

„ჩეჩნების თვალში ბატონ მასხადოვს მცირე საერდენი ძალა ჰყავს მებრძოლთა მისი საკუთარი ჯგუფის გარეთ. ზოგნი ამბობენ, რომ იგი დიდ დროს ატარებს მეზობელ ქისტეთში დამალული. მისი მთავარი მომლაპარაკებელი დაბანაკებულია თურქეთში, მისი ბეჭდვითი ორგანო — პარიზში. ალბათ, ჩეჩენ სამოქალაქო პირებს სჭირდებათ მშვიდობა, საჭმელი, სითბო, წამალი და სამუშაო ადგილები უფრო, ვიდრე დამოუკიდებლობა.

„როგორც არ უნდა იყოს, ჩეჩნეთის ფორმალური სტატუსი, ალბათ, ან მიიჩქმალება (მოლაპარაკებათა პროცესში, რედ), ან გაიყინება. ბატონი მასხადოვი აღარ მოითხოვს პირდაპირ და დაუყოვნებლივ, რომ ჩეჩნეთს დამოუკიდებლობა მიეცეს. მომლაპარაკებლებს მოუხდებათ შეთანხმდნენ დაწვრილეთეულებულ გარიგებაზე, რომელიც მოიცავს ერთდროულად განიარაღებას აჯანყებულთა მხრიდან და ჯარების გაყვანას რუსეთის მხრიდან, აგრეთვე შეთანხმებას ხელისუფლების განაწილებაზე ბატონ მასხადოვის ხალხსა და პრომოსკოვურ ჩეჩნებს შორის. გარეშეებს ძალუძთ წაუბიძგონ მოლაპარაკებას და იგი გარანტირებულად მიიყვანონ შეთანხმებამდე, („გარეშეებში“, როგორც ჩანს, საერთაშორისო საზოგადოებრიობა იგულისხმება. რედ). ჩეჩნებს ეს გაუხარდებათ, რუსებს, ჯერჯერობით, არა. ორივე მხარის კრიმინალები ომში მოგებას ნახულობენ, როგორც რუსი ქორი გენერლები, ისე მეამბოხე მეამბოხე კრიმინალები დაინტერესებული არიან მშვიდობისთვის ხელის შეშლაში.

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება
«ესენგეს» სამიტზე შევარდნაძის მოქმედების გამო

საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის, რომ ე. შევარდნაძის ქცევა „ესენგეს“ ქვეყნების სამიტზე და რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრაში იყო სამარცხვინო კაპიტულანტობისა და უპრინციპობის ნიმუში, რომელიც შეუთავსებელია პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს განმსაზიერების, ღირსებასთან. შევარდნაძეს არ ჰქონდა და არ აქვს უფლება რუსეთისათვის სრული იურიდიული ფორმით პასუხის არმოთხოვნისა საქართველოს ტერიტორიის ღია დაბომბვათა მთელი სერიის გამო, ასევე როგორც იმ მსხვერპლის გამო, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა განიცადეს, დასახიჩრების სახით ამ დაბომბვათა შედეგად თუშეთში ამ ორი წლის წინ. ე. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გვაჩვენა თავი, როგორც თავისი კონსტიტუციური მოვალეობის არშემსრულებელმა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკისათვის პროფესიულად მოუმზადებელმა და როგორც მორალის პრინციპთა არმცოდნე პიროვნებამ, რომელთა მიხედვითაც დაუშვებელია ყოველი ინდივიდუალური ადამიანისათვის მიყენებული დანაშაულებრივი ზიანის დაუსჯელობა. საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ ე. შევარდნაძის დარჩენა საქართველოს სახელმწიფოს სათავეში შეუთავსებელია როგორც საქართველოს სახელმწიფოს პრაქტიკულ პოლიტიკურ ინტერესებთან, ისე ქართველი ერისა და სახელმწიფოს ღირსების შენარჩუნების ამოცანასთან.

სახალხო ფრონტის გამგეობა

ამერიკელები არჩევანის წინაშე

6.XI ვარშავაში ბუშმა განაცხადა, ავღანეთი ჩემი ძალისხმევის დასაწყისიაო. ძალიან სწრაფმა გამარჯვებამ თალიბებზე საჩქარო გახადა იმის ამოცნობა, თუ რა იგულისხმება ბუშის სტრატეგიის შემდეგ ფაზად.

პასუხის ერთი ვარიანტი ისაა, რომ, რაკი აღმოსავლეთში სამხედრო ძალით დიდი პოლიტიკური კაპიტალი მოიპოვა, ბუშს შეუძლია ახლა თავს მისი ხარჯვის უფლება მისცეს, ერთერთ არაბულ სახელმწიფოზე იერიშის მიტანა, ცხადია, ასეთი კაპიტალის ხარჯვა იქნება, და არა შეძენა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სადამ ჰუსეინს დიდი ზიანის მოსაყენებლად საშუალებებიც აქვს (ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღი) და თავისებურად მოტივირებული სურვილიც, იგი იმდენად სახიფათო ფიგურად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომ მის მოსაცილებლად „კაპიტალის“ დახარჯვა ღირდეს. მეორე მხრივ, ამერიკელები დაინტერესებულნი არიან ებრაულ-არაბული კონფლიქტის მოგვარებაში (რადგან ამ რეგიონში თავისი რაციონალური კონტროლის ქვეშ მყოფი სიწყნარე უნდათ, სადათზე დარტყმა კი ამ მიზნის მიღწევას შეაფერხებს. ახლო აღმოსავლეთის დაწყნარების მიზანს რომ ამერიკელები გულწრფელად და გულმოდგინედ მისდევენ, ეს უდავოა, მიუხედავად იმისა, რომ არც ბუში აკავშირებს მის მიღწევასთან თავის პირად ავტორიტეტს, როგორც კლინტონი აკავშირებდა, და ვერც სახელმწიფო მდივანი პაუელი, რომელიც ამ მოგვარების გულმხურვალე მაძიებელია, ადგენს დარეგულირების რაიმე კონსტრუქციულ გეგმას. ყველა ამ ნუანსთა ფონზე მაინც ყველაზე უფრო სარწმუნო ვარაუდია ის, რომ „მეორე ფაზად“ ამერიკელთა დღევანდელ აქტივობაში სადამ ჰუსეინის პრობლემის გადაწყვეტა იგულისხმება.

ამ პრობლემას თავისი პრინციპული სიძნელეებიც აქვს და ტექნიკურიც. პირველთა გამო (მათ ნაწილს ქვემოთ დავასახელებთ) ოფიციალური პირები, მათ შორის თავდაცვის მდივნის მოადგილე ვოლფოვიცი, ჰუსეინის ტერორისტული მიმართულების ხსენებისას იმასაც აღნიშნავს ხოლმე, რომ ის ამ ტიპის „ერთადერთი“ ფიგურა არაა, არიან სხვანიც. ტექნიკური ისაა, რომ ჰუსეინის ოპოზიცია, რომლის ხელითაც იგი უნდა გადავარდეს, თუ ამერიკელებს არ ჰსურთ მთელი ჭუჭყიანი და სისხლიანი სამუშაო თავისი ხელით ჩააატარონ, ძალიან განსხვავდება ავღანური „ჩრდილო ალიანსისაგან“, რომელიც თალიბებთან უშუალო ტაქტიკურ შეხებაშია ბრძოლის ველზე. მას არც პლაცდარმი გააჩნია შეტევისათვის, არც მხარდამჭერი მეზობელი ქვეყნებისგან. მაგრამ ძლიერი არგუმენტი ჰუსეინზე დარტყმის სასარგებლოდ ისაა, რომ ეს დარტყმა, ერთის მხრივ, და სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობით არაბთა გულის მოგების გეგმა, მეორეს მხრივ, უსათუოდ ურთიერთგამომრიცხველი ნაბიჯები კი არაა, არამედ, შესაძლოა, ურთიერთშემავსებელიც. დადებითი გადაწყვეტილების მიღებას ემხრობიან ყველა მიმართულების პოლიტიკოსები და, როგორც გამოკითხვით შეიძლება ვივარაუდოთ, ამომრჩეველთა დაახლოებით ნახევარი. უარყოფითს ემხრობიან პროფესიული დიპლომატები და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. პირველნი ემყარებიან ავღანეთის გაკვეთილს მის იმ ნაწილში, რომ ამერიკის სამხედრო ძალას, თურმე, შეუძლია ძალიან თავგანწირული წინააღმდეგობა მასობრივი ტაქტიკური კონტაქტის გარეშე გატეხოს, მეორენი — მის იმ ნაწილში, რომ ამ სახის ომში გადამწყვეტია მომხრე ადგილობრივი ძალის ყოლა (როგორც „ჩრდილო ალიანსი“ აღმოჩნდა), რომელიც ტაქტიკურ კონტაქტს თავის თავზე აიღებს. მესამე, პრაგმატული პოზიცია შემდეგია: ბინ ლადენისგან განსხვავებით, სადამ ჰუსეინს „უკანა მისამართიც“ აქვს. იგი შეგიძლიათ ნაცვალგების მუქარით შეაკავოთ მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენებისაგან. მაგრამ ჰუსეინის ფსიქოლოგია, უფრო სოლიდური ფიგურებისაგან განსხვავებით, ძნელი გასათვლელია და, გარდა ამისა, მან შეიძლება თავისი არსენალი სხვასაც მიაშველოს, — თუნდაც იმავე ბინ ლადენს, — როგორც ბრძოლის უკანასკნელი საშუალება. კიდევ ერთი გამოსავალი ისაა, რომ ჰუსეინს გაეროს ინსპექტორები შეაშვებინონ თავის ქარხნებსა და ლაბორატორიებში ეკონომიკური სანქციების შერბილების საფასურად. ამით შერბილდებოდა რუსეთის პოზიციაც და ბრიტანეთისაც (არც ერთ მათგანს ერაყზე დარტყმის დაშვება არ უნდა). მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც სადამს შეუძლია ინსპექტორების მოტყუებას ეცადოს. ამ ალტერნატივათა შორის არჩევანი, ფაქტობრივად, მხოლოდ ბუშის ხელშია, რომელიც, სავარაუდოა, დადებითი პასუხისკენ უფრო იხრება, მაგრამ ჯერჯერობით დუმს.

ამ ჟრცელ ანალიზში, რომელსაც ჟურნალი აქვეყნებს და აქ მოკლედ გადმოვცით, გვერდი აქვს ავლილი ერთ დამატებით მომენტს: ესაა ვითარების ზოგადი ფონი, რომელიც საკითხთა მკვეთრ დასმასა და გადაწყვეტის ძიებას, თავისთვადვე, დასავლეთისთვის სასურველ მოვლენად ხდის: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აქტიურ მოქმედებაში, ზოგადად, წარმატების თვალსაზრისით, პლუსები მეტია, ვიდრე მინუსები. მეორეც, იმიტომ, რომ უკვე მინიშნებული ეკონომიკური დაქვეითების პირობებში, რომელმაც, მაგალითად, ის გამოიწვია, რომ ერთი წლის მანძილზე შეერთებული შტატების ეკონომიკის ზრდა თითქმის არ მოხდა, დიდი ეკონომიკური ეფექტი ექნება სახელმწიფოს თვითმობილიზაციის მასშტაბური სახელმწიფოებრივი ამოცანათვის, სამხედროსა და გეოსტრატეგიულის ჩათვლით. ეს ფონი მუდმივმოქმედ ფაქტორთა რიცხვს ეკუთვნის და საფიქრებელია, მან თავისი როლი შესრულოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (№8 (1771) 7.XI.01წ. გვ. 6) პუბლიკაციის: „ბუნებაში არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა — არსებობს გამოუყენებელი მდგომარეობა“, ავტორის გვარი შეცდომითაა — უნდა იყოს დ. დავითიონი (და არა „დავითიანი“). მასალის გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტური ინფორმაცია

ავღანეთის გვერდი

ომი, რომელიც ჩვენც გვეხება

ქართველ საზოგადოებას — და, სამწუხაროდ, პოლიტიკოსებსაც — წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რა ხდება ავღანეთსა და მის მიმდგომ ქვეყნებში, რა ფაქტორები დგას, გარდა ტერორიზმის აღკვეთის წმინდა მიზნისა, ამ ომის უკან და რა ხიფათს თუ პოზიტიურ შესაძლებლობებს შეიცავს იგი ჩვენი ქვეყნისთვის. საკმარისია ითქვას, რომ გარდა გაზ „საქართველოს“ 2 სექტემბრის პუბლიკაციისა — პუბლიკაციისა, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტებამდე 9 დღით ადრე მოხდა, — საქართველოში კრინტი არ დაძრულა იმაზე, თუ რა ინტერესები აქვს დასავლეთს შუა აზიაში, როგორ იზიდავს იგი სხვადასხვა ქვეყნებს და რაში მდგომარეობს ამ ინტერესის განსაკუთრებული წონა მსოფლიო პოლიტიკაში. რატომ ისწრაფიან ამ წმინდა საქმეში მონაწილეობისაკენ არა მხოლოდ ისინი, ვისაც ხიფათი უკვე შეეხო, არამედ სხვანიც? რა მოგება აქვთ მათ, გარდა მორალური მოვალეობის მოხდისა, და რა ხარჯი? და, უპირველეს ყოვლისა: რას უქადის ეს ომი საქართველოს, რომლის სიშორე შუა აზიისა და ავღანეთის პროცესებისაგან მხოლოდ მოჩვენებითია. ჩვენი ქვეყნისათვის ეს ხიფათები მეტისმეტად დიდია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ საქართველოს საჭე დღეს არასაკმარისად განათლებული და ზედმეტად „მეტჩარა“ (გვეპატიოს ეს თამამი სიტყვა) ადამიანთა ხელშია, რომელთაც რეალობის მარტივი გააზრიების უნარი არა აქვთ. პირველი ხიფათი საქართველოსთვის, უდავოდ, ის იყო, რომ ავღანეთის ოპერაციაში ამერიკელთა „ჩაფლობის“ შემთხვევაში რუსეთი იხელთებდა დროს და საქართველოზე სრულმასშტაბიან სამხედრო დარტყმას მოახდენდა (რისთვისაც უკვე დიდი ხანია ამზადებს „საბაბს“, საქართველოში თითქოსდა ჩეჩნური ძალების მოქმედების პროვოკაციული პროპაგანდირების სახით). ეს ხიფათი, ამერიკელების სამხედრო-დიპლომატიური წარმატებისა და რუსებისათვის არაორაზროვანი გაფრთხილების წყალობით, საბედნიეროდ, ჯერჯერობით აგვცდა. მეორე საშიშროებაა ის, რომ, რაკი თალიბები და მათი რეჟიმი დღეს „გამწარებულია“ და, ამდენად, ავანტურებზე წამსვლელთა რიცხვს ეკუთვნიან, შესაძლებელია მათი სახელით და მათი სახელის ამოფარვით საქართველოს წინააღმდეგ ულმობელი ტერაქტები განხორციელდეს სხვა (მეზობელი) ქვეყნის სპეცსამსახურთა მიერ. მესამე, შუა აზიაში და მის მიმდგომ სივრცეში ნებისმიერი დიდი გეოსტრატეგიული და დემოგრაფიული პროცესების აძგრამ შესაძლებელია ისეთი სამხედრო და დემოგრაფიული „წნეცა“ განავითაროს ჩვენი მიმართულებით, რომელიც ჩვენს დასუსტებულ ქვეყანას დევნილი ჯალალედინის შემოსევასავით მიენარცხება. საქართველოს ხელისუფლებას, მოგეხსენებათ, არც ხიფათის დანახვის უნარი და სურვილი აქვს, არც იმ „მოგების“ შესაძლებლობათა დანახვისა, რომელსაც სხვანი ეტანებიან, და არც იმისა, რომ თვითონ ამ „მოგებაში“ წილის მიღებაზე იფიქროს, ამიტომ ვაქვეყნებთ — და მომავალშიც გამოვაქვეყნებთ ხოლმე — მასალებს დასავლეთის პრესიდან, რომლებიც საზოგადოებისათვის გასაგებს გახდის მიმდინარე პროცესთა აზრსა და პერსპექტივას.

„ბინ ლადენი მედიას კაცია და არა გამოქვაბულისა“

ასეთი სათაურით აქვეყნებს „ფაინენშელ ტაიმსი“ ფაჰრან ბოხარის (პაკისტანი) წერილს ამ „№1 ტერორისტის“ შესახებ. ავტორის თქმით, ბინ ლადენს კარგად აქვს აწყობილი კავშირები მას-მედიასთან, რომელიც, ცხადია, მისგან მომდინარე ყველა ცნობას მსოფლიოს ჰფენს. ამ გზით გაკეთდა მისი განცხადებაც „ბირთვული იარაღი მაქვსო“, რაც პასუხი იყო ბუშის გაფრთხილებისა „ფხიზლად ვიყოთ. ასეთი იარაღი არ ჰქონდესო“. თალიბების ლიდერი მოლა მოჰამედ ომარისგან განსხვავებით, რომელიც სურათის გადაღებაზე უარს ამბობს (მას მხოლოდ ფარული კამერით უღებენ), ბინ ლადენი არღვევს ზოგი მუსლიმანური მიმართულების ამ აკრძალვას, რადგან მასმედიის როლი კარგად ესმის.

უეჭველია, რომ ბინ ლადენის ამ ჟურნალისტური შემოქმედების დასაბრკოლებლად მიღებული ზომები შედეგიანი აღმოჩნდება.

რომელი ბრიტანული ძალები იმოქმედებენ ავღანეთში?

ჯერჯერობით სახელდებიან მცირერიცხოვანი ელიტარული ძალები, როგორიცაა სპეციალური საავიაციო სამსახური (SAS), რომლის მოწოდებაა ამერიკის საჰაერო ოპერაციებისათვის მიზნების განსაზღვრა ჩრდილოეთი ალიანსის ძალებთან თანამშრომლობით, ამ ალიანსის მეთაურებთან კონტაქტი და მათი კონსულტირება. ეს ნაწილები კონსულტაციას უწევდნენ ავღანელ მუჯაჰედინებს სსრკ წინააღმდეგ ომის დროს. ამათ დასახმარებლად გამზადებულია ბრიტანული საზღვაო ქვეითი არაბეთის ზღვაში 200 კაცის შემადგენლობით. ჩრდილო ალიანსს კონსულტაციას უწევენ ამერიკული სპეცდანიშნულების ძალებიც.

რაც შეეხება ბინ ლადენის განცხადებას, ბირთვული იარაღი მაქვსო, მას ინგლისელები ყალბად თვლიან: „ვიცით, რომ მას ამისთვის რაღაც მასალები აქვს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბირთვული იარაღისთვის, მაგრამ თვით იარაღი არაო“ („ფ. ტ“ 12.XI).

ბინ ლადენის და თალიბების კონფლიქტი

აშშ თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი ფიქრობს, რომ მოწინააღმდეგე მხარეში გაბატონებული როლი ეკუთვნის ბინ ლადენს და მის ორგანიზაცია „ალკაიდას“, და არა თალიბებს. თალიბებს აქვთ „ნაკლები ფული, სუსტი კომუნიკაციები და განხეთქილება“. მოსალოდნელია, რომ მათში დეზერტირობა გაიზრდება. აშშ სახელმწიფო მდივნის (საგარეო საქმეთა მინისტრის) აზრით, მოსალოდნელია, რომ თალიბთა დიდი დანაკარგების გამო მათ საკმაოდ მკვეთრად მოსთხოვენ პასუხს ავღანეთის იმ ძირითადი მოსახლეობის — პოშტუნების — წარმომადგენელი ტომები, რომლებითაც ძირითადად დაკომპლექტებულია თალიბთა ძალები. ბინ ლადენის ზემოხსენებულ განცხადებას, ბირთვული და ქიმიური იარაღი მაქვსო, პაუელმა „თავშეუკავებელი ტრაბახი“ უწოდა, თუმცა შესაძლებელია, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი ჰქონდესო. ბინ ლადენზე ამერიკელთა ნადირობა მან შეადარა „ნიწილის დევნას ფერმის ეზოში“.

ერთპიროვნული თუ მრავალმხრივი?

ბუშის პოლიტიკა სხვადასხვაგვარად ესმით („ფაინენშელ ტაიმსი“, 12.XI)

ბუშის ბოლო ორი თვის აქტიურობა ანტიტერორისტულ მოქმედებაში მოკავშირეთა ენერგიული ჩართვის მიზნით იწვევს კითხვას: ხომ არ შემოტრიალდა აშშ პრეზიდენტი ერთმტრიალი საგარეო მოქმედების პოლიტიკიდან, რომელსაც აქამდე მისდევდა, მრავალმხრივი მოქმედების პოლიტიკისკენ? მართალია, ბუშის არჩევის დროს არსებული შიში, რომ ბუშის ადმინისტრაცია მკვეთრად ერთპიროვნულ საგარეო პოლიტიკის კურსს დაადგებოდა, 11 სექტემბრის შემდეგ აღარ არსებობს, მაგრამ მისი მრავალმხრივობა დღეს მაინც მხოლოდ იმ ფაქტში გამოიხატება, რომ ანტიტერორისტულ კამპანიას მრავალნი აჰყვნენ.

დიპლომატები თვლიან, რომ ჭეშმარიტი მრავალმხრივობა ის იქნებოდა, ამერიკელების მოქმედება რომ სხვა ქვეყნების მთავრობათა სულისკვეთების მგრძნობიარე სიმებს ანგარიშს უწევდეს, მაგრამ ეს ნაკლებად თუ ხდება. ერთი დიპლომატისა არ იყოს, აშშ-მ დაამყარა პოლიციის რაზმის დიპლომატია, რომელშიც აშშ შერიფის როლშია, სხვანი კი — მისი გუნდისაში.

თალიბი მებრძოლები ლოცულობენ

11 სექტემბრის ტერაქტმა აშშს უბიძგა, საჩქაროდ გადაეხადა გაეროსთვის 582 მლნ დოლარი შესატანი, რომელიც ემართა, და კოფი ანანმაც არ დააყოვნა №1373 რეზოლუციის მიღება, რომელიც ტერორისტთა დაფინანსებას გზას უკეტავს. აშშ ხელისუფლებამ დაუფასა მას ეს ნაბიჯი. მაგრამ ზოგ მის მსმენელს გენერალურ ასამბლეაში მაინც დარჩა შთაბეჭდილება, რომ ლექციას ისმენდა. ბუშმა თქვა, რომ ოპერაციაში მონაწილეობის მოვალეობა „ყველასათვის სავალდებულოა, ვისაც ამ დარბაზში ადგილი აქვს“. მრავალი მთავრობა ამ ვალდებულებას სერიოზულად ღებულობს და ჩვენ ამას ვაფასებთ, მაგრამ 1373 რეზოლუციის მიღმაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი ჩვენი ანტიტერორისტიული კოალიციისათვის და ჩვენ ამას მოველით. ჩვენ ვითხოვთ ყოვლისმომცველ ჩართვას ამ ბრძოლაშიო“. ამავე ტონალობის განცხადებები გაკეთდა აშშ-ს ადმინისტრაციის სხვა წევრთა მხრიდანაც. მათ შორის ასეთი: „ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ქვეყნები, რომლებიც ანტიტერორისტულ ძალისხმევაში მონაწილეობენ, ხათრს გვიწევენ. პირიქით, ჩვენ ეს მიგვაჩნია საერთო პრობლემად, რომელიც ყველა ცივილიზებულ საზოგადოებებს უდგას“.

აშშ-ს არც იმ მნიშვნელოვან თემებზე შეუცლია აზრი, რომელთა გამოც მისი პოლიტიკის ერთმხრივობის ეჭვი არსებობდა. ამის მაგალითია ისიც, რომ აშშ-ის ხელმოწერა აკლია კიოტოს ხელშეკრულებას კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე. ასეთსავე შთაბეჭდილებას ქმნის ის, რომ აშშ აქამდე თავს იკავებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის მხარდაჭერისგან, რომელსაც უკვე ხელი მოაწერეს გაერთიანებულმა სამეფომ და სხვა ქვეყნებმა. მრავალი მთავრობისთვის გულდასაწყვეტია აშშ-ს უარიც, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის თაობაზე, აგრეთვე მეამბოხეთა მყოლ ქვეყნებში მსუბუქი იარაღის შეტანის აკრძალვის თაობაზე. თუმცა ევროპელ ლიდერებს არ ეხალისებათ ვაშინგტონის კრიტიკა, ზოგმა მთავრობამ თავ-თავისი საჩივარი გამოთქვა. თუმცა ნატომ გამოიყენა თავისი წესდების მე-5 მუხლი მონაწილე ქვეყნების მიერ სამხედრო ურთიერთდახმარების შესახებ, აშშ-მა მაინც არჩია თავისი საომარი მოქმედება ნატოს ხაზით არ წარემართა.

მრავალმხრივობის ნიშნებს ევროპელები მაინცდამაინც ვერც ამერიკელთა ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში ხედავენ. ისრაელის მხარეც და არაფატის მხარეც მოწადინებულნი არიან აშშ-ს ადმინისტრაციის მუდმივი ინტენსიური ჩაბმულობით მათ ურთიერთობებში, მაგრამ ამერიკელები მნიშვნელოვანწილად განზე დგანან.

„გარდამავალი მთავრობა“ ავღანეთში. რა ინტერესები დევს მის შეძმნაში?

ამ თემას იხილავს გაეროს უშიშროების საბჭო. მისი პირველი ჩანაფიქრია, რომ ეს მთავრობა იყოს „გარდამავალი“, ფართო სოციალური და პოლიტიკური ბაზის მქონე, მრავალეთნიკური და, ამგვარად, ავღანეთის ხალხის სრულად წარმომადგენელი. გაერო მის ფორმირებაში მოიაზრება როგორც „ხელშემწყობი“ („გამაადვილებელი“, „focilitator“. ეს იგივე ფუნქციაა, რაც პირველად რუსეთს მიეკუთვნა აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაში), და არა ხელისუფალი, როგორც კოსოვოში ან აღმ. ტიმორშია. ავღანეთს მოუწოდებენ, ხელი აიღოს „ტერორისტთა თავშესაფრის“ და „ნარკომცენარეთა გამშენებლის“ როლზე. მას მოუწოდებენ აგრეთვე ხელი აიღოს ქალების დისკრიმინაციზიაზე სწავლასა და ჯანდაცვაში. უშიშროების ძალების ჩაყენების საკითხს გაეროს ჩანაფიქრი არ ეხება. ტექსტი მხოლოდ იმას ამბობს, რომ „მხარს დაუჭერს სათანადო უშიშროების ზომებს“.

რაც შეეხება ზოგად შეთანხმებას ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, აქ დაბრკოლებას ქმნის ეგვიპტისა და სირიის პოზიცია, რომლებსაც არ ჰსურთ პალესტინელთა ჩართვა ტერორისტების ჩამონათვალში. თავის მიმართვაში გაეროს გენერალური ასამბლეისადმი ბუშმა აღნიშნა, რომ პალესტინის საკითხი ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია, და მხარი დაუჭირა პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას. მან აგრეთვე თქვა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა უნდა შეეხოს ყველა ტერორისტს, და არა მხოლოდ ზოგიერთს. „ვერც ერთი ეროვნული მიზანი, ვერც ერთი დღემდე ჩადენილი უსამართლობის მოგონება ვერ გაამართლებს უდანაშაულოთა ხოცვასო“.

„ყოველი მთავრობა, რომელიც უარყოფს ამ პრინციპებს და შეეცდება ტერორისტები იყოლიოს მეგობრებად, დაინახავს, ამას რა მოჰყვება“ — განაცხადა მან.

რუსებს ამ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისი აქვთ. მაგრამ გაეწევათ ანგარიში?

(„Новые Известия“, 15.XI)

მას შემდეგ, რაც „ჩრდილოეთის ალიანსმა“ განაცხადა, რომ ავღანეთის ტერიტორიის 80%-ს აკონტროლებს, და ამ ქვეყნის ოთხმა აღმოსავლურმა პროვინციამ თვითონვე დაამხო თალიბების რეჟიმი, რუსებმა თავდაჭერილი სიხარულით გამოთქვეს ეჭვი, რომ შესაძლებელია, ამერიკული სცენარი სავსებით არ ემთხვეოდეს ძლევამოსილი ჩრდილოელი ალიანსისას, პაკისტანისას და ანტიტერორისტული ოპერაციის ერთი-ორი სხვა მონაწილისასაც. თუ გაეროს წარმომადგენელი ლაჰდარ ბრაჰიმი აცხადებს, რომ ახალი მთავრობის შედგენაში „გარდამავალი“ ორი წლის მანძილზე ხელმძღვანელი როლი უნდა ითამაშონ „ექვსმა პლუს ორმა“ ანუ ჩინეთმა, პაკისტანმა, ირანმა, ტაჯიკეთმა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა პლუს აშშ-მ და რუსეთმა, მეორე მხრივ ზოგი ამერიკელი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ საქმე ვერ დარეგულირდება, თუ მასში ევროკავშირის წარმომადგენლებიც არ ჩაერთნენო. მართალია, ინგლისელები და ფრანგები მოწიწებით ეკიდებიან ავღანეთის განდევნილი მეფის ზაჰირ შაჰის რესტავრაციის იდეას, მაგრამ გაეროს და შეერთებულ შტატებს მის თავს ავღანეთის აღიარებული პრეზიდენტი რაბანი ურჩევნიათ. თავისი ინტერესი ირანსაც აქვს: მას უნდა, ავღანეთის კოალიციურ მთავრობაში უხვად იყონ წარმოდგენილნი ავღანელი შიიტები. რაც შეეხება რუსების სურვილსა და ინტერესს, იგი არსად ჩანს. როგორც ეტყობა, მათ „საკვანძო როლზე“ ლაპარაკი არ სცილდება ზრდილობის ვალს, რომელიც რუსეთს „ანტიტერორისტულ“ კამპანიაში ამერიკელებისადმი გაწეული დახმარების საფასურად უნდა მიუზღან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტური ინფორმაცია

ჩინეთიც და ტაივანიც უერთდებიან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას

ორივემ უკვე მიიღეს მონაწილე ქვეყნების ვაჭრობის მინისტრთა დასტური, რათა ამ უძლიერეს საერთაშორისო ორგანიზაციას შეუერთდნენ. მათი შესვლის შემდეგ მასში გაერთიანებული იქნება უკვე დედამიწის მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი. ჩინეთი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა (1 300 მლნ სული) და ვაჭრობით მეხუთე ადგილზე დგას, WTO-ს (World Trade Organization) 143-ე წევრი გახდება 11.X. ჩინეთის ვაჭრობის მინისტრმა, რომელმაც, თავის კოლეგებთან ერთად, ამ მიზნის მისაღწევად 15 წლის შრომა დახარჯა, ამ მოვლენას უწოდა „ისტორიული მომენტი", რომელიც დიდ გავლენას მოახდენს ჩინეთის ეკონომიკაზეც და მსოფლიოსაზეც. ბუშმა პირადად დაუდასტურა კონგრესს, რომ ჩინეთს პირნათლად აქვს შესრულებული ყველა ვალდებულება, რაც მსო-ში მიღებას პირობად ახლავს. საზეიმო ხელმოწერის პროცედურა პეკინში ერთი დღით გადაიდო იმ მიზნით, რომ მანამდე მომხდარიყო ტაივანის დაშვებაც იმავე ორგანიზაციაში, რათა ტაივანს არ გასჩენოდა ეჭვი, რომ ჩინეთი მისი მიღების დაბრკოლებას ცდილობს. ტაივანის სტატუსს მსო-ში ეწოდება „განსაკუთრებული საბაჟო ტერიტორია" და ჩინეთმა იზრუნა იმისთვის, რომ სათანადო დოკუმენტებში არ ყოფილიყო არც ერთი ისეთი ტაივანური სამთავრობო სტრუქტურის ხსენება, რომელიც ამ კუნძულის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე მიანიშნებდეს.

„საქართველოს" მკითხველებმა იციან ჩვენი წინა პუბლიკაციებიდან, რომ ჩინეთს თავისი საგარეო ვაჭრობის დიდი იმედი აქვს და საამისოდ კონკურენტუნარიანობაც შესწევს. მისი დადებითი სავაჭრო სალდო აშშ-თან წლიურ 30 მლრდ დოლარს უდრის. ეს ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია იმისა, რომ ჩინეთის ეკონომიკის წლიური ზრდა 8%-ზე მეტია ოფიციალურად (სინამდვილეში, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა ოდნავ ნაკლები იყოს). მსო-ში შესვლით იგი გაიზრდება.

ჩინეთის ინტერესთა თვალსაზრისით, მისი შესვლა მსო-ში ორჭოფული ნაბიჯია. ერთის მხრივ, იგი კოლოსალურად იგებს საგარეო შემოსავლების მხრივ. მეორეს მხრივ, მსო-ში მონაწილეობა გულისხმობს და მოითხოვს ღია ეკონომიკას, რომელიც ნახევრადკომუნისტურ სახელმწიფოს ყოველთვის ხელს არ აძლევს. მაგრამ ჩინეთის ტრადიცია და მისი ხალხის სულისკვეთება მიუთითებს იმაზე, რომ მას ძალუძს ერთ მშვენიერ დღეს, როცა საჭიროდ ჩათვლის, ერთი მოსმით გაწყვიტოს რაგინდარა მომგებიანი საგარეო სავაჭრო ურთიერთობები და სამხედრო-სამრეწველო თვითმობილიზაციის გზას დაადგეს.



მწვანეთა გემს „რაინბოუ უორიორ" დოპადან აძევებენ

ზღვისქვეშა ელექტროგიგანტური ხაზები ინგლისში

აღმოჩნდა, რომ მინისზედა ელგადამცემი ხაზების მშენებლობა და ამასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პროტესტთა დაძლევა უფრო ძვირიცაა, ვიდრე ზღვის ფსკერზე კაბელის გაყვანა, რომელიც აქა-იქ ხმელეთზე ამოვა, რათა სხვადასხვა დიდი სიმძლავრეები ერთმანეთს დაუკავშიროს და სისტემა შეკრას, და უფრო საწვალებელიც. განსაკუთრებით სჭირდება ასეთი დაკავშირება წყლისა და ქარის ელსადგურებს, რომლებიც დღეს, როგორც წესი, იზოლირებულად არიან განლაგებულნი. 400 კმ სიგრძის კაბელი ჩაიდება დასავლეთ სანაპიროს გაყოლებით.

ხელისუფლება ცდილობს, 2010 წლისთვის შეისყიდოს არანაკლებ სიმძლავრის 10% იმ ელსადგურებისა, რომლებიც აღდგენად ენერგიაზე მუშაობენ (დღეს ეს პროცენტი 3-ს უდრის). ასეთი წყაროებია მდინარეების, მოქცევის და ქარის ენერგია (ეს უკანასკნელი ახალი მშენებლობების სიმძლავრეების არანაკლებ ნახევარს შეადგენს). ინგლისი ევროპის ყველაზე ქარიანი ქვეყანაა და მისი ქარების ენერგეტიკული პოტენციალი ინგლისისთვის საჭიროზე შვიდჯერ დიდია. 2005 წლამდე ინგლისის ქარის ელსადგურების სიმძლავრე 2 ათას მეგავატს მიაღწევს.

არასამთავრობოთა როლი

ბუნებრივია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 142 წევრის ვაჭრობის მინისტრთა მოლაპარაკებაში (იგი შედგა ქ. დოჰაში) ზეგანვითარებულ ქვეყნებსა და ღარიბ ქვეყნებს სხვადასხვა ინტერესები აქვთ. მაგალითად, პირველები მოსურნენი არიან ანტიდემპინგური კანონმდებლობის გადასინჯვისა, მეორენი კი — პირიქით. რაა ამ კონტექტსში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი? თუმცა ამჯერად გარეგანმა ზეწოლამ, გლობალისტური მიმართულების მოლაპარაკებებზე სიტყლში ჩატარებული მოლაპარაკებებისაგან განსხვავებით, ხმაურის ატეხა ვერ შეძლო, ამ არასამთავრობოთა როლი მაინც დიდია. ყველაზე დიდნი მათ შორის (ზოგი მათგანი კი ნამდვილი გიგანტია) თავის დახმარებას სთავაზობენ ღარიბ ქვეყნებს კვლევით სამუშაოებში დახმარებისა, ურთიერთობათა გაბმაში დახმარებისა და მოლაპარაკებათა ტაქტიკაზე რჩევის მიმართულებით. ამ ორგანიზაციათა პოპულარობას და მათ მიმართ ეჭვების განქარვებას, დიდ სახელმწიფოთა აგენტები ხომ არ არიანო, ხელს უწყობს მათ მიერ ისეთი კამპანიების მოწყობა და მხარდაჭერა, როგორიცაა მოძრაობა „ინტელექტუალური საკუთრების" კანონთა შერბილებისათვის. როცა საქმე სასიცოცხლო წამლებს ეხება, ღარიბ სახელმწიფოთა ფერმერების დახმარებისათვის და სხვა.

სიგარეტის გიგანტი იყიდება

მსოფლიოს სიდიდით მეოთხე კომპანია „რიმცმა" აუქციონზე გადის. საწყისი ფასია 6 მლრდ ევრო.

სასამართლო პროცესი ირანში

ა. წ. 11. XI თეირანში დაიწყო ყველაზე დიდი პოლიტიკური სასამართლო პროცესი 1979 წლის აქეთ. განსასჯელთა სკამზეა 30 სული, მათ შორის — ორი ყოფილი მინისტრი. ბრალდებაა ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება. განსასჯელნი „თავისუფლების მოძრაობის" წევრები არიან. პროცესი დახურულია. ბრალდებულებს შესაძლოა სასიკვდილო მუხლები მიეყენოს. „თავისუფლების მოძრაობა", რომელსაც განსასჯელნი ეკუთვნიან, „რელიგიურ ნაციონალისტების" რიცხვს ეკუთვნის. მათი დღესდღეობით დამცველია „მონაწილეობის ფრონტი" — პარლამენტის ყველაზე დიდი პარტია. პრეზიდენტი ხათამი წუხს ამ პროცესის გამო, რომელიც მისმა მოწინააღმდეგე კლერიკალებმა მოაწყეს. შიშობენ, რომ ეს პროცესი გააფუჭებს ურთიერთობას ევროკავშირთან, რომელთანაც ირანი აპირებს ხელსაყრელი ხელშეკრულების დადებას ვაჭრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი შეიცავს მუხლს, რომელშიც „ადამიანის უფლებებზეა" ლაპარაკი. „ჰიუმენ რაითს უოჩი" ამ პროცესს საერთაშორისოდ მიღებულ უფლებადაცვით ნორმებთან შეუთავსებლად რაცხს.

დემოკრატია გამოცდის წინაშე — ინგლისში?

„ფაინენშელ ტაიმსის" პოლიტიკური რედაქტორი, ბრაიენ გრუმი გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მდივნის დევიდ ბლანკეტის განცხადების (11.XI) მეორე დღესვე ეხმაურება ამ მაღალი მოხელის აზრს, ტერორიზმში ეჭვმიტანილები — სახელდობრ, თავშესაფრის მაძიებელი ეჭვმიტანილები — თუ სასამართლოს გარეშე დავაკავეთ, ეს არ იქნება ადამიანის უფლებათა დარღვევაო. თუ ეს მოხდა, ინგლისი დღეს იქნება ევროპის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ადამიანის უფლებათა კონვენციის ნაწილობრივ (სახელდობრ, მისი მე-5 მუხლის) დროებით შეჩერებაზე მიდის. ეს ნაბიჯი გზას უხსნის ლონისძიებათა ვრცელი ჩამონათვალის მიღებას, რომელთა მიზანია ქვეყანა ტერორისტებისგან დაიცვან. თუ სათანადო საკანონმდებლო აქცია მიიღება, რაც წლის ბოლომდე უნდა მოხდეს, დაკავებულნი იქნებიან ოცამდე ოკეანისგაღმელი ეროვნების მოქალაქენი, რომელნიც გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობენ. ადამიანის უფლებათა დამცველმა ჯგუფებმა ინგლისში წყრომით უპასუხეს ამ ინიციატივას. იგი შეადარეს გერმანელთა უსამართლო დაკავებას II მსოფლიო ომის დროს და ეჭვმიტანილ ირლანდიელთა ასეთსავე დაკავებას სპარსეთის ყურის ომის დროს. ამ პროტესტებს ბლანკეტმა იმით უპასუხა, რომ შეახსენა კრიტიკოსებს, ეჭვმიტანილებს ყველა საშუალება ექნებათ, თავი სასამართლოს წინაშე დაიცვანო. მან განაცხადა: „ჩემს ქვეყანას დავიცავ ყველასგან, ვინც მზადაა მისი სტუმართმოყვარეობა ბოროტად გამოიყენოსო". მთავრობას მიაჩნია, რომ მე-5 მუხლის დროებითი შეჩერება გამართლებულია 15-ე მუხლით, რომელიც „საზოგადოებრივ განსაკუთრებულ მდგომარობას" (Public Emergency") ეხება. პროექტით, დაკავებულებს ექნებათ უფლება მიმართონ საემიგრაციო განაცხადთა სპეციალურ კომისიას, რომელიც საქმეს განიხილავს უმაღლესი სასამართლოს ერთი მოსამართლის და კიდევ ორი სხვა მოსამართლის მონაწილეობით, მაგრამ პრესისა და საზოგადოების გარეშე. შემდგომი სასამართლო გადასინჯვა არ მოხდება, მაგრამ თვით კომისია გადასინჯავს საქმეს 6 თვეში ერთხელ. დაკავება შეეხება მხოლოდ იმათ, ვინც ეჭვმიტანილია ტერორიზმში, მაგრამ თავის ქვეყანაში ვერ გასახლდება იმის გამო, რომ იქ მას სასიცოცხლო ხიფათი ელის. ალტერნატივა შეიძლება იყოს მისი გასახლება მესამე ქვეყანაში.

ამ პუბლიკაციას გაზეთი იქვე ურთავს სარედაქციო წერილს, რომელშიც, კერძოდ, ვკითხულობთ:

„სწორი ბალანსის პოვნა საერთო უსაფრთხოებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის ჭეშმარიტი ტესტია ყოველი დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკოსისთვის. ბლანკეტს აბრალებენ, რომ მან ეს ვერ შეძლო.

„გუშინ მან დაგმო ადამიანის უფლებათა დაცვის კამპანიის გამტარებელნი, დღეს იგი გამოაცხადებს, რომ ქვეყანა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, და ეს მას საშუალებას მისცემს ზოგი ძირითადი ადამიანური უფლება შეაჩეროს. ხვალ იგი კანონთა და ზომათა ახალ პაკეტს შემოგვთავაზებს, რომლებსაც ტერორიზმის საფრთხესთან აშკარა კავშირი ექნებათ". მიუხედავად ყოველივე ამისა, რედაქციის აზრით, ბლანკეტი სწორად ითვალისწინებს ბალანსის დამყარების საჭიროებას.

მთავრობას მიაჩნია, რომ რამდენმე ათეული ტერორისტი, რომელიც ეჭვმიტანილია, რომ ტერაქტებში მონაწილეობა მიიღეს საზღვარგარეთ, საფრთხეს უქმნიან ინგლისს. ერთის მხრივ, მათ ვერ დააბრუნებთ მათ ქვეყანაში, თუ თავშესაფარი ითხოვეს და თუ იქ წამება ელით ან თუ ინგლისს მათ სახელმწიფოსთან არა აქვს შეთანხმება ექსტრადიციის (გადაცემის) შესახებ. მეორეს მხრივ, დღეს მათ ვერ დააკავებთ ადამიანის უფლებათა აქციის გამო.

რედაქცია თვლის, რომ უსაფრთხოების იმ ზომებს, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, მთავრობა ფრთხილად უნდა მოეკიდოს. იგი „არ უნდა ეცადოს ნაჩქარევად კანონების მიღებას". „მას ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს იმის აუცილებლობა, რომ მიიღოს კანონი, რომელიც კრძალავს რელიგიურ სიძულვილს და რელიგიურად მოტივირებულ დანაშაულს. ჯერჯერობით მან ვერ დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ამგვარი კანონების დაწერა ისე, რომ კანონგარეშე არ დავტოვოთ კანონიერი კრიტიკა და ჯანსაღი სატირა".

ქალის ბედი ინგლისში

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ინგლისში ქალებს უჭირთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალმა ბიზნესში მაღალ ადგილს მიაღწია, მას მამაკაცურ თვისებებს უქებენ და არა ქალურს. ბრიტანეთის 100 ყველაზე წარმატებულ კომპანიაში ნახევარზე მეტს თავის დირექტორთა საბჭოში არც ერთი ქალი არ ჰყავს. ითვლება, რომ ბრიტანელი ქალი შინაურობის მოყვარული, წყნარი და თავდაჭერილია. ეს ტრადიციიდან მომდინარე თვისება მთავარი მიზეზია ქალთა სუსტი პოზიციისა ბრიტანეთის ბიზნესში. ბრიტანელი ქალი უფრო თავაზიანია ბიზნესში, ვიდრე მისი ამერიკელი კოლეგა. ქალთა 72% ამბობს, რომ პროფესია პირადი კმაყოფილებისთვის აირჩია, ხოლო მხოლოდ 6% — ხელფასის სიდიდის გამო. კაცებში, პირიქით, პროფესია ხელფასის ეშხით 82%-მა აირჩია. ქალები თვლიან, რომ მათი ჩამორჩენა დასაქმებაში არ დამთავრდება მანამდე, სანამ ბავშვების აღზრდის ტვირთს მშობლები თანაბრად არ გაინაწილებენ.

დაახლოებით ასე გამოიყურება ბიზნესში ჩაბმული ქალის იდეალი ბრიტანელთა თვალში

ობიექტური ინფორმაცია

ევროპა, ამერიკა და ინგლისი. მიწისზედა და მიწისქვეშა მიმართებები

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალი — ობიექტური და ბრძენი „The Economist“ — ამ სამთა დამოკიდებულებას უძღვნის სპეციალურ წერილს, რომლის ქვესათაურშიც ნათქვამია, რომ ბლეირი არის ამერიკის ელჩი დანარჩენ მსოფლიოში. აქ გახსნილია მრავალრიცხოვანი ნაკლებ ხილული მოტივები ორი ქვეყნის ურთიერთობისა ევროპასთან და მთლიანად ევროპისა — ამერიკის შეერთებულ შტატებთან, აგრეთვე ამ მოტივთა რეალიზაციის მექანიზმები,მაგრამ, ალბათ, არა ყველა. მკითხველი, ალბათ, მკაფიოდ იგრძნობს, რომ ამ საკუთრივ პოლიტიკური და, მით უმეტეს, დიპლომატიური ვითარებების უკან უფრო რთული სინამდვილე დგას.

1917 წელს ინგლისელმა საგარეო საქმეთა მდივანმა ლორდმა ბალფურმა საფუძველი ჩაუყარა აღთქმულ მიწაზე ებრაული სახელმწიფოს შექმნასა და მომავალ ცნობას. ა. წ. 15 ოქტომბერს კი ინგლისის პრემიერმა ბლეირმა, რომელსაც გვერდით არაფატი ახლდა, თავის რეზიდენციაში გამოაცხადა, რომ მხარს უჭერს „სიცოცხლისუნარიანი პალესტინის სახელმწიფოს“ შექმნას. რეალურად ამას მრავალი წელია მხარს უჭერენ ინგლისი, ევროკავშირი, ამერიკა და ისრაელიც კი, როცა ლეიბორისტული მიმართულების მთავრობა ჰყავს. ბლეირის განცხადება დიდს ვერაფერს შველის პალესტინური სახელმწიფოს შექმნას პრაქტიკულად, რადგანაც იგი არანაირად არ ეხება მოურიგებელ წინააღმდეგობებს მხარეთა შორის, როგორიცაა საზღვრების საკითხი, ლტოლვილთა საკითხი, ებრაული დასახლებებისა და წმინდა ადგილთა საკითხები და ა. შ., მაგრამ, სამაგიეროდ, ეს არის პროპაგანდა ამერიკული პოზიციისა, რომელსაც გამჭოლ მიზნად აქვს, რომ აქაური დაწყნარების ფონზე და აქაური დაწყნარების მისაღწევად მოიგოს ომი ბინ ლადენის წინააღმდეგ. ბლეირს ეს ძალუძს, რადგან მას ეთქმის ის, რაც ამერიკელებს არ ეთქმით, და სალაპარაკოდ მიესვლება იქ, სადაც ამერიკელებს არ მიესვლებათ (მაგ., ირანში). ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ეს როლი სასურველია ამერიკელებისთვის და ამავე დროს იგი სასურველია ევროპელებისთვისაც, რადგან ესაა ევროპელის ხმა, რომელიც ამერიკელებს ესმით და რომელსაც ამერიკელები ანგარიშს უწევენ.

მრავალი შედარებით წვრილმანი ინტერესის ფონზე, რომელიც დღევანდელ ევროპაში ამა თუ იმ მასშტაბურ ან ნაკლებ მასშტაბურ წინააღმდეგობას ქმნის (ამ უკანასკნელის მაგალითია თუნდაც წინააღმდეგობა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის, რადგან პირველს ავღანეთის ოპერაციაში ჩაბმა უნდა, მეორეს კი, დე გოლის ტრადიციისამებრ, ამერიკული არაფერი უნდა), ჟურნალი ახსენებს ზოგ ისეთსაც, რომელიც უფრო მნიშვნელოვან მიზნებზე მიგვანიშნებს. სახელდობრ, ნათქვამია, რომ ბელგიის გამოჩენილი საგარეო საქმეთა მინისტრი ლუი მიშელი ტონი ბლეირს საყვედურობს „ამპარტავნობას“ იმის გამო, რომ იგი ამერიკულ სამხედრო კამპანიაში უფრო მასშტაბურ მონაწილეობას იღებს, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნები.

ამგვარად, მოვლენათა საერთო ფონია ის პერსპექტივა, სახელდობრ — შუა აზიისკენ და მასში ან მის გარშემო არსებულ სივრცეში ასე ან ისე დამკვიდრების პერსპექტივა — რომელიც დღევანდელ ომის მონაწილე და ნაკლებად მონაწილე ქვეყნებს სხვადასხვაგვარად ეშლებათ წინ. ამ დიდი წამოწყებისადმი (რომელსაც ბუშმა „ჯვაროსნული ომი“ უწოდა უცაბედად და ამისთვის მწვავე კრიტიკა შეეხვდა) ერთგულება ევროპის ქვეყნებისთვის ამ ახალ აღთქმულ სივრცეში შესასვლელი გასაღებია.

თუმცა ბლეირის ამ პოლიტიკას აქა-იქ ჩუმი უკმაყოფილებითაც ეკიდებიან, ჯამში იგი თავისი ქვეყნის მხარდაჭერით სარგებლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პოლიტიკის ზოგადი მიმართულების გამჭოლი მიზანი საზოგადოებას ესმის და მას ფართო მხარდაჭერა აქვს.

საქართველოს ინტერესთა თვალსაზრისით, მოვლენათა ამ განვითარებაში საყურადღებოა ორი რამ. პირველი: ესოდენ ცხოველი ინტერესი შუა აზიისადმი იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი, რომელიც დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის თითქმის ერთპიროვნული მმართველია, არ არის იმ „გუნებაზე“, რომ რუსეთს შუა აზიასთან მისი მაკავშირებელი ერთადერთი სივრცის —ამიერკავკასიის — საქმეთა თანამონაწილის სტატუსი დაუთმოს. მეორე: დასავლეთი მუდამ ეცდება, თავისი მონაწილეობა მაკროორეგიონულ პროცესებში ზუსტად ისე ააწყოს, როგორც მას უნდა, ამიტომ მისი აქაური მოკავშირეების ნებასა და „მარიფათზე“ (ე. ი. ჩვენს უნარზეა) დამოკიდებული, რამდენად გვექნება სუბიექტთა სტატუსი ამ გეოპოლიტიკურ პროცესში და რამდენად — მარტოოდენ ობიექტისა და სივრცისა.

ამერიკული გეოსტრატეგია დღეს და ხვალ

აშშ გენერალური მდივნის დიდი აქტიურობა 11 სექტემბრის ტერაქტამდის და მის შემდეგ მოწონებასაც იწვევს მის ქვეყანაში და შენიშვნებსაც. იგი რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში შანხაიში ჩავიდა აზია-წყნარი ოკეანის თანამშრომლობის ფორუმზე, რომლის რეალური მიზანი იყო, ეკონომიკური თემატიკის ფონზე, ანტიტერორისტული კოალიციის აღმოსავლეთი ფრთის რევიზია და გაძლიერება, მისი კურსის მომხრეებმა ამაში მისი მოღვაწეობის ქმედითობის დადასტურება დაინახეს. მაგრამ მის კრიტიკოსებს ეჭვი გაუჩნდათ, ჩინეთში ჩასვლით და იქ უსაფრთხოებაზე მსჯელობით პაუელი ხომ არ ადასტურებს ორსავე ბრალდებას, რასაც მის კურსს უყენებენ. პირველი. მისთვის შეთანხმებები თვითმიზანია და არა საშუალება, თვით მაშინაც კი, როცა ეს შეთანხმებები ამერიკას ბოჭავსო. მეორე: მისი მეტისმეტად შემრიგებლური პოზიცია ჩინეთთან დამოკიდულებაში თვალს ხომ არ უხუჭავს იმ გრძელვადიანი მომავალი მეტოქეობის შესაძლებლობებს, რომელიც ამ ქვეყანას ამერიკასთან აქვსო.

თავისი მოღვაწეობის პირველი 9 თვის მანძილზე პაუელის ნაბიჯები და მათში ნაგულისხმევი კურსი არაერთხელ გაწბილდა პრეზიდენტის ართანხმობის ან მისი ვერდათანხმების გამო, სახელდობრ, მას არ დაეთანხმნენ იმაზე, რომ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე აწარმოოს მოლაპარაკება ჩრდ. კორეასთან, მან ვერ შეაცვლევინა ერაყის მიმართ არსებული სანქციების ხასიათი და ზომა, ვინაიდან ეს გეგმა რუსეთმა ჩაშალა. მისი მონაწილეობის გარეშე აშშ ადმინისტრაციამ ისე განაცხადა, რომ აპირებს ხუთი ხელშეკრულების უარყოფას, მათ შორის, კიოტოს ხელშეკრულებისას ეკოლოგიურ თემაზე, ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგოსას და ბიოლოგიური იარაღის აკრძალვისას (ამ უკანასკნელში კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მოთხოვნით), რომ არ დაეკითხა თავის უახლოეს მოკავშირეებს. მისი უთანხმოება მის კოლეგებთან ეხებოდა არა იმდენად მიზნებს, რამდენადაც საშუალებებსა და ფორმას. რაც შეეხება განსხვავებას მიზანთა დასახვაში, პაუელი მულტილატერალისტია, ანუ მას ურჩევნია აშშ-მ თავისი ძირითადი საგარეო აქტივობა მრავალმხრივი, ე. ი. სხვა ქვეყნების მონაწილეობით ჩასატარებელი ღონისძიებების სახით წარმართოს, ხოლო მისი კოლეგები ჩეინი (ვიცე პრეზიდენტი), რამსფელდი (თავდაცვის მდივანი) და კონდოლეტა რაისი (პრეზიდენტის მრჩეველი) უნილატერალისტები, ანუ აშშ-ს ერთპიროვნული მოქმედების მომხრენი არიან.

თუმცა შესაძლებელი იყო, ლოგიკურად, რომ სხვაგვარადაც მომხდარიყო. ამერიკის მიერ 11 სექტემბერს მიღებულმა გამოწვევამ მას მრავალპიროვნული კურსისკენ უბიძგა და არა ერთპიროვნულისკენ. ამერიკამ ფართო ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა გადაწყვიტა. მან ზურგი აქცია — ამჯერად! — თავის მტრულ დამოკიდებულებას „ერის მშენებელი“ ანუ ეროვნული სახელმწიფოს მშენებელთა პრაქტიკისადმი (Nation Building) და კურსი აიღო ავღანეთში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმასახიერებელი და ხელშემწყობი მთავრობის ფორმირებაზე.

რაც შეეხება ამერიკის პოლიტიკის დღეს აქტუალურ მეორე თემას — დაარტყას თუ არა, ბარემ, სადამ ჰუსეინსაც (რისიც ამერიკის მუსლიმან მეგობარ ქვეყნებსაც ძალიან ეშინიათ) — ამაზე, ჯერჯერობით, გადაწყვეტილება მიღებული არაა.

ამერიკის პოლიტიკის ერთ-ერთი გარდუვალი პრობლემაა ის, თუ რა სამაგიერო დათმობებზე წავიდნენ თავის მოკავშირეებთან ანტიტერორისტულ ომში იმ შემთხვევაში, თუ ეს ომი გაგრძელდება და რალაც ახალ ძალისხმევებს მოითხოვს, ანუ რა სამაგიერო გადაუხადონ მათ. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ზედაპირია. მეორეს მხრივ, როგორც ვთქვით, ამ მოკავშირეთა ერთი ნაწილი, კერძოდ, დასავლეთი სახელმწიფოები ამ ოპერაციაში მონაწილეობას, არსებითად, განიხილავენ არა როგორც ძალისხმევას, ხარჯს და მსხვერპლს, არამედ, უპირატესად, როგორც ახალ და უაღრესად პერსპექტიულ წამოწყებაში — ევრაზიის ცენტრალური ზონისკენ გასვლის უაღრესად დრამატულ ოპერაციაში — მონაწილეობის შესაძლებლობის მოპოვებას.

თუ ბუშისთვის მისი ანტიტერორისტული ოპერაცია დღეს სამყაროს ღერძია („ამერიდან ჩემი ადმინისტრაციის ფოკუსი ეს იქნებაო“), ზოგი სხვა პოლიტიკოსი აშშ-ში, უფრო, ომის მიღმა მდებარე პერსპექტივას აქცევს თავისი ყურადღების ცენტრში. პაუელი, მაგალითად, ახალ გეოპოლიტიკურ მოდელს ხაზავს. იგი ფიქრობს და ცდილობს ინდოეთისა და პაკისტანის მორიგებას ქაშმირის საკითხზე, პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. ორივე მხარისათვის (ებრაელებისა და არაბებისთვის) მისაღები პირობებით, ამერიკის ურთიერთობათა შეცვლას რუსეთთან და ჩინეთთან, რასაც, მისი ფიქრით, ხელს შეუწყობს ანტიტერორისტული ამოცანაც და მიმდინარე აქციაც. როგორ ფიქრობს ამის მიღწევას სახელმწიფო მდივანი — რუსეთისთვის ჩეჩნეთის შესაჭმელად მიცემის გარდა — ნათელი არ არის და, ამდენად, ამ მიზნის პრაქტიკულად რეალიზაციის ამოცანა არ დგება. მაგრამ კრიტიკული შეპასუხებები უკვე ცნობილია. სკეპტიკოსებს არ სჯერათ ჩინეთთან მორიგების შესაძლებლობა. რამსფელდს უნდა, რუსებთან „დათბობამ“ ხელი შეუშალოს ანტისარაკეტო სისტემის შექმნას. თუ ადმინისტრაციას უნდა, არ დაუშვას შეთანხმება, რომელიც აღკვეთს ამ ანტისარაკეტო ფარის შექმნა, მაშინ მან უნდა იჩქაროს სათანადო დოკუმენტის შექმნა, რადგან დრო, ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობის პირობებში, ამგვარი ფარის წინააღმდეგ მუშაობს.

„ავღანეთის ომმა არ უნდა დაგვაბრმავოს კავკასიაში მიმდინარე დულილის მიმართ“

იმ დროს, როცა ამერიკელები თავს უყრიან თავის ძალებს და თავის მეგობრებს ავღანეთში ბინ ლადენისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, ყველა სხვა კონფლიქტთა პირობები და მოცულობა იცვლება — ბელფასტის ქუჩებში იქნება ეს, ბალკანეთის მთებში თუ აფრიკის რქაზე. ადგილობრივ კონფლიქტთა მხარეები ამერიკელთა მძიმე ზეწოლას განიცდიან, რათა ხელი აიღონ ძალის გამოყენებაზე, გაწყვიტონ კავშირი ექსტრემისტებთან სხვა ქვეყნებში და კოსმეტიკური წესით მოაგვარონ თავთავიანთი დისპუტები.

ასეთი ცდა, რომ თავიდან აცილებულ იქნას ყურადღების ამგვარი გაბნევა და ვითარება „მოიწმინდოს“, ზოგან შესაძლოა კეთილისმყოფელიც იყოს. მაგრამ კავკასიაში, კერძოდ — ჩეჩნეთსა და საქართველოში — ურთიერთგადახლართულ კამათთა ქსელი ისეთი ხშირია, და ურთიერთსიმწრის მემკვიდრეობა ისეთი მძიმეა, რომ არსებობს საშიშროება, ადგილობრივებმა ვერ გაიცნობიერონ, ამ ფონზე, ავღანეთის მოვლენათა მნიშვნელობა, რასაც მათთვის ტრაგიკული შედეგი მოჰყვება.

ისევე, როგორც ყველგან სხვაგან, ამ კანონს მოკლებულ რეგიონშიც, რომლის მთიანი ტერიტორია ისევე ძნელი საკონტროლოა, როგორც ავღანეთისა, ადამიანებმა იგრძნეს ამერიკის ტერაქტებით გამოწვეული შერყევის ეჭო. ვინაიდან ჩეჩენ მოშუაღართა უმრავლესობას კავშირი აქვს ისლამური ძალაობის მსოფლიო ქსელთან, დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი გადაიხარა მათი საქმის საწინააღმდეგოდ და ახლა, — ასე ჩანს, — მეტად თანაუგრძნობს რუსეთის მცდელობას მათი დამოუკიდებლობის მოძრაობა დაიმორჩილოს. კანონიერად არჩეული პრეზიდენტი მასხადოვი დასავლეთის ზეწოლამ აიძულა შეასუსტოს კავშირები თავის ექსტრემისტ ამხანაგებთან და მოლაპარაკება აწარმოოს რუსეთთან. შესაძლოა, ასეთ მოლაპარაკებაში დაინტერესებული იყოს პუტინიც. მაგრამ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ერთი მძლავრი ფრთა ომის განუსაზღვრელად გაგრძელების მომხრეა.

საქართველოში ხალხი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შიშობს, რომ რუსეთმა შეიძლება თავისი ახალი პრაგმატული დამეგობრება ამერიკელებთან იმისთვის გამოიყენოს, რომ, — ავღანეთის საქმეში თავისი როლით გათამამებულმა, — მოიპოვოს უფლება, დაუსჯელად ურიოს ხელი მეზობლის საქმეებში. ეს შიში გააძლიერა გაშმაგებულმა სიტყვიერმა თავდასხმებმა საქართველოზე რუსული მედიას მხრიდან. შევარდნაძის მთავრობას ბრალად დასდეს ჩეჩენი მეამბოხეების მფარველობა ჩეჩნეთის მიმდებარე ზონაში. ხოლო აფხაზეთის სეპარატისტი ხელისუფალნი — პატარა რუსოფილური მიკროსახელმწიფოსი საქართველოს ჩრდილოდასავლეთ ნაწილში, საიდანაც შევარდნაძის ძალები და 200 ათასი ქართველი გამოდევნეს 1993 წელს — თავს აჩვენებენ, თითქოს იგერიებენ ქართველ და ჩეჩენ მებრძოლებს. თბილისში მართლაც არის მხურვალე ლაპარაკი აფხაზეთის აღების შესახებ. მაგრამ უფრო ცივი გონების პატრონნი შიშობენ, კვლავ ისეთ კონფლიქტში ჩაგვითრევენ, რომელიც რუსეთის არმიას ინტერვენციის საშუალებას მისცემს.

...მაგრამ წესებს მაინც დაცვა უნდა

პუტინი ამბობს, საქართველოს დამოუკიდებლობას პატივს ვცემო. მაგრამ ძალიან ადვილი წარმოსადგენია ისეთი სცენარი, როცა რუსები, ქართველები და ჩეჩნები ჩართულნი იქნებიან ესკალირებად კრიზისში, რომელიც შეიძლება შეეხოს აგრეთვე რამდენსამე მინი-სახელმწიფოს ჩრდილო კავკასიაში, რომელთაც აერთიანებს ისლამური რჯული და მკვეთრად ყოფს ენა და ეროვნება. თუ მილიტანტურმა (მეომარმა) ისლამმა დღეისათვის გავლენა მოიპოვა ჩეჩნეთში. ეს ძირითადად იმიტომ მოხდა, რომ აქ სასოწარკვეთა, სილატაკე და რუსეთის ულმობელი ტაქტიკისადმი გამწარება არსებობს. შემდგომი კონფლიქტი კავკასიაში მხოლოდ გააფართოებს ექსტრემიზმის მკვებავ ბაზას.

მაგრამ რაც უნდა ჰქონდეთ ყურადღება გადატანილი ტერორისტებთან ბრძოლისაკენ, დასავლეთის მთავრობებს მაინც ჰმართებთ ენერგიის გაღება იმისთვის, რომ დაიცხრონ ომის ალი კავკასიაში. მთელ კავკასიას მათ ის უნდა უთხრან, რომ ამგვარი კონფლიქტები მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ბაზაზე. შეიძლება მოგვარდეს. ეს უკანასკნელი მოიცავს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, ადამიანურ უფლებებსა და ლტოლვილთა უფლებას, რომ შინ დაბრუნდნენ. რუსეთს და მის მეზობლებს უნდა შეახსენონ, რომ ამაზე დამოკიდებულია უკეთესი ურთიერთობა დასავლეთთან.

(The Economist-იდან)

ჯილეხი, როგორც იარაღი

სსრკ თავდასხმითი ბიოლოგიური იარაღის პროგრამის უფროსის ყოფილმა მოადგილემ კ. ალიბეკმა, რომელიც 1992 წლიდან ამერიკაში იმყოფება და ახლა თავისი დარგით აშშ მთავრობის ერთ-ერთ კონსულტანტია, ამას წინათ კონგრესში ბრიფინგი მოაწყო ბაქტერიოლოგიური საშიშროების საკითხებზე. მანამდე მან ინტერვიუ მისცა „უოლ სტრიტ ჯორნელს“, სადაც განაცხადა, რომ ავადმყოფობათა გავრცელება მხოლოდ მეხუთე ხარისხის ამოცანაა ბიოლოგიურ ომში: პირველია პანიკის დათესვა, მეორეა ერის პარალიზება, მესამეა მედსამსახურთა გადატვირთვა და გადაძაბვა, მეოთხეა ამით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი. ბრიფინგზე მან, სხვათა შორის, თქვა „პანიკისთვის საფუძველი არ არსებობსო“. თუმცა ლოგიკურია, რომ ჯილეხის იარაღად გამოყენების შესაძლებლობამ ყურადღება მიიქცია, ეს შესაძლებლობა არ უნდა გავაზვიადოთო.

ობიექტური ინფორმაცია

„ნერვების ომი"

„საქართველოს" ამ ნომერში დაბეჭდილია სსრკ-ს ბაქტერიოლოგიური ომის ერთ-ერთი ყოფილი მეთაურის ცნობები ამ ომის დანიშნულების შესახებ. პირველი მათგანია პანიკის დათესვა. The Economist-ის ცნობით, ტერორისტებმა ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. როცა ვრცელდება ხმა, რომ მოკვდინებელი სპორები შეიძლება შენობის სავენტილაციო სისტემითაც კი გაავრცელოთ, მაშინ „გასაკვირი არაა, რომ ყურადღებამ ავღანეთის ფრონტიდან ამ შინაგანი ფრონტისკენ გადაინაცვლოს. ...ჯილეხის შიშმა შეიძლება ადამიანები ბრმა გახადოს ტერორისტებისა და დასავლეთის ძალების ბალანსის რაგვარობის პრობლემისადმი და ჭეშმარიტი ომისადმი, რომელიც ოკეანის გაღმა წარმოებს".

თუ, ერთის მხრივ, ბაქტერიული ომი მართლაც დამაფრთხობელია, მეორეს მხრივ იგი მობილიზებას უკეთებს ამერიკელთა ნებას. თუ, ერთის მხრივ, მსხვერპლი და ზარალი დიდად მასშტაბური არაა, მეორეს მხრივ, იგი საშიშროების რეალობას მოწმობს. თუ (ეს საკითხავი გახლავთ) ჯილეხი სიძლიერით მეორე იარაღია ტერორისტებისთვის, მაშინ ეს მათ სისუსტეზე მეტყველებს (ბოლოს და ბოლოს, მან მხოლოდ ერთი კაცი მოკლა). მაგრამ ხომ შეიძლება უფრო ძლიერი იარაღი მტერს ჯერ შემონახული ჰქონდეს? მართალია, მტრის მთავარი იარაღი გაურკვევლობა და მისით გამოწვეული შიშია, მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველი დარტყმა ხომ ამერიკელთა კონტრდარტყმის განწყობას განამტკიცებს და ანტიტერორისტული კოალიციის რიგებს კრავს! ტერორისტთა ინტერესების შესაფერისი უფრო ის იქნებოდა, ისლამური ქვეყნების იმ მთავრობათა დესტაბილიზაცია რომ ეცადათ, რომელნიც კოალიციას მიემხრნენ. მაგრამ არც ესაა ძლიერი ზომა, რადგან ასეთ ქვეყნებზე მიტანილი იერიში ისევ მუსლიმანების წინააღმდეგ მოქმედება იქნებოდა და დააქვეითებდა ბინ ლადენის ორგანიზაციის რეიტინგს. უფრო ჭკვიანური და მომგებიანი ტაქტიკა ტერორისტებისათვის, ჟურნალის აზრით, ის იქნებოდა, მათ რომ ომის გაფართოება ეცადათ. ვთქვათ, შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მათ თავისი სპორები ერაყისგან მიიღეს, და ამით ამერიკელთა ბომბები ამ ქვეყნისკენ წაემართათ, რითაც ამერიკელები არაერთ მოკავშირეს დაკარგავდნენ არა მხოლოდ სამუსლიმანოში, არამედ დასავლეთშიც.

უფრო მძიმე პრობლემას, ვიდრე თალიბანის გადაგდებაა, ჟურნალის აზრით, წარმოადგენს მისაღები ახალი ხელისუფლების შექმნა, სახელდობრ, ისეთისა, რომლის დროსაც ბინ ლადენის ხელთგდების მეტი საშუალება იქნება. ამ ამოცანას ის ართულებს, რომ, — მაგალითად, ბოსნიისაგან განსხვავებით, — აქ არ არსებობს ჯერ ის საჭირო სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რომლებსაც მხოლოდ ხელში აღება უნდა და არა სიცარიელიდან შექმნა. ამერიკელებს ასეთი მთავრობის დაკონკრეტება უჭირთ ორი მიზეზით. პირველი: მათ არ უნდათ იმპერიული პოლიტიკის გამტარებლებად გამოჩნდნენ. მეორე: მათ არ იციან, რა პასუხი გასცენ აღძრულ პრობლემას. ჯერჯერობით, მხოლოდ იმაში არიან დარწმუნებულნი, რომ ძალიან ფართოდ წარმომადგენლობითი მთავრობა უნდათ, სადაც ყველა ტომს და ყველა ძალას თავ-თავისი კაცი ეყოლება, თვით თალიბთა ჩათვლით. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ის გარემოებაც, რომ, როგორც ჩანს, ავღანეთი მალე ფაქტობრივად აღმოჩნდება დანაწილებული სხვადასხვა ძალების მიერ კონტროლირებულ ნაწილებად. ამერიკელთა აზრით, ყოფილ მეფეს ზაჰირ შაჰს ამ პირობებში დიდი გამაერთიანებელი ფაქტორის როლის შესრულება მოუწევს. ასეთია ამერიკელების პირველადი განწყობა, რომელსაც, ცხადია, მოვლენათა განვითარებისდა მიხედვით კორექტირება მოუწევს.

ყველა შემთხვევაში უეჭველია, რომ მდგომარეობის იმგვარი რეგულირებისათვის, როგორიც ამერიკელებს აქვთ განზრახული, საჭირო იქნება რამდენიმე ფაქტორის ურთიერთქმედება. ერთია ამერიკელთა შეიარაღებული ძალის შიში, რომელიც გაგრძელდება. მეორეა გაეროს მემშვიდობეთა ჩაყენება და გაეროსვე ორგანიზაციული დახმარება. მესამეა დასავლური ფულის მძლავრი ნაკადის შემოსვლა და დასავლეთის ყურადღება საერთოდ.

ნარკომაგისტრალები და საქართველო

10.IX ტერაქტის წინა დღეს, ავღანეთში, ბაზარში 1 კგ. ოპიუმი 700 დოლარი ღირდა. ორი კვირის შემდეგ ფასი 100 დოლარი გახდა. ვინაიდან ავღანეთი ამ საქონლის მსოფლიო წარმოების 70%-ს იძლევა, დასავლელები შიშობენ, რომ ომის

შედეგად ევროპას იაფი ჰეროინი წალეკავს. 1990-იან წლებიდან, როცა ავღანეთში შიდაომების განუკითხავი ბობოქრობა იყო, აქ კატასტროფულად გაიზარდა ოპიუმის მოყვანა. 1989 წელს აქ 1200 ტონა მზადდებოდა, ათ წელიწადში მისმა მოყვანამ 4600 ტონას მიაღწია. 2000 წელს თალიბანმა, პრესტიჟის მოსაზრებით, ოპიუმის მოყვანა აკრძალა. ამის შედეგად წარმოებამ 95%-ით დაიკლო და 185 ტონაზე დავიდა. ეს ბრძოლა შეწყდა 11.IX-დან, როგორც კი თალიბებს გაეროსთან ურთიერთობები გაუფუჭდათ. აკრძალვა ოფიციალურად არ მოხსნილა. მართალია, ამ წელს მოსავალი ალარ იქნება, მაგრამ ფიქრობენ, ოპიუმის დაგროვილი მარაგი 2800 ტონას შეადგენს, რაც 280 ტონა ჰეროინს იძლევა. ეს ნაკადი მსოფლიო ბაზარში გავა. პაკისტანის საბითუმო ბაზარში მისი ფასი 1,4 მლრდ დოლარი იქნება, ევროპისაში — 40-80 მილიარდი. ეს გადამყიდველების მიერ წელიწადში 20 მილიარდი დოლარის მოგებას ნიშნავს. გაეროს გათვლით, ეს მარაგი ევროპის ნარკომანებს 3 წელიწადს ეყოფათ. გარდა ამისა, ეს თალიბებს ევროპის, რუსეთისა და ნაწილობრივ აზიის ბაზრებში ბატონობას შეუნარჩუნებს კიდევ 2 წლით. თალიბები თავის მარაგს ახლა ყიდიან იარაღის შესაძენად, ვალუტის დასაგროვებლად და დასავლეთისთვის პრობლემების შესაქმნელად.

ავღანეთის ნარკომეურნეობა კატასტროფულად გაზარდა 20-წლიანმა ანტისაბჭოთა და შიდა ომმა. ავღანეთის ტერიტორიის 65 მილიონი ჰექტარიდან მხოლოდ 2,6 მილიონი ვარგა ხვნა-თესვისთვის. 1979 წელს, როცა სსრკ-ს ინტერვენცია დაიწყო, მოსახლეობის 65% სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული. ომმა დაანგრია მეურნეობა. მიტოვებულ იქნა ფერმათა ერთი მესამედი. მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ან ქაბულსა და ყანდაარში გადასახლდა.

თავის გამოკვების ეკონომიკა რომ მონეტარულზე გადავიდა, სწრაფად გაყიდვად საქონლად თითქმის მხოლოდ ნარკოტიკები დარჩა. ბაზრის დაპყრობაში ავღანურ ნარკობიზნესს დაეხმარება მსოფლიოს დიდი მწარმოებლების — თურქეთის, ირანისა და პაკისტანის მიერ მკაცრი ბრძოლის დაწყება ამ ბიზნესთან თავ-თავის ქვეყნებში. 1996 წელს, როცა ხელისუფლება აიღეს, თალიბებს სინდისის დიდი ქენჯნა არ უგრძვნიათ ნარკომეურნეობის ზრდის გამო. ის, რომ დღეს ამ მეურნეობას დიდი ფართობები უჭირავს, ნაცვლად ჭირნახულისა, მოწმობს, რომ თალიბებს, რეალურად, ამ მეურნეობის განვითარება ჰქონდათ გეგმაში.

დღეს ავღანურ ნარკოტიკებს ბაზრისკენ ორი ძირითადი გზა აქვთ: რუსეთის გავლით და ბალკანეთის გავლით. ევროპაში შეღწევამდე იგი მუშავდება მორფად და ჰეროინად. ეს ხდება ავღანეთში, ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში, პაკისტანსა და თურქეთში. ტექნოლოგიისთვის საჭირო ნივთიერებათა მოწოდებაში მონაწილეობენ უზბეკეთი და თურქმენეთი. მორყეულ ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში, რომლებიც სსრკ-ს რბილი მუცელი იყვნენ, ნარკობიზნესმენები იყენებენ ლმობიერ კანონებს და მოხელეთა კორუმპირებულობას, რომელთა ხელფასი ნარკოფულს ვერ ედრება. უდიდეს ბაზართა შორის ერთ-ერთი არიან რუსეთის „ახალი მდიდრები". ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ნარკოგადამზიდები გაურბიან, არის ირანი. იქ მათთან ბრძოლაში დაღუპულია რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელი. ირანში ამოღებულია ნარკოტიკების მსოფლიო კონფისკაციის ძალიან დიდი პროცენტი, თურქეთში — პირიქით. მნიშვნელოვანი როლი კონტრაბანდაში და, აქედან გამომდინარე, ბაზარშიც ეკუთვნით ალბანელებს. მათი მოპოვებული ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი იარაღის ჰხმარდება. დასავლეთს იმედი აქვს, რომ ავღანელთა მარაგის განადგურება ერთგვარ გაუმჯობესებას შემოიტანს ნარკოტიკებთან ბრძოლის საქმეში.

რუსულ-ამერიკული ურთიერთობა — ტეხასის შეხვედრის წინ

პუტინის პოკერი ამერიკელებთან, ერთის შეხედვით, გაბედული ჩანს: ორივე ურთიერთმოურიგებელი ორიენტირი, რომელსაც იგი ვერ გაექცევა, ისეთია, რომ ზუსტი ვერმოზომვა პირადად მისთვის და მისი ქვეყნისთვის კატასტროფას ნიშნავს. უნდა თუ არ უნდა, იგი იძულებულია ამერიკელებთან კარგი გამოჩნდეს. მეორე მხრივ, მან თავისი მოქალაქის გემოვნება უნდა დააკმაყოფილოს, ეს უკანასკნელი კი მისგან, — ჯერჯერობით მაინც — მყარ იმპერიულ პოლიტიკას მოითხოვს.

პუტინმა ჯერჯერობით ის სარისკო ნაბიჯები გადადგა, რომ უკან მოუხედავად დასტური მისცა ამერიკელების მიერ რუსეთის საჰაერო სივრცის გამოყენებასაც და შუა აზიის აეროდრომების გამოყენებასაც ავღანეთში სამოქმედოდ. ეს მან ქნა 24 სექტემბერს, ტერაქტიდან 13 დღის შემდეგ. მართალია, ამერიკელები შუა აზიის აეროდრომებს რუსეთის უკითხავადაც გამოიყენებდნენ (შუა აზიაში მათ სხვა მისასვლელიც აქვთ), მაგრამ ეს კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, ზრდის პუტინის პოპულარობის დაცემის საშიშროებას რუსეთის თვალში. კიდევ უფრო მძიმე დარტყმის ქვეშ დააყენა მან თავისი რეიტინგი კუბასა და ვიეტნამში რუსული სამხედრო ბაზების გაუქმებით. „წითელ კვერცხს უგორებდა" იგი ამერიკელებს იმის გადაკრული მინიშნებითაც, რომ რუსეთის პოზიცია ელასტიური იქნება ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო 1972 წლის ხელშეკრულების ინტერპრეტაციის საკითხში. მან არაერთი დემონსტრატიული ნაბიჯი გადადგა ნატოსთან — მაშასადამე, დასავლეთთან — რუსეთის ინტეგრაციის სურვილის გამოხატვის მიმართულებით, თუმცა ის მოთხოვნაც თუ „მოთხოვნაც" დააყენა, რომ რუსეთს ნატოში „გადამწყვეტი ხმა ჰქონდეს. ამასთან ერთად, პუტინმა

რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმას, რომ არანაირ სამაგიეროს არ ითხოვს. დასავლეთთან დაახლოებაც და ტერორიზმთან ბრძოლაც ჩემი ქვეყნის საკუთარ ინტერესებს შეესაბამება.

ამ სარისკო ნაბიჯებში, ბუნებრივია, სხვა ფაქტორიც ურევია: თვით პუტინი, როგორც ეს უკვე აშკარად ჩანს, დასავლელების მიერ მოწონებული პრეზიდენტია, რომელმაც ეს თვისება, ცხადია, ჯერ კიდევ მაშინ შეიძინა, როცა პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. მაგრამ ეს თემა ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში არ ტრიალებს.

რა მიიღო პუტინმა თვისი ამ ნაბიჯების სანაცვლოდ? ჯერ ერთი, გაიზარდა მხარდაჭერა რუსეთის მიღებისათვის მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), რასაც პუტინი ასახელებდა და ასახელებს რუსეთის პრიორიტეტულ ინტერესად (თუმცა, ამერიკელებისგან განსხვავებით, რუსეთისთვის ამ ორგანიზაციაში ყოფნას პლუსებთან ერთად მინუსებიც აქვს და ამათი საბოლოო ბალანსი ჯერ არავის გამოუტანია). მეორეც, ამერიკელებმა, ასეთ თუ ისე, შეარბილეს რუსეთზე ზეწოლა ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით. აი, „ფაინენშელ ტაიმსის" მიერ ამ ცვლილების დახასიათება: „თეთრმა სახლმა ევროპის რამდენსამე მთავრობასთან ერთად შეარბილა რუსეთის იმ მკაცრი ხაზის კრიტიკა, რომელსაც იგი ჩეჩნეთის განდგომილი რესპუბლიკის მიმართ ატარებს. აშშ-ის რიტორიკამ გადაინაცვლა ადამიანის უფლებათა შელახვის და დარეგულირების აუცილებლობის ხაზგასმიდან ჩეჩნებისა და საერთაშორისო ტერორიზმის კავშირისკენ". მესამეც, ამერიკული მხრიდან იმ დროისთვის უკვე „გამოჟონილი" იყო ინფორმაცია, რომ ბუში მზადაა თავისი სტრატეგიული ბირთვული იარაღის მარაგი 1750 ერთეულამდე (ე.ი. ძალიან მცირე რაოდენობამდე) დაიყვანოს, რაც რუსეთის მოთხოვნებს შეესაბამება, და შეაჩერა რაკეტების გამოცდები („საქართველოს" მკითხველმა უკვე იცის, რომ ბირთვული სტრატეგიული იარაღის ეს რაოდენობა სწორედ ისაა, რასაც ამერიკული მხარე საკუთარი გეგმის მიხედვით აპირებდა და გადაწყვიტა კიდეც). მეოთხეც, ბუშის ადმინისტრაციაში საუბარი დაიწყო რუსეთის ვაჭრობის შემზღუდველი შესწორის გაუქმებაზე, რომელიც მიიღეს 1974 წელს როგორც სსრკ-ში ებრაელების შეზღუდვის პასუხი. მეხუთეც, პუტინისთვის, როგორც თავისი ამერიკელი პარტნერების მიერ აშკარად მოწონებული პრეზიდენტისათვის, პირადად მნიშვნელოვანია ის, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს მისი ესა თუ ის მნიშვნელოვანი ნაბიჯი პარტნერზე. ამჟამად, პუტინი წარმატებით ახდენს იმის დემონსტრირებას, „რომ იგი არც გულუბრყვილოა გორბაჩოვივით, არც დაუდევარია ელცინივით, არამედ მოწადინებულია პრაგმატული ურთიერთობები განავითაროს".

მიუხედავად ყოველივე ამისა, მომავალი მოლაპარაკების ორივე მხარე აფრთხილებდა საზოგადოებრიობას, რომ ამ მოლაპარაკებისგან „მეტისმეტად ბევრს ნუ მოელის". უკვე შემდგარი მოლაპარაკების შედეგი უკვე ცნობილი: ის, რაც ამერიკელებს უნდოდათ, განხორციელებულია. რაც პუტინს უნდოდა — კერძოდ, „კარდ ბლანში" კავკასიის მიმართ და დიდი ეკონომიკური შეღავათები — ან ჯერჯერობით მიუღწეველია, ან ცნობილი არაა, მიღწეულია თუ არა. დრო ამ საკითხში მეტ და მეტ სინათლეს შეიტანს.

საყურადღებოა, რომ პუტინის თანხმობა რუსეთის საჰაერო სივრცის გამოყენებაზე, შუა აზიის აეროდრომების გამოყენებაზე და სადაზვერვო თანამშრომლობაზე ამერიკელებმა მიიღეს 24 სექტემბერს, ანუ იმ დღეს, როცა გაკეთდა ამერიკული მხარის განცხადება (მართალია, შედარებით დაბალ დონეზე), ჩეჩნეთში არავის არანაირ „კარდ ბლანშს" არ ვაძლევთ და რუსეთის აგრესიის შემთხვევაში საქართველოს დავიცავთო (იხ. გაზეთი „დეილი ტელეგრაფ", 25.IX.2001). ხომ არ „გაუგორეს" პუტინს ეს დემარში მისი ამ დასტურის მიღების მიზნით? ასეთი კითხვა — „ხომ არ გაინაწილეს მხარეებმა დედამიწა, მათ შორის — კავკასიაო?" — მუდამ დგას, უფრო კონკრეტულად — მის მუსირებას მუდმივად ეწევა რუსული პროპაგანდა საქართველოში. სწორი პასუხისთვის ყველაზე საიმედო საშუალებაა თვით მოვლენათა გეოსტრატეგიულ ფაქტორთა გათვალისწინება: დასავლეთისთვის შუა აზიაში პოზიციის მოპოვებას, მისი სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით, ალტერნატივა არა აქვს. და ასევე არა აქვს ალტერნატივა (იხ. ზემოთ ამავე ნომერში) ამიერკავკასიას, როგორც შუა აზიასთან კონტაქტის გზას.

გაუხმაურებელი ფაქტები

საქართველოს შეიარაღებული ძალების სავარაუდო რიცხოვნების შესახებ

სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის 2000 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 5 472 ათას ადამიანს, მშვიდობიანობის დროის რეგულარული შეიარაღებული ძალების რიცხოვნებაა 26,9 ათასი (ანუ ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 0,49%), ომიანობის დროს გასაწვევად დაგეგმილი რეზერვისტებისა — 250 ათასზე მეტი (4,57%).

მეორეს მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და გენერალური შტაბი, აგრეთვე სხვა სახელისუფლებო სტრუქტურები, ნატოდან მონვეული მრჩეველთა ჯგუფის რეკომენდაციით, გეგმავენ უახლოეს წლებში რეგულარული ჯარების რიცხოვნებას 12 ათას ადამიანამდე შემცირებას (მოსახლეობის 0,22%) და აცხადებენ, რომ ეს ღონისძიება საქართველოს სამხედრო მშენებლობას დააახლოებს ნატოს სტანდარტებთან, რომ მცირერიცხოვან, მაგრამ კარგად განვითარებულ და პროფესიულ ქართულ არმიას შეეძლება ქვეყნის თავდაცვის ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტა.

ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ეს მონაცემები? იმავე ლონდონური ცენტრის მონაცემებით, 1991 წელს (ცივი ომის მიწურულს) ნატოს წევრი მცირე ევროპული სახელმწიფოების (ნიდერლანდები, ბელგია, დანია, ნორვეგია) რეგულარული შეიარაღებული ძალების რიცხოვნება შეესაბამებოდა ქვეყნის მოსახლეობის 0,58-0.88%%-ს. ცივი ომის დასრულების შემდეგ ამ სახელმწიფოებმა თავიანთი რეგულარული შეიარაღებული ძალების რიცხოვნება შეამცირეს, მაგრამ დღესაც ეს მაჩვენებელი უტოლდება 0,33-0,60%%-ს (ყველაზე ნაკლებია ნიდერლანდებში, მეტი ნორვეგიაში).

სამაგიეროდ, ჩვენს მეზობელ თურქეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 0,92%-ს (ქვეყნის მოსახლეობაა 66 130 ათასი ადამიანი, რეგულარული შეიარაღებული ძალების რიცხოვნება — 609,7 ათასი).

მაინც როგორი უნდა იყოს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხოვნება. ჩვენი აზრით, ქვეყნის თავდაცვისა და შესაბამისად, სამხედრო მშენებლობის საქმეს საფუძვლად უნდა დავუდოთ სახარებისეული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი ადამიანი (იგულისხმება სახელმწიფოც) სხვა შეძლებულ ადამიანზე (სახელმწიფოზე, სახელმწიფოთა ჯგუფზე ან საერთაშორისო ორგანიზაციებზე) კი არ უნდა ამყარებდეს თავის იმედებს, არამედ ღვთის რწმენითა და მასზე სასოებით, უწინარეს ყოვლისა თავად უნდა ზრუნავდეს საკუთარი გაძლიერებისა და თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

საკუთარ ძალებზე პრიორიტეტულად დაყრდნობის კონცეფციის გარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობას საფუძვლად უნდა ედებოდეს ყოველ მიმდინარე ეტაპზე მეზობელი სახელმწიფოებისა და მათი შესაძლო მოკავშირეების მხრიდან ჩვენი ქვეყნისადმი არსებული სავარაუდო სამხედრო მუქარების განეიტრალების აუცილებლობა.

90-იან წლებში, ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატოს ბლოკის უმეტესმა სახელმწიფოებმა თავიანთი სამხედრო ხარჯები და შეიარაღებული ძალები შეამცირეს. ამის საპირისპიროდ თურქეთმა თავისი სამხედრო ხარჯები გააორმაგა (5-დან 10,1 მლრდ ამერიკულ დოლარამდე), ხოლო ამერიკამ და გერმანიამ გადასცეს შედარებით თანამედროვე შეიარაღება და სამხედრო ტექნოლოგიები. ამ ღონისძიებების შედეგად 90-იან წლებში თურქეთის შეიარაღებული ძალები სულ მცირე 3-4-ჯერ უნდა გაძლიერებულიყო.

ამ გაძლიერებული ჯარების რიცხოვნებით მეორე სახმელეთო დაჯგუფება განლაგებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ამიერკავკასიის სახელმწიფოთა უშუალო მახლობლობაში. ეუთო-ს ოფიციალური მონაცემებით, 1998 წლის დასაწყისში მასში მოითვლებოდა პირადი შემადგენლობის 87 ათასამდე ადამიანი, 540 საბრძოლო ტანკი, 625-ზე მეტი მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 685-მდე საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 10 დამრტყმელი და 30-ზე მეტი საბრძოლო უზრუნველყოფის ვერტმფრენი, აგრეთვე, სხვა შეიარაღება.

ამის საპასუხოდ რუსულ სარდლობას, იმავე 1998 წლის დასაწყისში, ჯერ კიდევ ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებამდე, ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში, აგრეთვე მოსკოვისა და ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქების საბრძოლ რაიონებში განლაგებული ჰყავდა საბრძოლველად მზადმყოფი 95 ათასამდე პირადი შემადგენლობა. 915 საბრძოლო ტანკი, 3 175 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 1200 საველე საარტილერიო სისტემა, 80 დამრტყმელი, 100-ზე მეტი საბრძოლო უზრუნველყოფისა და 10 მძიმე სატრანსპორტო-სადესანტო ვერტმფრენი, აგრეთვე სხვა შეიარაღება.

თავისთავად ცხადია, რომ დაპირისპირებულ მხარეთა ასეთი მსხვილი ძალების ამიერკავკასიის საზღვრებ-

მოსახლეობა და შეიარაღებული ძალები	შვედეთი	შვეიცარია	ფინეთი
მოსახლეობა, ადამიანი	8 340 200	6 503 800	5 023 200
მშვიდობიანობის დროის რეგულარული შძ (ქვეყნის მოსახლეობის %)	63 000 (0,76)	—	31 800 (0,63)
შეიარაღებული ძალების რეზერვები (ქვეყნის მოსახლეობის %)	709 000 (8,51)	625 000 (3,61)	700 000 (13,93)
ომიანობის დროის სახმელეთო ჯარები (ქვეყნის მოსახლეობის %)	550 000 (6,59)	565 000 (8,69)	460 000 (9,15)
ომიანობის დროის საჰაერო ძალები (ქვეყნის მოსახლეობის %)	57 000 (0,68)	60 000 (0,92)	30 000 (0,59)
ომიანობის დროის საზღვაო ძალები (ქვეყნის მოსახლეობის %)	102 000 (1,22)	—	12 000 (0,24)

ის მახლობლობაში თავმოყრა საქართველოსაც უნდა აიძულებდეს მაქსიმალური ადამიანური და მატერიალური რესურსების დაძაბვას საკუთარი ტერიტორიისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დასაცავად. სწორედ ასეთი სამხედრო-სტრატეგიული კონცეფცია გააჩნდათ ცივი ომის პერიოდში ევროპის მცირე ნეიტრალურ სახელმწიფოებს — შვედეთს, შვეიცარიასა და ფინეთს. ამიტომ მათი სამხედრო მშენებლობის გამოცდილება ჩვენთვის მეტად საგულისხმო და სასარგებლო უნდა იყოს.

თანამედროვე სამხედრო თეორიითა და პრაქტიკით, მშვიდობიანობის დროის რეგულარული შეიარაღებული ძალები განკუთვნილია ქვეყნის სამხედროვალდებული ახალგაზრდობისთვის სამხედრო საქმის შესასწავლად, შემდგომ ეტაპებზე რეზერვისტთა გადასამზადებლად, შედარებით მცირემასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტებში საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად, ხოლო მსხვილმასშტაბიანი ომის გაჩაღების შემთხვევაში, მის საწყის ეტაპზე, სახელდახელოდ მობილიზებული რეზერვისტების გამოყენებით, თავდაცვითი და შემკავებელი მოქმედებების საწარმოებლად და სახელმწიფოში სრულმასშტაბიანი სამობილიზაციო ღონისძიებების ჩატარებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

მსხვილმასშტაბიან ომს ქვეყანა აწარმოებს საომარი დროის შეიარაღებული ძალებით, რომლის რიცხოვნებაც სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს და მეტს შეიძლება შეადგენდეს. 1991 წლის მონაცემებით, შვედეთის, შვეიცარიისა და ფინეთის მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების რიცხობრივი მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში.

ომიანობის დროს შეიარაღებული ძალები ოპერატიული დანიშნულების მიხედვით იყოფა საბრძოლო ანუ საველე ჯარებად (ძალებად) და ტერიტორიული (რაიონული, ადგილობრივი) თავდაცვის ჯარებად. პირველს ევალება ძირითადი სამხედრო ოპერაციების წარმოება, მეორეს ცალკეული რაიონების თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტა. შესაბამისად, საბრძოლო (საველე) ჯარებში იწვევენ შედარებით ახალგაზრდა ასაკის რეზერვისტებს (სხვადასხვა ქვეყანაში 35 ან 45 წლამდე), მათ აძლევენ ყველაზე თანამედროვე და ძლიერ შეიარაღებას. ტერიტორიულ ჯარებს აკომპლექტებენ სათანდო რაიონების მაცხოვრებელი უფრო ხანდაზმული რეზერვისტებით (35 ან 45 წლის ზევით) და მათ უფრო მოძველებულ და იაფ შეიარაღებას აძლევენ. სამაგიეროდ საკუთარი რაიონების კარგად ცოდნა და მათ გეოგრაფიულ (კლიმატურ) პირობებთან შეგუება ტერიტორიული ჯარების მებრძოლებს დიდად ეხმარება მათზე დაკისრებადი ამოცანების გადაწყვეტაში.

საჰაერო ძალებში ტერიტორიული ჯარები ადგენენ საზენიტო-საარტილერიო ნაწილებსა და ქვეყანაყოფებს, საზღვაო ძალებში — სანაპირო თავდაცვის (სანაპირო არტილერიის) ერთეულებს.

რაც შეეხება რეზერვისტთა სამობილიზაციო მზაყოფნას, შვედეთსა და ფინეთში რეგულარული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილი ადამიანი ერთი წლის განმავლობაში ირიცხება ექსტერნულ რეზერვში და მობილიზაციის გამოცხადებისთანავე ვალდებულია 24 საათის განმავლობაში გამოცხადდეს მიწერის ნაწილში. ერთი წლის ვადის გავლის შემდეგ მისი სამობილიზაციო მზადყოფნის ხარისხი რამდენამდე მცირდება, მაგრამ მის ადგილს უკვე სხვა რეზერვისტი იკავებს. გარკვეული ასაკის მიღწევამდე რეზერვისტებს ევალებათ 72 საათის განმავლობაში გამოცხადდნენ თავიანთ ნაწილებში, უფრო ხანდაზმულებისთვის ეს ვადაც ერთ კვირამდე შეიძლება გაიზარდოს.

შვეიცარიაში მშვიდობიანობის დროის რეგულარული შეიარაღებული ძალები არ არის. იქ ახალწვეულები 4,5 თვის განმავლობაში გადიან საწყის სამხედრო მომზადებას, შემდეგ კი გადადიან რეზერვში. ამიტომ შვეიცარიაში ჯარში წელიწადში ორ ნაკადს იწვევენ. სამაგიეროდ რეზერვისტთა საბანაკო შეკრებები ამ ქვეყანაში უფრო ხანგრძლივი და ინტენსიურია.

21-32 წლის ასაკის რეზერვისტების შემადგენლობას შვეიცარიაში ეწოდება „აუსცეგი“ (auszug — ქართულად ნიშნავს „აბა, ჰე“-ს), რომელიც შედარებით მაღალ სამობილიზაციო და საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფება; 33-42 წლის რეზერვისტები შეადგენენ „ლანდვერს“ (landwehr — „მამულის თავდაცვის ჯარები“ („მილიცია“)), რომელიც ძირითად სახაზო ჯარებს წარმოადგენს, ხოლო 43-50 წლის რეზერვისტები ქმნიან „ლანდშთურმს“ (landsturm — „მამულის სახალხო ლაშქარი“) — იგივე ტერიტორიულ ჯარებს.

კრიზისულ სიტუაციაში ან ომის დროს მათ მობილიზაციას უნდა ატარებდნენ ოპერატიულად და ეტაპობრივად, ძირითადად 24-72 სთის განმავლობაში, ისე რომ ერთი კვირის მანძილზე ქვეყნის სარდლობამ შეძლოს ჯარების სრულად გამოყენა. 1991 წელს შვეიცარიის სარდლობას ამ ვადაში გამოჰყავდა 625 ათასი ადამიანი, ფინეთისას 700 ათასი (მათგან 500 ათასი იარაღით ხელში, ხოლო 200 ათასიც ზურგისა და სხვა დამხმარე სამსახურებში). ეს კი, ამ სახელმწიფოთა მცირე ტერიტორიების გათვალისწინებით, დიდ ძალას წარმოადგენს, და ნებისმიერი რაგინდ ძლიერი აგრესორისთვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა, როგორც ვხედავთ, სცილდება დასავლურ სტანდარტებს და ვერანაირად ვერ შეიძლება უზრუნველყოფდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ყოველივე ეს კი, ჩვენს მოსახლეობას, სამწუხაროდ, მეტად მძიმე შედეგებით უბრუნდება.

ირაკლი ხართიშვილი

რეგიონი

ბარტერი აჭარელ გლეხებს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს

ცენტრისა და რეგიონის დაძაბულ ურთიერთობაზე წლების განმავლობაში გრძელდებოდა საუბარი. პირველი გამუდმებით ამტკიცებდა, ბიუჯეტში ფულს არ რიცხავს აჭარაო, ეს უკანასკნელი კი — პირიქით, ცენტრი დედინაცვალივით გვექცევა, დახმარების ნაცვლად პრობლემებს გვიქმნისო. შევარდნაძის ბათუმში სტუმრობამ როგორღაც ერთი ხელის მოსმით მოაგვარა, თურმე, ეს პრობლემა. აჭარაში ამტკიცებენ, ეს ყველა დარგს ერთნაირად დაეტყოო.

— მე სამი თვეა, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე დავინიშნე. ამ დარგში აქამდე არანაირი ინვესტიცია არ ჩადებულა. ახლა ყველაფერი შეიცვალა. ჩვენთან არსებობს ფირმა „სოფნაყოფიერება“, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა. როგორც კი უთიერთობა დარეგულირდა ცენტრსა და რეგიონს შორის, მაშინვე მისცეს 15 000 ლარი. ანალოგიური მდგომარეობა ჰქონდა ტენდერში გამარჯვებულ ჩაის გადამამუშავებელ ქარხანა „კონდიტრეიჯს“. მას ფულს არ აძლევდნენ დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, ახლა კი ურთიერთობებში დათბობა შეიმჩნევა — ამობს ბატონი ანზორ დევაძე.

აჭარა საკმაოდ მდიდარი რეგიონია, თუმცა მოსახლეობას ხელის შეწყობა და დახმარება მაინც სჭირდება. პროდუქციას, რომელსაც გლეხი მოიწევს, რეალიზაცია უნდა. ცხადია, აქ ხელისუფლების მხრიდან დახმარება და გვერდში დგომა აუცილებელია.

— ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, გლეხებს მდგომარეობა შევუმსუბუქოთ. არ გვინდა, მათი ვალი გვქონდეს. ვინმეს შრომა წყალში ჩაეყაროს. ამისათვის ბარტერული გაცვლების ჩატარება გადავწყვიტეთ. არსებობს სპეციალური ფირმა, რომელიც ბარტერულ გაცვლებს უწევს ორგანიზებას. მალე გავაფორმებთ ხელშეკრულებას მასთან. მაგალითად, რამდენიმე ტონა მანდარინს გავცვლით შესაბამისი ოდენობის პურის ფქვილზე — ამბობს მინისტრი.

აქ ორი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ციტრუსებისა და თხილის გადამამუშავებელი ქარხანაა. ბატონი ანზორის თქმით, ეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის დიდი მონდომების შედეგია. თხილი შემოაქვთ სხვადასხვა რეგიონებიდან: სამეგრელოდან, გურიიდან. ციტრუსების და თხილის დამუშავება, დამზადება და შეფუთვაც, როგორც ამბობენ, ევროპულ დონეზე ხდება.

მაღალმთიან რაიონებში მეთაფბაქეობაა განვითარებული. ბათუმის თამბაქოს გადამამუშავებელი ქარხანა აწარმოებს სიგარეტებს „ასტრა“, „პრიმა“, „ბათუმი“.

— თამბაქოს წარმოებას გარკვეული პრობლემები ახლავს თან. ალბათ, პარლამენტში დაისმება საკითხი ამასთან დაკავშირებით. მაგალითად, რუსეთში ფილტრიან სიგარეტზე აქციზი 7 თეთრია, ხოლო ჩვენთან — 20 თეთრი. ამიტომ ხდება საქართველოში რუსულაქციზიანი სიგარეტის შემოტანა. ჩვენთანაც ანალოგიურად ფილტრიანზე 7 თეთრი რომ იყოს, უფილტროზე — 1 თეთრი, პრობლემები აღარ იქნებოდა. თამბაქოს წარმოება გაიზრდებოდა, ქვეყნის ბიუჯეტშიც, ცხადია, მეტი თანხა შევიდოდა, — ამბობს ბატონი ანზორ დევაძე.

მოკლედ, პრობლემებიც არსებობს და კონკრეტული შედეგებიც. ყველაზე მთავარი კი მაინც ქვეყნის ერთიანობა, ურთიერთგაგება და თანადგომაა, რომელსაც ცენტრიც და რეგიონიც პირველ პლანზე უნდა აყენებდეს.

ნანა ძველაია

ოპერატიულ ღონისძიებებს ქართულ-ოსური მხარე ერთად ატარებს

ქართული და ოსური მხარე ოპერატიულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ერთად ვატარებთო, — შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ნოდარ დალაქიშვილის ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოგვეჩვენა და თანაც წამალივით მოგვედო გულზე. ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ ურთიერთობებმა ნელ-ნელა რომ დათბობა დაიწყეს, ნათლად გამოჩნდა. თუმცა, კრიმინალური ვითარების დაძაბვას, მძიმე კატეგორიის დანაშაულებების ზრდას სწორედ რომ ეს კონფლიქტიც უწყობს ხელს.

— ქათრულ-ოსურ ურთიერთობებში შექმნილი მდგომარეობა განაპირობებს მთლიანად შიდა ქართლში ოპერატიული ვითარების დაძაბვას, რომელიც სამ კატეგორიად იყოფა. პირველ ადგილზე დგას ნარკობიზნესი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამაჩაბლოს გავლით მოდის. საგანგაშოა, ქართულ-ოსური კრიმინალური დაჯგუფებების გაერთიანება. გატაცებული ავტომობილები ამ კონტაქტების წყალობით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში გადაჰყავთ.

ზემოთაღნიშნულ ორ პრობლემას ყველაზე მნიშვნელოვანი — მესამე საკითხი განაპირობებს. ქართული მხარე ჩრდილოეთიდან შემომავალ საზღვარს ვერ აკონტროლებს, — აცხადებს ნოდარ დალაქიშვილი.

კრიმინალური სიტუაციის დაძაბვაზე აშკარად მეტყველებს მძიმე კატეგორიის დანაშაულთა მატება, სერიალივით მიწყობილი მკვლელობის ფაქტები:

ჯერ პოლიციელებზე თავდასხმის დროს ხაშურის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების უფროსი მოჰკლეს. ამას დიდი ლიახვის ხეობაში 24 ნოემბერს დავით და უშანგი გოჩაშვილების გვამების აღმოჩენა დაემატა. გომის სპირტის ქარხნის დირექტორის — დიმიტრი დუგლაძის მკვლელობამ ყველაფერს წერტილი დაუსვა. წინასწარი მონაცემებით, როგორც ვარაუდობენ, ეს შემთხვევა დაკვეთილ მკვლელობას ჰგავს.

— შიდა ქართლის რეგიონში ძალოვანი სტრუქტურების მზადყოფნა მუდმივად საჭიროა. ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სპეციალური გეგმების მიხედვით ვატარებთ. რამდენიმე დღის წინ კონფლიქტის ზონაში პოლიციის თანამშრომელს დაესხნენ თავს. წაართვეს იარაღი და ავტომანქანა „მერსედესი“. ღონისძიებები ჩვენ და ცხინვალის სამართალდამცავებმა ერთობლივად ჩავატარეთ. შეტაკება ერთ-ერთ კრიმინალურ დაჯგუფებასთან მოგვიხდა. ორი კაცი დაიჭრა, ერთი დავიჭირეთ, დაჭრილები საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ძიებას ოსი და ქართველი სამართალდამცავები ერთობლივად ატარებენ, — გვითხრა ბატონმა ნოდარმა.

რეგიონის უსაფრთხოებაზე პოლიცია კი აგებს პასუხს და შეძლებისდაგვარად იცავს კიდეც სიმშვიდეს, მაგრამ ვიდრე ქართულ-ოსური კონფლიქტი ბოლომდე არ დარეგულირდება, ვითარების ბოლომდე გაკონტროლება, ალბათ, შეუძლებელიც იქნება.

ნანა ძველაია

ვარსკვლავები

დოდო ჭიჭინაძის პირველი როლი ქეთევანი „დავით გურამიშვილში“

დოდო ჭიჭინაძე: „ახლა ქვეყანაში ფულთაყვანისმცემლობაა გამეფებული... მე არ მინდა ასეთი საქართველო“

სილამაზე უკვალოდ არ ქრება, არც ნიჭი და ტალანტი იკარგება სადმე... ამ სიტყვების დასტურად ერთი მშვენიერი ქალბატონის, ფეხის ტერფიდან თმის ძირამდე ქართველი ქალის, ქართული თეატრისა და კინოს მშვენების დოდო ჭიჭინაძის ცხოვრება და შემოქმედებაც კმარა. დოდო ჭიჭინაძე 1925 წლის 28 თებერვალს დაიბადა ყვარელში. მართალია წარმოშობით იმერელია, მაგრამ თავს კახელად თვლის და ამ კუთხის საპატიო მოქალაქეცაა, რაც მისთვის უდიდესი ჯილდოა. მას მრავალი კინო თუ თეატრალური როლი აქვს განსახიერებული და არაერთი დაუვიწყარი სახეც შეუქმნია, თუმცა ხელოვნების სამყაროში იგი სრულიად შემთხვევით მოხვდა.

თურმე, ქალბატონი დოდო სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო, როცა ქუჩაში რეჟისორ საამაშვილის დედას შეუმჩნევია, ძლიერ მოსწონებია და უკანაც გაჰყოლია, რათა მისი მისამართი გაეგო. სახლში მისულს შვილისთვის უთქვამს: მე ვიპოვე გოგო, რომელიც თქვენ როლისთვის გჭირდებათო. მეორე დღესვე მიუკითხავს რეჟისორს დოდო ჭიჭინაძისთვის და წაუყვანია. იგი ქართულ ტანსაცმელში გამოუწყვიათ და გრიმიც წაუსვამთ. ამ დროს ოთახში კინოსურათის მხატვარი თამარ აბაკელია შემოსულა და ფილმისთვის გამზადებული ესკიზები მოუტანია. რეჟისორსა და ოპერატორს ესკიზები უნახავთ თუ არა იმწუთასვე დოდოსკენ გამოუხედავთ, თამარიც მისკენ შებრუნებულა და გაშეშებულა, რადგან მის ესკიზებში დოდო იყო გამოსახული, თუმცა აქამდე იგი არასოდეს ენახა. ასე მიიღო დოდო ჭიჭინაძემ პირველი როლი — ქეთევანი „გურამიშვილში“. კინოს მალე თეატრის სცენაც მოჰყვა...

— ქალბატონო დოდო, როგორ მოხვდით მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და რას გვეტყოდით იქ ნათამაშები როლების შესახებ?

— მარჯანიშვილის თეატრში ვერიკო ანჯაფარიძემ და შალვა ღამბაშიძემ მიმიყვანეს. პირველი როლი „ურიელ აკოსტაში“ ივდითის როლი გახლდათ. აგერ უკვე 52 წელიწადია, მარჯანიშვილის თეატრში ვარ და სხვაგან არც წავსულვარ. ეს უმაღლესი თეატრალური აკადემია იყო. იქ პატარა ეპიზოდური როლის შემსრულებელი მსახიობიც კი პირველ რიგში იყო პიროვნება. რეპრესიების დროს თეატრში ადამიანი არ დაუპატიმრებიათ, არაიდეალური ურთიერთობის მიუხედავად, იმ დონეზე არავინ დაცემულა, რომ ვინმე ასე გაეწირათ. ეს თეატრი ჩემი ნამდვილი სახლი, ჩემი კერა იყო. 15 წელიწადი ვთამაშობდი „ერეკლეში“ ანანოს როლს, 7 წელი — ჯარისკაცის ქვრივს. დაწყებული „ურიელ აკოსტადან“ დამთავრებული ევრიპიდეს „მედეათი“, ნათამაშები მაქვს ყველა ტრაგიკული როლი, ამას დავუმატოთ შექსპირი, „ლეგენდა სიყვარულზე“ და მრავალი სხვა. თეატრმა ბევრი კარგი დღე მაჩუქა. არასოდეს დამავიწყდება როგორი შეხვედრა მომიწყეს მოსკოვში, როგორ შევხვდი სტალინს, სხვათაშორის, ინტელიგენციის წარმომადგენლებიდან მხოლოდ მე მერგო წილად მასთან შეხვედრა. მე მიმყავდა დიდ თეატრში ჩვენი საღამოები. ძალიან მიყვარს და ვაფასებ რეზო ჯაფარიძეს, მან ძალიან ბევრი სიხარული მომანიჭა.

ასეთივე აღტაცებითა და სიამაყით ისხენებს ქალბატონი დოდო თავის დიდ ქართულ ოჯახს:

— მამაჩემი უმაღლესი ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. მას ვასო ძიას ეძახდნენ და მთელს ყვარლის რაიონში მისადმი ყველას განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა. ის ძალზედ განათლებული, ულამაზესი მამაკაცი იყო, ასევე ულამაზესი ქალი გახლდათ დედაც — ანა ელიზბარის ასული ახვლედიანი. პაპაჩემის ერთ-ერთი ძმა გურამ ასათიანის პაპა იყო, მეორე ძმა — ყელ-ყურის პირველი კლინიკის დამაარსებლის — დათო ჭიჭინაძის მამა, მესამე ძმა კონსტანტინე — რუსთველოლოგი გახლდათ, მეოთხე — ალექსი ჭიჭინაძე კი პირველი ქართული გიმნაზიის დამაარსებელი. მისი შვილი ბესარიონი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი ელექტროსადგურის ამშენებელი იყო. მათ ორი და ჰყავდათ. ერთი ნიკო ნიკოლაძის მეუღლე გახლათ, მეორე კი — ნიკო ელიავასი. აი, ასეთი დიდი ქართული ოჯახი მქონდა.

— ბავშვობის ნათელი მოგონებებიდან რას გაიხსენებდით?

— ბავშვობიდან 3 ენაზე ვსაუბრობდი: რუსულ, ქართულ და გერმანულ ენებზე. რუსული ერთმა დუხაბორმა ქალმა დაშამ მასწავლა. ვეტყოდი ხოლმე დაშას: „ვაზმი ეტა დასტამბო ნა ხორბალ პალაჟი“, ამ სიტყვებზე მამაჩემი კვდებოდა ხოლმე სიცილით. ძალიან მიყვარდა კითხვა. როცა ყველა დაიძინებდა, მე ჩემს ოთახში ლამფას ვანთებდი და შუაღამემდე ვკითხულობდი. უწიგნოდ ცხოვრება არ შემეძლო, წიგნი ჩემთვის ყველაფერი იყო.

— ყველაზე მეტ სიამოვნებას მაინც ვისი შემოქმედება განიჭებდათ?

— ძალიან მიყვარს გიორგი ლეონიძე. პატარა რომ ვიყავი, სულ ვიძახდი — როცა გავიზრდები, ძია გოგას ცოლი უნდა გავხდე-მეთქი. იგი არამარტო პოეტი, უდიდესი ვაჟკაცი იყო. ძალიან მიყვარს ლადო ასათიანი, მუხრან მაჭავარიანი. მწერლებიდან კი კონსტანტინე გამსახურდია რომ მეფეა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— ქალბატონო დოდო, თქვენ საუბარში აღნიშნეთ, რომ ნამდვილ მეგობრობაზე საუკეთესო არაფრია, მოდით, თქვენს მეგობრებზე გვესაუბრეთ.

— ძალიან ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ მედეა ჯაფარიძე ჩემთვის ყველაფერი იყო. ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიყავით. დილით დამირეკავდა და მეკითხებოდა — მივდიოდი თუ არა თეატრში. თუ მივდიოდი, ისიც მოდიოდა. საოცარი პიროვნება იყო, ჭკვიანი, ლამაზი. ძალიან მიყვარდა რეზო ჯაფარიძეც, იგი ჩემი მეორე ძმა იყო. მიყვარს ზინაიდა კვერენჩხილაძე, ასევე უნიჭიერესი და ჭკვიანი ქალია. სიყვარულიც იცის და გატანაც.

— სიყვარულში თუ გაუმართლა ლამაზ ქალბატონს?

— კი, მიუხედავად იმისა, რომ გვიან გავთხოვდი. მყავდა ერთადერთი სათაყვანებელი მეუღლე. იგი წარმოშობით აჭარელი იყო, გვარად ბუზოღლი. მამამისმა ააშენა ბაქო-ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, იყო უდიდესი ინჟინერი, ასევე ინჟინერი იყო ჩემი მეუღლეც. მან ძალიან ბევრი ბედნიერი დღე მაჩუქა. იგი სულით მოგზაური იყო, მუშაობდა იმისათვის, რომ ფული ჰქონოდა და ემოგზაურა. მეგობრობდა ტურ ჰეერდართან, სიმონ ჯანანიასთან. ორჯერ ჰქონდა გადაკვეთილი ეკვატორი და ახალ მინაზეც კი იყო ნამყოფი. მეც ყველგან თან დამატარებდა.

კაცი შეიძლება შეუხედავი იყოს, მაგრამ ამავე დროს იყოს უმაღლესი ინტელიგენტი. ქალი მამაკაცის სახით მყარ კედელს უნდა გრძნობდეს. მე 22 წელიწადი ვიყავი უბედნიერესი ქალი, რადგან ჩემი მეუღლე ჩემთვის სწორედ ასეთი კედელი იყო. ოჯახი იგივე ქვეყანაა, აქაც საჭიროა საოცარი დიპლომატია, დათმობა. მე ვერ გამიგია ზოგიერთი ქალის, რომელიც 9-ჯერ ანგრევს ოჯახს. ასე არ შეიძლება, სირცხვილია. ამით თაობებს ხომ უზნეობას ვაჩვენებთ.

— რას ნიშნავს „თავადის ქალ ნინოსთვის“ ათეულობით წლები და რა შეფასებას მისცემდა იგი დღევანდელობას?

— მე ერთი რამ ვიცი — თავადი წარმოშობით კი არ უნდა იყო, არამედ სულით. მე ასე მწამს. დღეს კი სულიერება ძალზედ დაცემულია. იმ დიდი ომის დროსაც კი ვერ ნახავდით ქართველ მათხოვარს, სოფელი არ მოიძებნებოდა, სადაც ელექტროენერგია არ იყო და თანაც ყველაფერი ეს კაპიკები ღირდა. ახლა ქვეყანაში ფულთაყვანისმცემლობაა გამეფებული. მე არ მინდა ასეთი საქართველო. მწერალს წიგნის გამოცემის საშუალება არ უნდა ჰქონდეს? მწერლობა ხომ ერისა და კულტურის ფუძეა? ან უპატრონო ბავშვებისთვის ერთი სკოლა აეშენებინათ, სადაც ხელობას შეასწავლიდნენ და ადამიანები დადგებოდნენ. ის კი არა და, საუნებია მოწყობილი, სადაც კაცებს პატარა გოგონები ემსახურებიან. მაპატიეთ და ეს ქართული არ არის, ეს საქართველო არ არის.

— ქალბატონო დოდო, დღეს მოდას აყოლილი ხალხი ბევრ ისეთ რამეშიც ბაძავს უცხოელებს, რაც ქართული მენტალიტეტისთვის, ჩვენი მეობისთვის უცხოა. თქვენი თაობა როგორ უყურებდა მოდას?

— ჩვენ მოდას აყოლილი ხალხი არასოდეს ვყოფილვართ. განსაკუთრებულად არც არასოდეს ჩამიცვამს. მერი დავითაშვილი მეტყოდა ხოლმე: მე ხომ ვიცი, რომ სხვაც გაქვს, ამ კაბას აღარ გამოიცვლიო. ტანსაცმლის ამოჩემება ვიცოდი. ერთს რომ ამოვიცვამდი, სულ იმით დავიდიოდი ხოლმე.

— თქვენ ბევრს მოგზაურობდით თქვენს მეუღლესთან ერთად. ყველაზე მეტად რომელმა ქვეყანამ მოგხიბლათ?

— დიდი შთაბეჭდილება დატოვა ესპანეთმა. ესპანელები ძალიან კარგი ხალხია, ზედ გადაგყვებიან. სხვათაშორის ძალიან გვგვანან, წარმოიდგინეთ სამზარეულოთიც კი — აქვთ ღომი, ცხარე კერძები და საერთოდ, ძალიან პურმარილიანი ხალხია ქართველებივით. კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო, ჩავედი იტალიაში, საითაც კი გავიხედე, ყველგან მუსოლინის ძეგლია. ვეკითხები იქაურს: კი, მაგრამ თქვენ ხომ ასე ვერ იტანთ მუსოლინის, რატომ გაქვთ მისი ამდენი ძეგლი-თქო. მომიბრუნდა და მითხრა: „დარაგაია, ეტა ჟე ისტორია“. ახლა საფრანგეთში ჩავედი, ნაპოლეონის საფლავი გაუკეთებიათ რაღაც არაჩვეულებრივი სილამაზის, თანაც ისეა მოწყობილი, რომ თუ თავი არ დახარე, ისე ვერ დაინახავ მას, რაც ნიშნავს შემდეგს: „მე თავს ვხრი დიდი ფრანგის წინაშე“. ჩვენებმა კი სტალინის ძეგლი ჩამოაგდეს, ასე არ შეიძლება.

— რაზე გწყდებათ გული და რას შეცვლიდით, ცხოვრება რომ თავიდან დაგეწყოთ?

— შეცვლით არაფერს, ხელოვნებაში მაინც ვიქნებოდი. გული კი მწყდება იმაზე, რომ ორი ძმისშვილი დამეღუპა. ეს უდიდესი ტრაგედია იყო ჩემთვის. გული მწყდება იმაზეც, რომ ერთმანეთთან დავასა და ჟიშს არ ვეშვებით. მინდა, რომ საქართველო იყოს ისეთი ქვეყანა, რომლის შინაგან საქმეებში ჩარევის უფლება არავის ექნება.

ქალბატონი დოდო, როგორც შევიტყვეთ, მემუარებს წერს. მასში სრულად იქნება ასახული ის გრძელი და საინტერესო გზა, რომელიც კინოსა და ცხოვრებაში გაიარა. მემუარები დღის სინათლეს, ალბათ, მალე იხილავს.

მარი გოგიშვილი

ტერენტი გრანელი 100
„მე მივდიოდი სინათლისაკენ“

იდგა 1934 წლის გვიანი შემოდგომა, პირველი საავადმყოფოს პროზექტურიდან გამოასვენეს კუბო, რომელსაც რამდენიმე სანიტარი და ორიოდ მწერალი მიაცილებდა. პროცესია იყო ჩუმი და ნაღვლიანი ისევე, როგორც გარდაცვლილი პოეტის სული.

აგერ უკვე ასი წელი გავიდა. მთელი საუკუნე მიილია მისი დაბადებიდან. ქართველ ხალხს კი ახსოვს და უყვარს იგი. კაცი „უჩინო“, კაცი, რომელიც არ თუ ვერ მიიღო საზოგადოებამ. მისი ტოლები, შეიძლება მასზე ბევრად ნაკლებ ნიჭიერნი ცხოვრობდნენ ლაღად, ხალხის დიდი აღიარებით. ტერენტი კი არავის ახსოვდა, სილაღე მისთვის სიშორე იყო. „ის დადიოდა დახეული სამოსით და მუდამ მეშინოდა, რომ იპოვნიდნენ სადღაც სციცვისაგან გათოშილს“, — წერდა ერთ-ერთი მისი თანამედროვე.

მზე უყვარდა ტერენტის, მისი სითბო ეწვა სულში და ის და თბილისი აწერინებდნენ ასე გამთბარ სტრიქონებს. „მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე უდრის გარდაცვალებას“ — წერდა პოეტი. ის ეძებდა, ეძებდა სიჭრცეს, სილაღეს, მაგრამ ამაოდ. მისი სხეული ასე ნატანჯი ვერ გასცდა მიწას, თუმცა ლექსები მის მაგიერ აიჭრნენ ცაში.

დაბადებიდან ბედი არ დაჰყვა. დედა ადრე დაეღუპა, ფიზიკურად უძლურ მამას ეხმარებოდა ლუკმის შოვნაში, თუმცა გული თბილისისკენ მიუწევდა. სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. თბილისში მაინც მოახერხა ჩამოსვლა და სამუდამოდ აქ დარჩა. „ჩემი გული ყვითელი ფოთოლივით ჩამოვარდა გუშინ და ბაღში იპოვეს ქალებმა, ჩემი გული გადაეცით თბილისს“ — წერდა ტერენტი. მას არ სჭირდებოდა დაფნის გვირგვინი. მან იცოდა თავისი პოეზიის ფასი. „გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოსია“ — წერდა იგი. არც არავის ჩამოუვარდებოდა იგი სამშობლოს სიყვარულშიც. მაშინ, როცა ზოგიერთები იმალებოდნენ სოროებში (1924 წელს), ტერენტი რიხიანად აკვრევინებდა „სამშობლოს“. მიუხედავად ყველაფრისა, იგი გაწირეს, გაწირეს ადამიანებმა, გაწირა ცხოვრებამ, თუმცა თაობებს მაინც ახსოვთ მისი ამაღლებული პოეზია და დღეს აღნიშნავენ მისი დაბადების 100 წლის იუბილეს.

მაია საფარიშვილი

ეს უნდა ვიცოდეთ!

იოდს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს

ხალხურ მედიცინას აინტერესებს ადამიანის ორგანიზმის უნართაგან სამი. პირველი: ავადმყოფობების მიმართ მისი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, სხვადასხვა სახის დაზიანებისას მისი აღდგენითი უნარი და ბოლოს, რამდენად შეუძლია ორგანიზმს შეებრძოლოს უკვე არსებულ დაავადებას.

სამი-ოთხი ათეული წელია, გამოვლენილია იოდის კავშირი ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნართან დაავადების მიმართ. იოდი აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამ ჯირკვალში გადის ორგანიზმში მბრუნავი სისხლის მთელი მოცულობა 17 წუთის განმავლობაში. ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ ფარისებრ ჯირკვალში არსებულმა იოდმა მოსპოს არამდგრადი მიკრობები, რომლებიც სისხლში ხვდებიან სხვადასხვა გზით. კერძოდ, კანის დაზიანებული ადგილებიდან, ცხვირის ან ყელის გზით. ავადმყოფობის გამომწვევი მდგრადი მიკრობები კი სუსტდებიან ფარისებრ ჯირკვალში ყოველი განმეორებითი გავლის შედეგად და საბოლოოდ იღუპებიან. ცხადია, რომ მიკრობებისაგან სისხლის გაწმენდა ფარისებრ ჯირკვალს შეუძლია მხოლოდ მისი იოდით ნორმალურად უზრუნველყოფის პირობებში.

ზუსტადაა დადგენილი, რომ იოდის მარაგი ფარისებრ ჯირკვალში დამოკიდებულია იოდის შემცველობაზე ადამიანის მიერ მოხმარებულ საჭმელსა და წყალში. იოდის არასაკმარისი ოდენობით მიღებისას ფარისებრი ჯირკვალი განიცდის მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ელემენტის დეფიციტს.

თუმცა ხალხური მედიცინა მიიჩნევს, რომ ზემოთ აღწერილი დამცავი ფუნქციის გარდა, იოდი სხვა ფუნქციებსაც ასრულებს: პირველია დღის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე დახარჯული ენერგიის აღდგენა. არსებობს განსაზღვრული კავშირი ადამიანის ენერგიის მარაგსა და იოდის მოხმარებას შორის. ამიტომ ადამიანის სასიცოცხლო ტონუსის დაქვეითებისას პირველ რიგში იბადება კითხვა: საკმარისი რაოდენობით იღებს თუ არა ადამიანი იოდს? იოდის მეორე ფუნქციაა დამამშვიდებელი გავლენის მოხდენა ორგანიზმზე. ნერვული დაძაბულობის გაზრდის დროს, ძლიერი გულფიცხობისას და უძილობის შემთხვევაში ორგანიზმი მუდმივად იმყოფება თითქოსდა კონფლიქტურ სიტუაციაში, წინასწარ რომ განაწყობს მას ბრძოლისა და დამარცხებისათვის. ამ ფაქტორების არსებობისას, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზმის ძლიერ დატვირთვას, იზრდება მოთხოვნილება იოდზე, — იგი აუცილებელია ნერვული დაძაბულობის შესამცირებლად, ორგანიზმის მოსადუნებლად და პირობების შესაქმნელად ოპტიმიზმისათვის. ოპტიმიზმი კი ორგანიზმს განაწყობს თანხმობისა და სიმშვიდისაკენ სარეზერვო ნივთიერების მარაგების შექმნის ხარჯზე, რომლებსაც იგი მოიხმარს ორგანიზმისთვის ექსტრემალურ შემთხვევებში. იოდის მესამე ფუნქცია ადამიანის ორგანიზმში დაკავშირებულია მის გონებრივ საქმიანობასთან. იოდით ორგანიზმის ნორმალური უზრუნველყოფისას შეიმჩნევა გონებრივი შესაძლებლობის გაზრდა. მნიშვნელოვანია იოდის როლი ორგანიზმში ცხიმების არასასურველი დაგროვების წინააღმდეგაც. იგი ერთ-ერთი საუკეთესო კატალიზატორია ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვითი პროცესებისათვის. მისი დეფიციტის დროს ხდება საჭმლის არასრული დაჟანგვა, რის გამოც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცხიმების ზედმეტი მარაგის წარმოქმნას.

რა გზით შეიძლება შევავსოთ იოდის დეფიციტი ორგანიზმში? ერთ-ერთი მარტივი ხერხი შემდეგში მდგომარეობს: გამოვიყენოთ ლუგოლის ხსნარის 1 ან 2 წვეთი სხეულის წონის შესაბამისად (65 კგ-ზე ნაკლები წონისას მივიღოთ 1 წვეთი; 65 კგ-ზე მეტი წონისას — 2 წვეთი). ლუგოლის ხსნარი მზადდება აფთიაქებში. იგი წარმოადგენს იოდის 5%-იან სხნარს კალიუმის იოდიდის 10%-იან წყალხსნარში. ჩვეულებრივ ექიმები ურჩევენ იოდის მიღებას მშიერ კუჭზე, სასურველია ჭამამდე 20 წთ-ით ადრე. ლუგოლის ხსნარის 1 ან 2 წვეთი პიპეტით უნდა შევურიოთ 1 ჭიქა წყალში და დავლიოთ პატარ-პატარა ყლუპებით. ხალხური მედიცინა გვთავაზობს იოდიანი წყალი შევამჟავოთ ვაშლის ძმრით (1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი 1 ჭიქა წყალში). პირველი ნიშანი ორგანიზმის გაჯერებისა იოდით, ცხვირში ლორწოს რაოდენობის გაზრდაა. ასეთ შემთხვევაში უნდა შევწყვიტოთ იოდის მიღება, ვიდრე ეს მოვლენა არ გაჰქრება.

Джарвис, мед и другие естественные продукты. Апомондия, 1981

სიგარეტი იმპოტენციას იწვევს

სერიოზულად

თამბაქოს ჩვენს საუკუნეში კი არა, უხსოვარი დროიდან აბოლებენ ადამიანები. თუმცა დღემდე მწეველი არ შემხვედრია, ეთქვა, კმაყოფილი ვარ ნებაყოფლობით ინტოქსიკაციითო. არც ის გამიგონია, „რაც მოწევა დავიწყე, უკეთესად ვგრძნობ თავსო“.

ეროვნული ტრაგედია სხვაც ბევრი გვაქვს: შიმშილი, მათხოვრობა, ქურდობა, ნარკომანია, ლოთობა. ტელეეკრანებიდან ხომ სადაც არის წაგვლეკა სექსის, სადიზმის, ძალადობის, სისხლიანი სცენების ჩვენებამ და მაინც, არ შემიძლია ყურადღება არ გავამახვილო თითქოს უმნიშვნელო (ერთი შეხედვით), ეროვნულ ტრაგედიამდე მისულ მავნე ჩვევაზე, რასაც თამბაქოს წევა ჰქვია.

იმ უამრავი დაავადებების გარდა (აქ მათ ჩამოთვლას არ შევუდგები), რასაც თამბაქოს წევა იწვევს, ყველაზე დიდი ტრაგედია (მგონი სიკვდილზე დიდი) ვაჟებისთვის ის გახლავთ, რომ ნიკოტინი სისხლძარღვებს ავიწროებს და ხელს უწყობს იმპოტენციის განვითარებას. ამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია.

თამბაქო ზოგისთვის შხამია, ზოგისთვის უდიდესი ბიზნესი, მაგრამ ვერც ბიზნესმენები უარყოფენ მის მავნე მოქმედებას. დიდი რეკლამის მიუხედავად, სიგარეტის კოლოფზე მაინც აწერია, რომ იგი ჯანმრთელობისთვის მავნეა. ისე, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს სად რა წერია, შენს შინაგან გულისთქმას უნდა უგდო ყური, თორემ... ბევრი კაცი ვიცით, საბუთებში მამრობითი სქესი რომ უწერია, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, თვითონაც არ იციან, ვინ არიან. აღარ მინდა საუბარი, რა ზიანი მოაქვს სიგარეტის წევას ქალებისათვის. დღეს „გაევროპელებულ“ საქართველოში ყველა კატეგორიის „სუსტი სქესის“ წარმომადგენელი ისეთ ღონიერ ნაფაზს დაარტყამს, რომ ნებისმიერ მამაკაცს შეშურდება.

ნახევრად სერიოზულად

მე, როგორც პატრიოტმა კაცმა, კარგა ხანს ვიმუშავე, რომ ზოგიერთი სიგარეტის კოლოფზე წარწერილი დასახელება გამეშიფრა. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა ჩემს მიერ გაშიფრული წარწერა მათი ანტირეკლამაა, ოღონდ უნდა წაიკითხოთ წაღმა-უკუღმა. ასე მაგალითად:

„ლმ“ — ლოგიკურია, მოწევა ლმსაც მოკლავს!

„ვესტი“ — ვინც ეწევით, საშინლად ტყუვდებით, იცოდეთ! იმპორტული ტოქსიკური სიგარეტი, ეროვნულზე ვერაგია.

„ძეგელი“ — ქალებო, ერიდეთ მოწევას, ეთიკურად, ლამაზად იცხოვრეთ! იღუპება ლამაზი ერი, მოსპობა ემუქრება ქვეყანას!

„ვალბორო“ — მოწევა აქვეითებს ლიბიდოს, ბოლი „ონკოლოგიურად“ რეაგირებს ორგანიზმზე! ორგანიზმი როდია ორიენტირებული ბოლში ლივლივზე, არ მოსწიოთ!

„კენტი“ — კატეგორიულად ერიდეთ ნიკოტინს, ტუბერკულოზს იწვევს! იცოდეთ, ტუბერკულოზი ნაღდად ემუქრება კაცობრიობას!

„ვინსტონი“ — ვინც იცით ნიკოტინის სასიკვდილო ტოქსიკურობა, ორგანიზმს ნუ წამლავთ! ირწმუნეთ, ნიკოტინი ორგანიზმის ტრავმირების საწინდარია, ნებაყოფლობითი ინტოქსიკაცია ვირობაა!

„ვაისროი“ — ვაბოლებ ამ იმპორტულ საწამლავს, რადგან ორგანიზმი ითხოვს! ის ორგანიზმი, რომელიც საწამლავს ითვისებს, აუცილებლად ვაგლახდება!

„ვაგნა“ — მოწევა ანვითარებს განგრენას, ნიკოტინი-ააა! აა, ნამდვილად განავალია, ამიტომ მიატოვეთ!

და რაც მთავარია, აი, როგორ იშიფრება კაცობრიობის მტერი თამბაქო — თუ ამას მოსწევთ, ბევრჯერ ააყროლებთ ქართულ ოჯახებს! ოჯახის ქალი არასოდეს ბაძავს მამაკაცს ამორალურ თვისებებში!

ანტი-ნიკო-ტინი იოსებიძე

SOS! კვალიფიციური ექსპერტი გირჩევთ!

გარე ვაჭრობაზე შეძენილი პროდუქტი თქვენს სიცოცხლეს ემუქრება

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხორცს ისედაც თვეობით ვერ ყიდულობს. ამას დაემატა გაფრცელებული ხმებიც, ხორცი დაავადებულიაო. ციმბირის წყლულის გაჩენის საშიშროებამ ხალხი პანიკაში ჩააგდო და ბევრმა კვების რაციონიდან ხორცი საერთოდ ამოიღო. როგორ მოვიქცეთ. ვიყიდოთ თუ არა ხორცი?! რა ქნას მომხმარებელმა, რომელმაც წვალებით ძლივს იშოვა ფული და საკუთარი ნებით საწამლავის ყიდვა უხდება?! აი, კითხვა, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ყოველი ჩვენთაგანის თავზე. ამიტომაც ვეძებთ გამუდმებით იმ მაღაზიებს, ბაზრებსა თუ სხვა სავაჭრო ობიექტებს, სადაც მართლაც ზრუნავენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და ხარისხიან, შემოწმებულ პროდუქტებს ყიდიან.

ჩვენი რუბრიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ამ მიმართულებით მოსახლეობის ინფორმირება გახლავთ.

2001 წელს ვეტერინარული სამსახურის ლაბორატორიების მიერ დაწუნებულია 4200 კგ პროდუქცია. ქალაქ თბილისის ვეტერინარული ინსპექციის მიერ 2001 წელს რეალიზაციიდან ამოღებულია 1800 კგ-ზე მეტი საკვები პროდუქტი. საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი ვლადიმერ გვარჯალაძე და თბილისის ვეტერინალური გაერთიანების უფროსი — ქალაქის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი-ინსპექტორი, ბატონი ირაკლი მოსიძე, როგორც ექსპერტები, უკვე მეორედ მოიხსენიებენ საუკეთესოთა შორის კრწანისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარს, რომელსაც მოსახლეობა „დახურული ბაზრის“ სახელით იცნობს. მას შემდეგ, რაც 2000 წლის 1 სექტემბრიდან ბაზარი იჯარით გადაეცა შპს „ლასოს“ ხელმძღვანელობას, საუკეთესო შედეგმაც არ დააყოვნა. ჩვენ სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ელისო შარაშენიძე თბილისში ერთადერთი ქალია ბაზრის ხელმძღვანელთა შორის.

— ჩვენი წარმატება ჩემი მარჯვენა ხელის, ამ საქმის პროფესიონალის — ლევან ცომაიას და მთელი კოლექტივის დამსახურებაა, — ბრძანებს ჩვენი რესპოდენტი, — ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, ამ გზას რომ გავყევი. მართალია, ექიმი არ ვარ, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რაც ძალიან გიყვარს, გრძნობ, შინაგანად ყოველთვის იმ საქმეს აკეთებ...

გაფრცელებული აზრის თანახმად, პროდუქტი ამ ბაზარში შესამჩნევად ძვირია, თუმც ქალბატონი ელისო ამას არ ეთანხმება: „მეორესთან შედარებით პირველ სართულზე ფასები საგრძნობლად დაბალია, ბაზარში დაცულია სტანდარტები, ასევე მოწმდება ხარისხიანია, თუ არა პროდუქცია. შეიძლება, კვებისთვის ვარგისია, მაგრამ ხარისხსაც ხომ გააჩნია. ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბაზრიდან იწყება. ეს კი ჩემი არშემდგარი საეჭიმო პრაქტიკაა თითქოს. ჩვენს ბაზარს აქვს რაღაც თავისებურება, უხილავი დევიზი, დაკისრებული მოვალეობა ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებისა. რაღაც თავისებური იმიჯი შეექმნა ჩვენს სავაჭრო ობიექტს. მომხმარებლის ფსიქოლოგიაც ისეა მომართული, აუცილებლად გამორჩეული და კარგი უნდა შეიძინოს ჩვენთან. თან იცის, წონაში მოტყუება გამორიცხულია. ჩვენი სასწორები შემოწმებულია, თან აქვე გვაქვს საკონტროლო სასწორებიც. პრეტენზიების შემთხვევაში პროდუქტის ვარგისიანობას ხშირად ჩვენთან ამოწმებს მოსახლეობა, და ეს მე ძალიან მეამაყება. ჩვენი ვალია ხარისხიანი და ზუსტი წონითი მომსახურება, შემოწმებული, ეკოლოგიურად სუფთა საკვების გამოტანა დახლზე. ფასზე მხოლოდ მორალური ზემოქმედების საშუალება მაქვს, ძალისმიერი კი — არა, რადგან ფასს ბაზარი თვითონ ამკვიდრებს. ფასი ხომ დამოკიდებულია პროდუქციის სიუხვეზე და მოთხოვნაზე — თუ ფულია, მოთხოვნაც დიდია, და თუ არა, ვერც იყიდის — ასე იმატებს და იკლებს ფასი.

ჩვენთან ხორცი და მისი პროდუქტები გამორიცხულია დაავადებული, დასნებოვნებული იდოს დახლებზე. გარე ვაჭრობა, ეს ამოუწურავი თემაა და კვლავაც გაფრთხილებთ, დაბალი ფასი ნუ გაგახარებთ. ეს დიდი რისკია თქვენი ჯანმრთელობისათვის.

ბაზარში საკონდიტრო საამქროც მუშაობს. იგი შვეიცარიული წარმოებისაა. ხელმისაწვდომია. ფერები ნატურალურია, საღებავი ფერისათვის, ასევე ფხვნილი გემოსათვის, აქ არ გამოიყენება. ყველაფერი კეთდება მხოლოდ ერთი დღისათვის სამყოფი რაოდენობის. თუ მეორე დღისათვის რაიმე რჩება — რიგდება საქველმოქმედო სახით.

„დახურულ ბაზარს“ პრობლემაც გააჩნია. ათონელის ქუჩიდან შემოსასვლელი მხარე, რომელიც ხელს უშლის მომხმარებლის თავისუფლად მოძრაობას. ეს ქუჩა გადაკეტილია სავაჭრო ჯიხურებით. ჩვენ მივწერეთ ამის შესახებ რაიონის გამგეობას, დაიწერა პრესაშიც („საქართველოს რესპუბლიკა“, 20 ივნისი, 2001 წ. „ჯიხურების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე“). ჯერჯერობით შედეგს ვერ ვაღწევთ. კარგი იქნება, თუ ამ საკითხს გაითვალისწინებს სათანადო ორგანოები, რათა კმაყოფილი დარჩეს ბაზრის მომხმარებელიც და შესრულდეს დაგეგმარებაში მითითებული საკითხებიც.

ძეთი ჩადუნელი

ეროვნული ინტერესი

ვიტყვი მხოლოდ სიმართლეს

რატომ უთმობს ხელისუფლება „ეი-ი-ეს თელასს" ყველაფერს?!

„ეი-ი-ეს"-ი საქართველოში დისციპლინის დამყარებას აპირებს. მართალია, ეს დისციპლინა ჯერჯერობით მხოლოდ ენერგოსისტემას შეეხება, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, სულ ცოტა ხანში მთელი ქვეყნის თავის საკუთრებაში გადაცემასაც მოითხოვს (ეს ხუმრობით). ისე კი მკაცრი ხელის პოლიტიკა უკვე კარგა ხანია, დაიწყო. ყველაზე მეტად ეს ხელი ჩვეულებრივი მოქალაქეების ჯიბეში მიძვრება და ნელ-ნელა აცარიელებს ჩვენი თანამოქალაქეების ისედაც გაფხეკილ ჯიბეებს. ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ყველაზე მეტად ეს აღშფოთება ლეიბორისტულმა პარტიამ და მისმა ლიდერმა გამოხატა, რომელმაც სასამართლოში უჩივლა „ეი-ი-ეს"-ს. რით დასრულდება ეს ორთაბრძოლა ჯერ უცნობია. მოდით, ისევ „ეი-ი-ეს"-ს დავუბრუნდეთ. თელასის ხელმძღვანელი იგნასიო იგიბრენი თბილისელებს ახალი პროგრამის საფუძველზეც კი ვერ აძლევს უწყეტი ელექტროენერგიით მომარაგების გარანტიას და მომხმარებლებს უფრო საიმედო ელექტროენერგიას ჰპირდება. პროგრამაში კი იგულისხმება შემდეგი: საქართველოს პრეზიდენტი „ეი-ი-ეს თელასს" 11 მოთხოვნაზე დათანხმდა. სპეციალისტები თვლიან, რომ ამ შეთანხმებით ამერიკის კორპორაცია სახელმწიფო ქონებას უფასოდ იგდებს ხელში და მონოპოლისტი ხდება. შეთანხმება ძირითადად თელასის მიერ საქართველოს ენერგოსისტემის ობიექტებზე კონტროლს ითვალისწინებს, რომლებიც თბილისის მომარაგებას უზრუნველჰყოფს. დააშანტაჟეს პრეზიდენტი და ისე მოაწერინეს ხელი თელასის ულტიმატუმების შესრულების თანხმობაზე თუ...

3 დეკემბერს გამართული პრესკონფერენცია „ეი-ი-ეს"-ის მენეჯერმა ზამთრის სტაბილიზაციის განმარტებას დაუთმო. სამწლიანმა პრაქტიკამ „ეი-ი-ეს"-ს აჩვენა, რომ მის მიერ საზღვარგარეთ შეძენილი თუ გენერაციის საკუთარ ობიექტებზე გამომუშავებული ენერგიის დიდი ნაწილი თბილისის ნაცვლად სხვა არგადამხდელ რაიონებს და საწარმოებს მიეწოდებოდა. რატომ აწვდის სახელმწიფო ელექტროენერგიას „აზოტ"-ს, რომელიც ფულს საერთოდ არ იხდის? რკინიგზის სტადიონის ასაშენებელი თანხა აქვს და ელექტროენერგიის საფასურის გადახდა არ შეუძლია? კითხულობს „ეი-ი-ეს თელასის" მმართველი. მაგრამ თავად გადამხდელთა ბედი რომ არ აღელვებს და ურჩსაც და მორჩილსაც ერთ ტაფაში ხრაკავს, ამაზე ცხადია, არაფერს ამბობს.

თუ აქამდე „ეი-ი-ეს თელასი" თბილისელებს ასწავლიდა, რომ ელექტროენერგიის მისაღებად საფასურის გადახდის კულტურის დამკვიდრებაა საჭირო, ახლა მისამართი შეცვალა და თბილისელების გარდა დანარჩენ საქართველოს მოძღვრავს. საქმე ისაა, რომ არგადამხდელ რაიონებს დაწესებულ ლიმიტზე სამჯერ მეტი ენერგიით ამარაგებენ. „ეი-ი-ეს"-ს, რომელიც საჭირო ენერგიის ღირებულებას 100%-ით იხდის, მოთხოვნილზე 35%-ით ნაკლები მიეწოდება. შესაბამისად მას გადახდისუნარიანი მომხმარებლები დაუკმაყოფილებელი რჩება, რაც არაერთხელ გამხდარა საპროტესტო აქციების მიზეზი. „ეი-ი-ეს" კორპორაცია აღარ მოამარაგებს არგადამხდელებს ელექტროენერგიით ჩვენი მომხმარებლების საზიანოდ". ამის საშუალებას კორპორაციის ხელმძღვანელობის განმარტებით პრეზიდენტთან შეთანხმება იძლევა, რომლის მიხედვით, თუ „ეი-ი-ეს თელასი" დააფიქსირებს, რომ მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია თბილისის ნაცვლად სხვა რაიონებს მიეწოდება, ანუ დენის მოპარვა ხდება, „ეი-ი-ეს"-ი საქართველოს ერთიან ენერგოსისტემას გამოეთიშება და ავტონომიურ რეჟიმში დაიწყებს ფუნქციონირებას იმის მიუხედავად, რომ ამ მექანიზმის კანონიერება ეჭვის საფუძველს იძლევა. რადგან ენერგოსისტემის ერთიანობა და ურღვეობა კონსტიტუციითაა გამყარებული, შეიძლება არც გამხდარიყო დავის საგანი, „ეი-ი-ეს თელასი" რომ უწყვეტი ელექტრომომარაგების გარანტიას იძლეოდეს. შეკითხვაზე — თუ რატომ არაა შესაძლებელი თელასმა უწყვეტი ენერგიით მოამარაგოს თბილისი, თელასის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ასეთ გარანტიას მთელს მსოფლიოში არცერთი გამანაწილებელი კომპანია არ იძლევა. კიდევ უფრო მეტი, აპრილის თვისათვის კიდევ ერთხელ მოუწევს თბილისის მოსახლეობას ჯიბეში ხელის ჩაყოფა და უკანასკნელი თეთრების გადახდა „ეი-ი-ეს თელასის" სასარგებლოდ, რადგან ამ დროისათვის ნავარაუდევია ტარიფის კიდევ ერთხელ გაზრდა. კორპორაციის ხელმძღვანელობა აგრეთვე ვარაუდობს იმას, რომ არგადამხდელთათვის დააწესოს ჯარიმები.

კიდევ ერთი, ულტიმატუმი, რომლის დამტკიცებაც სემეკისაგან „ეი-ი-ეს თელასმა" მოითხოვა ის გახლავთ, რომ მას სურს შესაძლებელი გახდეს ფიდერების გათიშვა. არა მგონია, ამერიკულ კომპანიას საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის თურქეთში გაყიდვის წყურვილიც არ კლავდეს.

რა მოხდება, თუ „ეი-ი-ეს თელასი" ვერ შეასრულებს თავის განზრახვას? გაიქცევა იგი საქართველოდან? ჯერჯერობით ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს და არც ამერიკული კომპანია აპირებს ადგილი დაუთმოს რუსულ კაპიტალს, რომელიც უკვე კარგა ხანია ჩასაფრებულია. იმ შემთხვევაში, თუკი მაინც გადაწყვეტს „ეი-ი-ეს"-ი საქართველოდან წასვლას, მაშინ ჩვენს ბიუჯეტს უზარმაზარი ჯარიმის გადახდა მოუწევს, თანაც ზამთრის პირზე. ამის გარდა ამ კომპანიის საქართველოში საქმიანობას, ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. „ეი-ი-ეს თელასის" მიერ შემოტანილი კაპიტალი თითქმის თანაბარია იმისა, რაც რუსულმა კომპანიამ ჩადო ქართული ბუნებრივი აირის სექტორში. ხელისუფლება აშკარად ერიდება „ეი-ი-ეს"-ის გაღიზიანებას და ამიტომაც უწევს დათმობებზე წასვლა, მაგრამ ვის საზიანოდ?

მაია საფარიშვილი

აქა წერილი „ეი-ი-ეს-ისაგან" პრეზიდენტისადმი მიწერილი

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

კორპორაცია „ეი-ი-ეს"-ის უფროსი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ყოყმანობს „ეი-ი-ეს"-ის საქართველოში მოღვაწეობის საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან გვაშფოთებს, თუ რამდენად ექნება „ეი-ი-ეს თელასს" ქალაქის ელექტროენერგიით საიმედოდ უზრუნველყოფის საშუალება მოახლოებულ ზამთარში. ამავე დროს, „ეი-ი-ეს მტკვარს" არ უხდიან გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურს და ამრიგად მას აღარ გააჩნია გაზის შესაძენად აუცილებელი თანხები. „ეი-ი-ეს თელასის" წარმატებისათვის საიმედო ელექტრომომარაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. „ეი-ი-ეს"-მა შეიმუშავა სტაბილიზაციის გეგმა, რომელიც მდგომარეობას გამოასწორებს და საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდების საიმედობას სულ უფრო და უფრო გააუმჯობესებს.

წინადადება:

ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ „ეი-ი-ეს თელასს", „ეი-ი-ეს მტკვარს" და „ეი-ი-ეს ხრამს" ჰქონდეთ საკუთარი ბიზნესების გაკონტროლების უფლება. ჩვენი წინადადებაა, რომ „ეი-ი-ეს თელასს" მიეცეს უფლება აკონტროლოს „ეი-ი-ეს მტკვარის", „ეი-ი-ეს ხრამისა" და „ენინვალჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაკადები. ამ უფლებებში იგულისხმება გადამცემი ქვესადგურების კონტროლის უფლებაც, რაც საშუალებას მოგვცემს, თავად მივმართოთ აღნიშნული სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაკადი. ამის სანაცვლოდ „ეი-ი-ეს"-ი უზრუნველყოფს გაზის იმ რაოდენობას, რაც საჭიროა გარდაბნის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების სრული სიმძლავრით ასამუშავებლად. ეს საშუალებას მისცემს „ეი-ი-ეს თელასს", მიიღოს საკმარისი ოდენობის ელექტროენერგია, რათა საიმედოდ მოემსახუროს გადამხდელ მომხმარებლებს. ამავე დროს, ეს კარგი იქნება დანარჩენი საქართველოსთვისაც, რადგან ჰიდროსადგურებში წყალი დაიზოგება.

იმისთვის, რომ „ეი-ი-ეს"-ს ჰქონდეს შესაძლებლობა მიაწოდოს აღნიშნული ელექტროენერგია ქალაქს, „ეი-ი-ეს"-ისთვის აუცილებელია გააკონტროლოს გენერაციის ჩამოთვლილ ობიექტებსა და „თელასის" ქსელს შორის არსებული ყველა დამაკავშირებელი რგოლი. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ „კუნძულის" ტიპის ქსელი, რომლითაც შევძლებთ უზრუნველვყოთ ჩვენი ელექტროენერგიის მოწოდება ქალაქისთვის და არავის შეეძლება საკუთარი სურვილით მისი სხვა მიმართულებით გაშვება. ჩვენ პასუხისმგებელნი ვიქნებით აღნიშნული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვასა და აუცილებელი გაზის შესყიდვაზე. ეს აღმოფხვრის ყველანაირ გარეშე ფაქტორს, რომელიც ხელს გვიშლის ჩვენი სურვილის — „თელასის" გადამხდელი აბონენტების სტაბილური მომსახურების — განხორციელებაში. სხვა სიტყვებით, ჩვენი ელექტროსადგურები მჭიდრო ელექტრულ კავშირში უნდა იყვნენ ჩვენივე გამანაწილებელ ქსელთან.

მთლიანად საქათრველოსთვის ეს ძალიან სასარგებლო პროექტია, ვინაიდან გარდაბნის ორი ბლოკი (მე-9 და მე-10) სრული დატვირთვით იმუშავებს და ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგება, რომელიც ამჟამად უარესდება, დასტაბილურდება.

ზამთარში საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილიზაციის გეგმა

დადებითი მხარეები:

კორპორაცია „ეი-ი-ეს"-ი უზრუნველყოფს გაზის მიწოდებას „ეი-ი-ეს მტკვარის" მე-9 და მე-10 ბლოკებისთვის;

„ეი-ი-ეს თელასი" გადაიხდის „ეი-ი-ეს მტკვარის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურს, რომელიც უფრო ძვირია, ვიდრე საბითუმო ბაზრის ფასი;

დანარჩენი საქართველოსთვის ტარიფი უფრო დაბალი იქნება;

„ეი-ი-ეს თელასის" მიერ ძვირი ელექტროენერგის შესყიდვაზე გაწეული ხარჯების ამოღება გადავადებული იქნება მანამ, სანამ არ გავა ზამთარი.

ზამთარში საქართველოში ელექტრომომარაგების სტაბილიზაციის გეგმის განხორციელების პირობები:

1. ნოემბერში ტარიფის გაზრდის დაუყოვნებლივ დამტკიცება.

2. „ეი-ი-ეს თელასის" თანამშრომლები ზედამხედველობას გაუწევენ და აკონტროლებენ 220 კვ ქვესადგურებს, რომლებიც თბილისს ემსახურება. ესენია: გლდანის, ნავთლუღის, დიდუბის და ლისის ქვესადგურები; „ეი-ი-ეს თელასის" თანამშრომლები ზედამხედველობას გაუწევენ და აკონტროლებენ 220 კვ სისტემათაშორის ამომრთველებს შემდეგ ქვესადგურებზე: გარდაბანი, ლისი, რუსთავი და ქსანი; „ეი-ი-ეს თელასის" თანამშრომლები ზედამხედველობას გაუწევენ და აკონტროლებენ 500 კვ ხაზის „ქართლი II"-ის ამომრთველს „ქსნის" ქვესადგურში. ეს საშუალებას მისცემს „ეი-ი-ეს თელასს" გამორთოს თავისი ქსელი საერთო ქსელიდან და დამოუკიდებლად იმუშაოს, როდესაც ამის გაკეთება საჭირო გახდება სტაბილიზაციის მისაღწევად და ელექტროენერგიით ქალაქის მომარაგების უზრუნველსაყოფად.

3. „ეი-ი-ეს"-ის ქსელის ქვეყნის საერთო ქსელში ჩასართველად შემუშავდეს ქსელის ოპტიმალური პრინციპები;

4. გადაცემის შელავათიანი ტარიფი სომხეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე — 2 წლის განმავლობაში;

5. გაზის გადაცემის ტარიფის შემცირება „მტკვარისათვის" საჭირო გაზზე არსებული 8 აშშ დოლარიდან 1000 მ³-ზე 2,5 აშშ დოლარამდე 1000 მ³-მდე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით (2001-2002, ზამთარი);

6. იურიდიული დამტკიცება (სემეკ-ისაგან) იმ უფლებებისა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ფიდერების გათიშვა შემდეგი კრიტერიუმის საფუძველზე:

— საერთო ამოღება (ნაღდი ფულის თვალსაზრისით), საკმარისი უნდა იყოს სულ მცირე ყველა იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც გაიწევა ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდებისათვის.

7. სისხლის სამართლის კოდექსში ჯარიმებისა და საურავების დამტკიცება გამანაწილებელი კომპანიის იმ მომხმარებელთა მიმართ, რომლებიც:

— გათიშულნი არიან გადაუხდელობის გამო;

— დააზიანეს მოწყობილობა (მრიცხველები და სხვ.);

— იწვევენ კომერციულ დანაკარგებს: ელექტროენერგიის დატაცება და სხვა ანომალიები (უკანონო მიერთებები, შეგნებულად დაზიანებული მრიცხველები და სხვ.);

ამ ჯარიმებისა და საურავების მოკრების უფლება „ეი-ი-ეს თელასს" მიეცეს.

8. კომპაქტურად დასახლებული ლტოლვებისა და ცენტრალური მომხმარებლების დავალიანების ჩათვლა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების ან ელექტროგადაცემის დავალიანებაში;

— ჩათვლის დოკუმენტაცია შეთანხმებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის;

9. მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კარგი იქნება, რომ სემეკმა შემოიღოს შემდეგი სტრუქტურის ტარიფი: ფიქსირებულ გადასახადს + ეტაპობრივი ტარიფი 2002 წლის აპრილიდან;

10. „ეი-ი-ეს მტკვარის" დღგ-სგან განთავისუფლება წარმოებულ ელექტროენერგიაზე 4 წლით.

11. „ეი-ი-ეს მტკვარის" დღგ-სგან განთავისუფლება იმპორტირებულ გაზზე 4 წლით.

პატივისცემით,

კორპორაცია „ეი-ი-ეს"-ის ვიცე პრეზიდენტი ჯ. სტინსონი

გზა ცათა სასუფევლისა

ქუჩაში ხატის შეძენა არ შეიძლება

რა არის ხატი?

მართლმადიდებლურ ღვთისმოსაობაში წმიდა ხატების თაყვანისცემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ისინი არა მხოლოდ ტაძრებს, არამედ მორწმუნეთა ოჯახებსაც ამკობენ. ხატი ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი გახლავთ. იგი დამაკავშირებელი სარკმელია პირველსახესთან. ხატით უნდა ვიხსენებდეთ პირველსახეს, უფალს, ღვთისმშობელს, ყველა წმინდანს და ამით მათ პატივს მივაგებთ. გარდა იმისა, რომ ხატს გამომსახველობითი მნიშვნელობა აქვს, მასზე გამოსახული იქ მადლისმიერად იმყოფება. ასეთად იგი კურთხევის და მისთვის სახელის მინიჭების შემდეგ იქცევა. არა მხოლოდ ადამიანს, არამედ მთელს ბუნებას, მთელს მატერიალურ სამყაროს შეუძლია ღვთაებრივი მადლის მიმღები გახდეს.

ხატი ცოცხალია, მას სასწაულს მოსდენა შეუძლია

იუდეველებს მიაჩნდათ, რომ უხილავი ღმერთის გამოსახვა შეუძლებელია. სექტანტები მართლმადიდებელთა სიწმინდეებს — ხატებს, კერპებს უწოდებენ და ბევრი ადამიანი მცდარ გზაზე გადაჰყავთ. ეკლესიის ისტორიაშიც იყო პერიოდი, როცა ხატების თაყვანისცემა იკრძალებოდა, მაგრამ 787 წელს მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებამ ხატთაყვანისცემა არა მხოლოდ აღადგინა, არამედ მის დოგმატურ დასაბუთებასაც ჩაუყარა საფუძველი.

სექტანტებისთვის ხატი მართლა ფიცარზე გამოსახული გამოსახულებაა და მეტი არაფერი. ისინი მწარედ სცდებიან. ამის დასტურია, თუნდაც ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც სისხლი გადმოსდინდა, როცა ერთმა უსჯულომ ლახვარი ჩასცა. გარდა ამისა, არსებობს უთვალავი ცრემლმდინარე, მირონმდინარე ხატი. ბევრი მათგანი სასწაულთმოქმედია.

— თბილისში, თავისთავად მეტყველებს, რომ ის ძალიან ძველი, ძალიან ძლიერი სასწაულთმოქმედია.

ხატწერა ფერწერა არ გახლავთ. ხატის შექმნის უფლება აქვს მხოლოდ მორწმუნეს, რომელსაც უფალმა მისცა ლოცვა-კურთხევა. არსებობს რამდენიმე აუცილებელი ნიუანსი, რომელიც ხატის წერის დროს აუცილებლად უნდა შესრულდეს. კათოლიკური და მართლმადიდებლური ხატწერა ერთმანეთისგან განსხვავდება.

პირველი ხატი თვით უფალმა შექმნა

პირველ ხატს ხელთუქმნელი ხატი ეწოდება. იგი თვით უფალმა იესო ქრისტემ შექმნა. ავგაროზ მეფემ უფალთან გაგზავნა მხატვარი, რომელსაც უფლის სახე უნდა დაეხატა, რათა მეფეს ენახა, ვინ იყო ქრისტე. მეფის მხატვარი უძლური აღმოჩნდა. მან ღმერთის სახის ტილოზე გადატანა ვერ შესძლო. მაშინ უფალმა მიიფარა სახეზე ტილო და მასზე ქრისტეს სახე გამოისახა. ამიტომ ჰქვია მას ხელთუქმნელი. ეს ხატი დღეს ანჩისხატის სახელითაა ცნობილი. მისგან დამზადებულ ასლებსაც ხელთუქმნელი ეწოდება. ანჩისხატი საქართველოში, სახელმწიფო მუზეუმშია დაბრძანებული. ზუსტად იმის თქმა, იგი ორიგინალია თუ ასლი ხელთუქმნელი ხატისა, ძნელია. თუმცა, ისტორია, ხელთუქმნელი ხატი კონსტანტინეპოლიდან ანჩში გადმობრძანდა და იქ დაიდო ბინა, ანჩიდან კი კათოლიკური უფრო მიწიერი გაიდეალებისკენ არის მიმართული, მართლმადიდებლური კი — პირიქით — იდეის გამატერიალურებისაკენ. ხატზე გამოსახული პიროვნება ზეცათა სასუფველში არსებობს. იქ მიუჩრდილებელი ნათელია, ამიტომ ხატზე შუქჩრდილები არ უნდა იყოს. აღორძინების ეპოქის კათოლიკურმა მხატვრობამ, სამწუხაროდ, დიდი გავლენა იქონია ჯერ რუსეთის ხატწერაზე, აქედან კი საქართველოშიც შემოვიდა ეს ფორმა. არსებობს მეორე მომენტიც. როცა ჩვენ ხატებს ვუყურებთ, მათ თვალს ვერ უნდა ვუსწორებდეთ. უფალს მოსემ ფეხებზეც კი ვერ შეხედა, არათუ თვალებში. ხატწერის ერთ-ერთი გვირგვინი კაცხის მაცხოვრის ხატი გახლავთ. როცა მაცხოვარს უყურებ, ისიც გიყურებს და ვერ ხედავ, რადგან უფალი ელამად არის გამოსახული. ეს იმიტომ არ ხდება, რომ ქრისტე ელამი იყო, არც იმიტომ, რომ მხატვარმა უკეთ დახატვა ვერ შეძლო. ეს საოცარი მიგნებაა. როცა უყურებ და ვერ ხედავ.

ხატის ქუჩაში შეძენა არ შეიძლება

ხატები ძირითადად ეკლესიებში იყიდება. თუმცა ამ ბოლო დროს ქუჩაშიც უამრავ ადგილზეა გამოტანილი გასაყიდად. კითხვა — სად უნდა შეიძინოს ადამიანმა ხატი, ხშირად ჩნდება.

ცხადია, ჯობია, ტაძარში შევიძინოთ. ჯერ ერთი, ეს თანხა ტაძრის, ეკლესიის საქმეს ხმარდება, ქუჩაში შეძენილისა კი — არა. გარდა ამისა, შეიძლება შეცდომაში შევიდეთ და არასწორი ნამუშევარი მოგვყიდონ. გამოდის, ხატის ნაცვლად ნახატს ვიძენთ. ხატს აუცილებლად სჭირდება კურთხევა. ქუჩაში, ცხადია, ეს არა ხდება.

უკურთხებელ ხატს მადლი არა აქვს?!

მადლი, რა თქმა უნდა, ყველა ხატს აქვს, მაგრამ ნაკურთხს განსაკუთრებით დიდი ძალა გააჩნია. მღვდელმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს ხატის კურთხევის ლოცვები.

ხატების მთელს ოთახში გამოფენა არ შეიძლება

აღმოსავლეთის კედელზე უნდა გაკეთდეს კუთხე, სადაც დავკიდებთ ხატებს. მათი მთელს ოთახში მოფენა სასურველი არ არის. ისინი იერარქიულად უნდა განლაგდეს. ჯერ უფლის ხატი, სამების ხატი, შემდეგ ღვთისმშობლის და სხვა წმინდანების ხატები.

ხატის მეულლეთა ოთახში დაბრძანება არ შეიძლება

იმ ოთახში, სადაც მეუღლეებს სძინავთ, სასურველი არ არის ხატის დაკიდება. თუ მეტი გამოსავალი არ არის, ხატების კუთხეში ფარდა უნდა ჩამოაფარონ, რადგან იგი ცოცხალია და ყოველივეს ხედავს.

მაია საფარიშვილი

რატომ გვეშინია 13 რიცხვის?!

ამბობენ, რიცხვებს უდიდესი მაგიური მნიშვნელობა აქვსო. საზოგადოება ზოგ რიცხვს პოზიტიურად მიიჩნევს, ზოგს ნეგატიურად. ცხადია, რიცხვებს თავისებური დატვირთვა მართლა აქვს. ღმერთმა 7 დღეში შექმნა სამყარო, ამიტომ კვირაში შვიდი დღეა, თუმცა ქრისტიანობაში მთავარი მაინც რწმენაა და რიცხვთა დინამიკაზე ყურადღება არ არის გადატანილი. შვიდი, მართალია, ბედნიერ რიცხვადაა მიჩნეული, მაგრამ ყველა რიცხვს ეს დატვირთვა არააქვს. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად 13 ან 666 შიშის ზარს სცემს ადამიანს.

13 რიცხვის, როგორც ეკლესია ამტკიცებს, ურწმუნოებს, წარმართული, სუსტი ბუნების ადამიანებს ეშინიათ. ამ გრძნობას უნდა სძლიო, მოერიო. ეს მხოლოდ რიცხვია და არაეშმაკი. 13 წლის თუ არ გახდა ადამიანი, ისე ხომ ვერ გაიზრდება? 13-იც ისეთივე რიცხვია, როგორც დანარჩენი.

დიდებული ადამიანები

ლეგენდა თუ რეალობა თიანეთის ტყეებში

„რომელმან დასდვა სული თვისი ერისათვის, მსგავსად მხსნელისა, და აწ წინაშე წმიდისა სამებისა იხარებს და მეოხ არს დაუცხრომელად ჩვენ ყოველთათვის“ — ასეთია კონდაკი არჩილ მეფისა, რომელსაც 4 ივლისს ლუარსაბ II-თან ერთად მოიხსენიებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია.

ამაღლების სახელობის ტაძარი სოფელ ნადოკრაში

„იგი ხალხისთვის, ერისა და სარწმუნოებისათვის დასაჯეს — კაცი მებრძოლი, რეფორმატორი და შემოქმედი. ბედის ირონიისა თუ განგების გამო ისტორიკოსები ასე მწირ ცნობებს რომ იძლევიან და მას ხან ქართლის ერისთავად, ერისმთავრად, ხან მეფედ და ხანაც თვითმარქვია მეფედ მოიხსენიებენ. და მაინც, ვინ იყო არჩილ სტეფანოზის ძე, გორგასლიანთა დინასტიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი?“ — ამ კითხვით იწყებს თავის ერთ-ერთ წერილს ვლადიმერ ზარიძე — კაცი არამეცნიერი, რომლის გამოც ბევრ ისტორიკოსსა და მეცნიერს მოსვენება აქვს დაკარგული.

ბატონი ვლადიმერი აგერ უკვე 11 წელია ისტორიულ წყაროებში ჩაჰკირკიტებს მეფე არჩილ II-ის (VII საუკუნე) შესახებ აქა-იქ მწირად გაბნეულ მასალებს. მიზეზი იავარქმნილი მეფის საფლავია, რომელიც თიანეთის ტყეებშია დაკარგული.

თიანეთის მოსახლეობა ლეგენდის სახით ინახავდა ძველ ამბავს და თაყვანს სცემდა წმინდა ადგილს ტყეში, რომელიც დრო და ჟამისაგან საკმაოდ იავარქმნილია და მხოლოდ ტაძრის ნაშთებიღა ღაღადებენ აქ არსებული, ერთდროს მტკიცე რეზიდენციის დიდებულებაზე.

— მე და მერაბ სანიკიძემ, არასრულწლოვანთა მუშაობის საპარლამენტო კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა, გადავწყვიტეთ მოსახლეობაში მიმოფანტული ინფორმაცია შეგვეჯერებინა. აღმოვაჩინეთ, რომ ტაძრის ნანგრევებს მიღმა აკლადამაში განისვენებს ვინმე არჩილი, დიდებული, მაგრამ რა წოდებისა, ერისთავი თუ მეფე — ამის დადგენა ვერ მოხერხდა. მოსახლეობამ გადმოცემით იცის, რომ ეს არჩილის სამონასტრო კომპლექსი გახლავთ. ისტორიულ წყაროებშიც ასეა მოხსენიებული. ეს ანსამბლი აგებულია არჩილის მიერვე VII ს-ის ბოლოსა და VIII ს-ის დასაწყისში. იგი საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. აქვე არის ამაღლების სახელობის ეკლესია, რომელიც მეტნაკლებად არის შემორჩენილი, გადმოცემით, ლუარსაბ II-ის მეუღლე (გიორგი სააკაძის და) განქორწინების შემდეგ აქ აღკვეცილა მონაზვნად. სხვადასხვა ფაქტების ძიებასთან ერთად ჩვენი მიზანი ეკლესიის და რეზიდენციის ქვა-ღორღისგან გათავისუფლება იყო. ორგანიზაცია „ქუჩის ბავშვებიდან“ შევარჩიეთ 20 მოხალისე ბავშვი და ტერიტორია გავასუფთავეთ. სამუშაოების გასაგრძელებლად გვესაჭიროება ფინანსები. შევქმენით საზოგადოება „სამთა კავშირი“ კულტურის ხაზით გრანტის მოსაპოვებლად, სამწუხაროდ, ჩვენი წინადადება არარენტაბელურ თემად მიიჩნიეს.

არჩილ მეფის საფლავი

2001 წელს 1240 წელი შესრულებოდა მისი დასჯიდან. მრგვალი თარიღის აღნიშვნა გვინდოდა, თუმცა... ვის არ მივმართეთ, ყურადღება არავინ მოგვაქცია.

ბატონ ვლადიმერს საკუთარი მოსაზრება გააჩნია არჩილ მეფის პიროვნებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ვიღაცის ხელმა საგულდაგულოდ იზრუნა, რათა ხოსროიანთა შტო ჩრდილში მოქცეულიყო და წინ ბაგრატიონები წამოიწიონ. ზარიძე იმასაც ამტკიცებს, ხოსროიანთა გვარმა არსებობა VIII საუკუნეში შეწყვიტა და არა VI-ში, როგორც ამას სასკოლო სახელმძღვანელოში ასწავლიან თაობებსო.

გულს უკლავს ჩვენს რესპოდენტს ის ფაქტი, რომ არსად არაფერი იწერება გაკვრითაც კი, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ერისა და ქვეყნის წინაშე წმიდა მეფე არჩილს, რომლის მოკვეთილი თავი სოფელ ნადოკრის ტყეებში, არჩილის რეზიდენციაში განისვენებს, ტანი კი მისი დასჯის ადგილას ალგეთის ხეობაში უპატივცემულოდ არის მიწას მიბარებული.

მარი გოგიშვილი

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 5. თავის შესაქცევი, გასართობი სანახაობა; 6. სწორი, სრიალა; 10. გადაჭარბებული გულჩვილობა, გრძნობიერება; 13. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 16. კაუჭიანი ეკლით შემოსილი ნაყოფი, რომელიც ტანსაცმელს ეკრობა; 17. ყველაფრის უარყოფა, აღიარებული ნორმების მიუღებლობა; 20. კათოლიური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. მდინარე საქართველოში; 24. აფრიკისა და აზიის უდაბნოს მტაცებელი ცხოველი; 26. სამშენებლო მასალა, რომელიც ბაკურიანის მიდამოებში მოიპოვება; 27. კაუიანი დამბაჩის თოფისწამალის დასაყრელი ადგილი; 28. გამის პირველი, ძირითადი ბგერა; 29. ფრინველები, რომლებმაც გადაარჩინეს რომი; 34. ყალმუხეთის დედაქალაქი; 35. იტალიის პროვინციის — ლიგურიის ადმინისტრაციული ცენტრი; 37. ძალიან მჭრელი; 38. შიკრიკი; 39. გამოხდის თხევადი პროდუქტი; 40. ტყავი, რომელიც საწერ მასალად იხმარებოდა; 41. კურკოვანი სუბტროპიკული მცენარე; 42. ტაძარი თბილისში; 43. სმენადობის პირობები რაიმე შენობაში; 48. თანამდებობათა თანმიმდევრობა უმაღლესისაკენ; 49. საყოველთაო ნორმებისათვის შეუფერებელი, არაჩვეულებრივი; 50. ცეცხლის გასაჩენი ფოლადის ნაჭერი; 52. მტაცებელი ცხოველი; 56. დარგი, რომელიც სწავლობს ცხოველთა ფსიქიკას; 57. სახელმწიფო აზიაში; 58. სახელმწიფო ევროპაში.

ვერტიკალურად: 1. ჩრ. ირლანდიელი ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი; 2. სცენაზე დასადგმელად დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოები; 3. რუსეთის სამხრეთ მთიანეთი; 4. ენამყრალი; 7. სამკურნალო მცენარეების ნახარში; 8. ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად; 9. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 11. შამილის დროინდელ დაღესტანში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი; 12. მძიმე, მოვერცხლისფერო ლითონი; 14. მეძაღლეობა; 15. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, დასნებოვნების მიმართ; 18. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომელიც შეიცავს რაიმე სახის ცნობებს; 19. უკულტურო, ველური ადამიანი; 22. დიელექტრიკი; 23. ვისიმე საქმიანი კვალიფიკაციის, ცოდნის დონის განსაზღვრა; 25. ვიწრო და ღრმა ორმო; 28. მდინარე საფრანგეთში; 30. ურმის გვერდითი ძელი; 31. ბაზარი, ბაზრის დუქანი ძველებურად; 32. ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველი; 33. სახელმწიფო აზიაში; 36. ყურე საფრანგეთსა და ესპანეთს შორის; 44. კანადაში, ონტარიოს პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი; 45. სახელმწიფო აზიაში; 46. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი; 47. სისხლის მოძრაობის მკვეთრი დაქვეითება ან შეჩერება სისხლძარღვებში; 50. დადგენილი, ყველასათვის სავალდებულო წესი; 51. ჩაკეტილი მრუდი, რომლის ყოველი წერტილის მანძილების ჯამი ორი მოცემული წერტილიდან წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს; 53. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 54. სახელმწიფო აფრიკაში; 55. კამეჩის ნაშიერი.

საინტერესო ამბები

ხულიგანი ქალაქ გრენადიდან

საპყრობილე და გაქცეული ბანდიტების ბანდა ვერ მიაყენებდა გრენადის მოსახლეობას იმდენ ზიანს, რამდენიც გალიიდან გამოპარულმა თუთიყუშმა მიაყენა. მთელი უბედურება იმაში იყო, რომ თუთიყუში საოცარი სიზუსტით ბაძავდა პოლიციელის სასტვენის ხმას, გაისმოდა უწესრიგო სტვენა და მოძრაობაც ფერხდებოდა, მანქანები ერთმანეთში ირეოდნენ გზაჯვარედინებზე და გაკვირვებული მოსახლეობაც ადგილობრივ პოლიციელებს შეჰყურებდა დაბნეული. პოლიციელები კი თვალებგადმოკარკლულნი გამვლელებში ცდილობდნენ ხულიგნის აღმოჩენას. მხოლოდ ორი დღის შემდეგ მიხვდა ადგილობრივი პოლიცია, რომ „ხულიგანი" თუთიყუში იყო, მაგრამ მისი დაჭერა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მხოლოდ მეხუთე დღეს, ქალაქ გრენადის მთელი პოლიციის ძალისხმევით ძლივს მოახერხეს მისტიფიკატორი თუთიყუშის დაჭერა. თუ რა განაჩენი გამოუტანეს მისტიფიკატორს, უცნობია, სავარაუდოა, რომ მას უფრო საიმედო გალიაში მიუჩენდნენ ადგილს და განაჩენად სამუდამოდ პატიმრობას გამოუტანდნენ.

მელნის ტბა

ალუირში არის ტბა, რომელიც სავსეა... მელნით. ტბას ერთვის ორი მდინარე, ერთი მათგანის წყალში უხვადაა რკინის მარილები, ხოლო მეორეში — ჰუმინის ნივთიერებანი. მათი შერევით კი მიიღება ხელოვნური მელნისებური სითხე. როგორც ხვდებით, ტბა სასმელად და საცურაოდ არ გამოდგება, ხოლო ახლო-მახლო მცხოვრები მოსახლეობა წერა-კითხვის უცოდინარია. ასე რომ, ამ ტბას დაშრობა კაი ხნით არ ემუქრება.

მანათობელი მცენარეები დენის პრობლემას მოგვიგვარებენ

წყნარი ოკეანის კუნძულებზე და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ რაიონში იზრდება მცენარე, რომლის ნაყოფსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები „კაკალ-სანთლებს" უწოდებენ.

მათ ადგილობრივი აბორიგენები უხსოვარი დროიდან იყენებენ თავისი საცხოვრებლის გასანათებლად. ცეცხლმოკიდებული „კაკალ-სანთლები" იწვის თანაბრად ბოლის და სუნის გარეშე.

თუ საქართველოს ენერგეტიკის მდგომარეობას გავითვალისწინებთ და „თელასის" გაუმაძღრობას დავუმატებთ, იქნებ უკეთესი იყოს ამ მცენარის მოშენება საქართველოში. მითუმეტეს, რომ წინ ბევრი ცივი და ბნელი ზამთარი გველოდება და საქართველოს ზოგიერთ რეგიონში თვეობით ენატრებათ სინათლე.

საზღვი ერთეული

სკოლის მოწაფიდან დაწყებული, ყველასთვისაა ცნობილი ძალის საზომი ერთეული „ცხენის ძალა". მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ 1884 წელს ინგლისური გაზეთის „ელექტრიკალ რევიუს" მეშვეობით ინჟინერი უ. პრისი მთელი სერიოზულობით ითხოვდა საზოგადოებისაგან, გაეუქმებინათ „ცხენის ძალა", როგორც ძალის საზომი ერთეული და შემოელოთ „ვირის ძალა", რომელიც, პრისის აზრით, „ცხენის ძალაზე" სამჯერ უფრო ნაკლები იყო და უფრო მოხერხებულიც საზომად. არადა, წარმოიდგინეთ მანქანა 50 „ცხენის ძალის" ძრავით და გადაიყვანეთ ეს „ვირის ძალაზე". მივიღებთ 150 „ვირის ძალას". ხომ მართლა ლამაზად ულერს, ანდა წარმოიდგინეთ, რომ არც „ცხენის ძალა" და არც „ვირის ძალა" არ არსებობს და ყველაფერი „ბატის" ან „ინდაურის" ძალით იზომება. ეს ხომ უფრო მოსახერხებელი იქნება, მაგ.: მანქანა 1500 „ბატის ძალით".

თუმცა რა, ქართველებს ძველი დროიდან გვაქვს ჩვენი ეროვნული ძალის საზომი. მაგ.: „ქალმა თუ გაიწია ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ აჯობებსო". ჰოდა, ჩვენც შევთავაზოთ მსოფლიოს პრისის მსგავსად „გაკაპასებული ქართველი ქალის ძალა" საზომ ერთეულად.

დასაფლავება ამერიკულად

რას არ მოიგონებენ ამერიკელები, ოღონდ რაიმეში პირველები იყვნენ. „უნიკალური" სიახლეა დასაფლავების ის სახეც, რომელსაც კომპანია „ცელესტი" გვთავაზობს.

კომპანია 12 500 დოლარად გარდაცვლილის გვამს გადაიტანს მთვარეზე. დღეს კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს მოლაპარაკებებს დიდ ავიაფირმებთან. როგორც კომპანია „ცელესტის" პრეზიდენტი ჩან ტისორი ირწმუნება, რეგულარული რეისები „კოსმოსურ სასაფლაოზე" რამოდენიმე წლის შემდეგ განხორციელდება. დღეს კი „ცელესტი"-ს შეუძლია მთვარეზე გადაიტანოს კრემირებული ნარჩენები არაუმეტეს ორი გრამისა.

პირველი კლიენტებიც ჰყავს. ესენია: 1998 წელს გარდაცვლილი გეოლოგი მარეტა ვესტი და ასტრონომი ჯინი შუმეიკერი. კომპანია დარწმუნებლია თავისი მუშაობის წარმატებულობაში.

ჩვენ კი, რაკი თბილისის სარეკლამო ფირნიშებითაც გვიკიჟინებენ „ჩაწვდით ამერიკულ სულსო", არც ამაში უნდა ჩამოვრჩეთ ამერიკას. ასე რომ, ქართველო მილიონერებო, ახლა თქვენ იცით, არ შეგვარცხვინოთ და დროზე „დაბრონეთ" საუკეთესო ადგილები მთვარეზე, რადგან ღარიბ ქართველ მოსახლეობას მთვარეზე კი არა, საქართველოში, მამაპაპეულ სასაფლაოზეც კი უჭირს მიცვალებულის დასაფლავება.

ერლ ხიუზი სამარეში ამწეს დახმარებით ჩაასვენეს

რობერტ ერლ ხიუზი 1926-58 წლებში ცხოვრობდა. ბავშვობაში ავადმყოფობის გამო მას ნივთიერებათა ცვლის დარღვევა დაემართა და 10 წლის ასაკში იგი უკვე 170 კილოგრამს იწონიდა. 1958 წლისთვის კი იგი სამჯერ მეტი წონის გახდა. მისმა შემოწერილობამ კი 3 მეტრს მიაღწია.

თავისი დიდი წონის გამო ხიუზი გასართობი კომპანიის „გოლდინგ"-ის ყურადღების ქვეშ მოექცა. ხიუზი სპეციალურ ტრაილერში მოათავსეს და ისე დაყავდათ საჩვენებლად. 32 წლის ასაკში იგი ცუდად გახდა და ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ დახმარებოდნენ.

მისი ზომის „სასახლე" არ აღმოჩნდა, ამიტომ იგი როიალის გადასატან „ფუტლიარში" ჩაასვენეს. სამარეში კი ამწეთი ჩაასვენეს, რომელიც დასაფლავებისას სიმძიმისგან ორჯერ გაფუჭდა.

საქართველოს მთავრობის „ბრძნული" ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით ჩვენ მსგავსი სიმსუქნე არ გვემუქრება. რაც შეეხება „სასახლეებს", ჩვენ მათი საფასურის ფული მალე უკვე აღარ გვექნება, ასე რომ, სხვადასხვა ყუთებზე და „ფუტლიარებზე" ჩვენც მალე გადავალთ და ამით მაინც დავეწევით ამერიკას.

ინგლისური მეტეოროლოგია

არც ისე დიდი ხნის წინ ინგლისში გააუქმეს კანონი, რომელიც 1677 წელს იყო მიღებული. ამ კანონის თანახმად ცეცხლზე უნდა დამწვარიყო ყველა ის ადამიანი, ვინც შეცდომით იწინასწარმეტყველებდა ამინდს. ბოლო ასეთი ცოდვილი „მეტეოროლოგი" 1703 წელს დაწვეს კოცონზე.

კიდევ კარგი, ეს კანონი საქართველოში არ მოქმედებს, თორემ მეტეოროლოგთა ნასახიც არ გვეყოლებოდა.

ცხოველთა დაცვის საზოგადოება

ბელგიის ქალაქ ბონვანეს ცხოველთა დაცვის საზოგადოების წესდებაში არის ერთი საინტერესო პუნქტი. საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია თვეში ერთხელ შეეხვეს გუთანში და სამი საათის მანძილზე ხნას მიწა. წესდების შემდგენთა აზრით, ეს საშუალებას აძლევს საზოგადოების წევრს, თავადაც განიცადოს ის, რასაც ცხოველი გრძნობს ასეთ პირობებში და ამიტომ უკეთ დაიცავს ცხოველებს.

მთავარი რედაქტორი
მანანა ლოგჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ.: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.